

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ვანო ბენიძე

დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში
და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური მომავალის ფორმირებაში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეთერ ხარაიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2020

აბსტრაქტი

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითად ამოცანას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევაში ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, როდესაც ინდუსტრიალიზაციის შედეგად ხდებოდა აგრარული ეკონომიკების გარდაქმნა და მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიულ დამამუშავებელი მრეწველობის დარგში გადანაცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, სწრაფი ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის დაძლევა და სიღარიბის აღმოფხვრა დღესაც რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევებად. ეს იმიტომ, რომ ბოლოდროინდელი რეფორმები ძირითადად ემსახურებოდა ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას და უგულვებელყოფილი იყო ეკონომიკის სექტორული გადანაწილების, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და ტექნოლოგიური განახლების საკითხები.

ამ ვითარების გათვალისწინებით, ნაშრომის მიზანია საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პერსპექტივების ანალიზი. ნაშრომში გაანალიზებულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების როლი ზოგადად ეკონომიკურ ზრდაში და განხილულია ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. ნაშრომში დეტალურადაა განხილული დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციები საქართველოში, გამოვლენილია დარგის როგორც დღევანდელი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და ისე მისი სამომავლო მნიშვნელობა ქვეყნის წინსვლის საქმეში.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას და ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისათვის. ამ მიზნით, ნაშრომში გამოვლენილია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები და ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი პრობლემები და შემოთავაზებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯები საქართველოს კონკურენტულ უპირატესობებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

Abstract

The main goal of every nation around the world is to achieve high economic growth rates and therefore, improve the socio-economic conditions of its people. History shows that in achieving this goal, crucial role has been played by structural economic transformation – a process that refers to the reallocation of economic activity across the broad sectors of agriculture, manufacturing and services. In this process, industrialization – the development of the manufacturing sector - has been of particular importance. Almost without exception, today's developed nations have achieved their status by transforming themselves from agrarian economies into manufacturing-based ones.

Since 2003, Georgia has implemented many successful reforms and was hailed by the World Bank as the top reformer in the region. Even though 17 years have passed since the 2003 Rose Revolution, much of the problems still remain the same - economic growth, poverty alleviation and unemployment reduction are major challenges facing country's economy today. This is due to that fact that most reforms during the past 2 decades were mainly geared toward improving the institutional environment, while industrialization, development of the manufacturing sector and technological upgrading have been largely ignored.

In this context, the aim of this paper is to analyze the prospects of industrialization in Georgia. The paper analyses the past and present role of manufacturing in the economic growth and development and explores the theoretical and methodological aspects of forming the industrial policy. The dissertation offers in detail analysis of the manufacturing sector development trends in Georgia and unveils the impact of manufacturing on country's economy today, as well as, its importance in forming Georgia's prosperous future.

As the outcome of the research, the paper suggests that the development of the manufacturing sector is of critical importance for Georgia. It is also clear that the country should reshape its economic policies in ways that favor manufacturing development. In this context, main problems hindering manufacturing sector development and challenges for industrial policy have been identified. Based on these problems, Georgia's competitive advantages and international experience, the dissertation suggests the strategy for accelerating Georgia' future economic growth and offers recommendations for manufacturing sector development.

სარჩევი

შესავალი	9
თავი I - დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	15
1.1. დამამუშავებელი მრეწველობის როლი ეკონომიკურ განვითარებაში.....	15
1.2. ინდუსტრიული პოლიტიკა: თეორიები, ინსტრუმენტები და განხორციელების გზები.....	27
თავი II - დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში	45
2.1. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ფორმირებაში.....	45
2.2. დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე: შეფასება ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელის საშუალებით	58
2.3. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციის სიღრმისეული ანალიზი	71
2.4. ინდუსტრიული პოლიტიკა საქართველოში: ტენდენციები და გამოწვევები	90
თავი III - დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების რეალური შესაძლებლობები საქართველოში.....	114
3.1. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები.....	114
3.2. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები	127
3.3. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის გზები და ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულებები.....	134
დასკვნები და რეკომენდაციები.....	155
გამოყენებული ლიტერატურა.....	167
დანართები.....	179

გრაფიკები

გრაფიკი №1: კლარკ-ფიშერის განვითარების მოდელი	18
გრაფიკი №2: სამხრეთ აზიის ქვეყნების რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP), მუდმივ 2011 წლის ფასებში, 1965-1990 წწ.....	20
გრაფიკი №3: დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულება (% მშპ) და მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP), ინდოეთი და ჩინეთი, 1990-2018 წწ	22
გრაფიკი №4: ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდა, 1990-2018 წწ	23
გრაფიკი №5: მრეწველობის % მშპ-ში და % დასაქმებაში, 2000-2017 წწ	23
გრაფიკი №6: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მთლიან დასაქმებაში, საქართველო და ბალტიისპირეთის ქვეყნები, 1991-2017 წწ...	46
გრაფიკი №7: მშპ-ს კომპოზიცია დანახარჯების მიხედვით (მლნ. ლარი) და ეკონომიკური ზრდის ტემპი (%), საქართველო, 2003-2018 წწ	53
გრაფიკი №8: დოლარის კურსი ლართან მიმართებაში USD/GEL, 2001-2019 წწ.....	55
გრაფიკი №9: დამამუშავებელი მრეწველობის 13 სხვადასხვა საქმიანობის წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები, 2018	69
გრაფიკი №10: მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა (% მშპ), საქართველო, 2018 წელი ..	71
გრაფიკი №11: დამამუშავებელი მრეწველობის დარგის დამატებული ღირებულება (წილი მშპ-ში) და დასაქმება (% მთლიანი დასაქმების), საქართველო, 1996-2018 წლები	72
გრაფიკი №12: დამამუშავებელი მრეწველობის შრომის პროდუქტიულობა და მისი ზრდის ტემპი (%), საქართველო, 2006-2018 წლები	73
გრაფიკი №13: საშუალო თვიური ანაზღაურება დარგების მიხედვით	75
გრაფიკი №14: საშუალო თვიური ნომინალური ანაზღაურება ლარებში, დამამუშავებელი მრეწველობა, საქართველო, 2000-2018 წლები	75
გრაფიკი №15: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული კომპოზიცია, საქართველო, 2013-2019 წლების ჯამი	76

გრაფიკი №16: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, დამამუშავებელი მრეწველობა, საქართველო, 2007-2019 წლები	77
გრაფიკი №17: მრეწველობის დარგის დამატებული ღირებულება რეგიონების მიხედვით (%), საქართველო, 2018 წელი.	78
გრაფიკი №18: დამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურა ქვედარგების მიხედვით, დამატებული ღირებულება (% მთლიანში), საქართველო, 2018 წელი ..	79
გრაფიკი №19: დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები და მისი ზრდის ტემპი (%), საქართველო, 2018 წელი	82
გრაფიკი №20: ექსპორტის სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, საქართველო, 2019 წელი	84
გრაფიკი №21: ექსპორტის სტრუქტურა უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით, საქართველო, 2019 წელი	84
გრაფიკი №22: მაღალტექნოლოგიური საქონლის წილი ექსპორტში, მრეწველობის დარგი, საქართველო და სხვა ქვეყნები, 2019-2018 წლები	85
გრაფიკი №23: ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, საქართველო	86
გრაფიკი №24: ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა, საქართველო, 1990-2018 ..	87
გრაფიკი №25: ლატვიის კონკურენტული უპირატესობა, 2005 და 2018 წლები	141
გრაფიკი №26: ბულგარეთის კონკურენტული უპირატესობა, 2008 და 2018 წლები	141
გრაფიკი №27: დარგების პრიორიტეტულობა განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის	144

ცხრილები

ცხრილი №1: საბაზრო ჩავარდნები და სახელმწიფო ინტერვენციის არგუმენტები	28
ცხრილი №2: ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფისათვის	33
ცხრილი №3: ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფისათვის	36
ცხრილი №4: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან დასაქმებაში (%), საქართველო, 2003-2019	49
ცხრილი №5: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან დასაქმებაში (%) ქვეყანათა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, 2018	50
ცხრილი №6: სავაჭრო დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან (%) რიგ ქვეყნებში	54
ცხრილი №7: უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში, საქართველო	55
ცხრილი №8: საქმიანობები გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში 2018-წლამდე	59
ცხრილი №9: საქმიანობები გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში 2018 წელს	60
ცხრილი №10: პირდაპირი საჭიროებების მატრიცა (A), საქართველო, 2017	64
ცხრილი №11: ლეონტიევის მატრიცა (L), დამამუშავებელი მრეწველობა, საქართველოს ეკონომიკა, 2017	65
ცხრილი №12: წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები დამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის, საქართველო, 2012-2018 წლები	67
ცხრილი №13: წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სხვადასხვა საქმიანობებისთვის, 2018 წელი	68
ცხრილი №14: წამყვანი ინდუსტრიები, პროდუქტები და კომპანიები დამამუშავებელ მრეწველობაში, საქართველო, 2017 წელი	79

ცხრილი №15: დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი, საქართველო	81
ცხრილი №16: ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2017	87
ცხრილი №17: სტრატეგია „საქართველო 2020“-ის ძირითადი მიმართულებები	91
ცხრილი №18: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგები	103
ცხრილი №19: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგები რეგიონალურ ჭრილში	104
ცხრილი №20: სს „საპარტნიორო ფონდის“ მიმდინარე და დასრულებული პროექტები სექტორების მიხედვით, საქართველო, 2011-2019 წწ	108
ცხრილი №21: „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს“ საქმიანობის შეჯამება, 2014-2019 წწ	111
ცხრილი №22: საშუალო თვიური ხელფასი დამამუშაბელი მრეწველობის დარგში, შერჩეული ქვეყნები, 2017 წელი	116
ცხრილი №23: ხარჯები კვლევაზე და განვითარებაზე მშპ-სთან მიმართებაში	119
ცხრილი №24: სავაჭრო ინფრასტრუქტურის განვითარების რეიტინგი, შერჩეული ქვეყნები, 2018 წელი	122
ცხრილი №25: „კორუფციის აღქმის ინდექსი“ 2019, რეგიონალური რეიტინგი	128
ცხრილი №26: სავაჭრო დეფიციტით რიგ ქვეყნებთან, საქართველო	132

სქემები

სქემა №1: ინდუსტრიული პოლიტიკის ბაზა (ე.წ. industrial layer)	42
სქემა №2: ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნის პროცედურა	43
სქემა №3: ეკონომიკური ზრდის მოდელები და შედეგები	51
სქემა №4: გამოშვების (რესურსების) ცხრილის სტრუქტურა (Supply Table)	61
სქემა №5: გამოყენების ცხრილის სტრუქტურა (Use Table)	62
სქემა №6: „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცის სტრუქტურა (Input-Output Table)	63
სქემა №7: გრძელვადიანი და მოკლევადიანი სექტორალური ეფექტები	142

შესავალი

თემის აქტუალურობა: მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითად ამოცანას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევაში ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია - პროცესი, რომელიც გულისხმობს სამუშაო ძალის გადაადგილებას ეკონომიკის პირველადი სექტორიდან, როგორცაა სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება, დამამუშავებელი მრეწველობის დარგში (განვითარების ინდუსტრიული ფაზა), ხოლო შემდგომ, განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში, სამუშაო ძალის დამამუშავებელი მრეწველობიდან ეკონომიკის მესამეულ სექტორში (სერვისები) გადანაცვლებას. იკვეთება ისიც, რომ განვითარების ამ ვექტორზე სვლა, სწორედ ასეთი თანმიმდევრობითაა აუცილებელი, რადგან შეუძლებელია, განვითარებული ქვეყნის სტატუსის მიღწევა, პირველი ეტაპიდან განვითარების პირდაპირ მესამე ეტაპზე გადასვლით, ინდუსტრიალიზაციის (დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების) გარეშე. ყოველ შემთხვევაში, ამის წარმატებული მაგალითი მსოფლიოს ჯერ არ უნახავს.

საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სტრუქტურული ტრანსფორმაცია არასწორი მიმართულებით წარიმართა. გარდამავალი პერიოდის დასაწყისში საქართველოში განხორციელდა უამრავი წარუმატებელი რეფორმა და ქვეყანამ გადაიტანა რამდენიმე ომი. ყოველივე ამან, დეინდუსტრიალიზებული სექტორებიდან გამოთავისუფლებულ უმუშევრად დარჩენილ სამუშაო ძალას თავის რჩენის მიზნით სოფლის მეურნეობაში გადანაცვლებისკენ უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, სწრაფი ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის დაძლევა და სიღარიბის აღმოფხვრა დღესაც რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევებად. ეს იმიტომ, რომ ბოლოდროინდელი რეფორმები ძირითადად ემსახურებოდა ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას და უგულებელყოფილი იყო ეკონომიკის სექტორული გადანაწილების, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და ტექნოლოგიური განახლების

საკითხები. ქვეყანას დღესაც არ გააჩნია ერთიანი, გრძელვადიანი ინდუსტრიული პოლიტიკა და სახელმწიფოს ჩარევა დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კუთხით არის ფრაგმენტული და არამიზნობრივი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა 42.7% მუშაობს, რაც, გაცილებით მეტია განვითარებული ქვეყნების იგივე მაჩვენებელზე, განსაკუთრებით იმ ფონზე როდესაც სოფლის მეურნეობა 2019 წლის მონაცემების მიხედვით მშპ-ს მხოლოდ 6.35% ქმნის. დამამუშავებელი მრეწველობის დარგში კი დასაქმებულია მუშახელის მხოლოდ 5.9% და დარგი მშპ-ს მხოლოდ 10.2% ქმნის. შესაბამისი მაჩვენებლები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 6.0% და 8.1%, საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 11.3% და 15.4%, საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში 17.5% და 20.7%, ხოლო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში 12.4% და 14.1%. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, ქვეყანას დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მსგავსი დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების დონე გააჩნია.

საქართველომ 2003 წლის შემდეგ მეტნაკლებად მოახერხა ფუნდამენტურ ფაქტორებში ინვესტირება და მათი გაუმჯობესება (ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები), თუმცა სტრუქტურული ტრანსფორმაციის (ინდუსტრიალიზაციის) გარეშე ქვეყნის ზრდა იქნება სტაბილურად ნელი, რაც ბუნებრივია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას ვერ გამოიწვევს. დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების გარეშე, სოფლად დასაქმებული 700,000 ადამიანზე მეტი რამდენიმე არჩევანის წინაშე დადგება: დარჩეს დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობაში, დაბალი კვალიფიკაციის ქონის გამო გადავიდეს სერვისის სექტორის დაბალპროდუქტიულ საქმიანობებში ან წავიდეს სამუშაოდ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ერის დაბერების პრობლემის გამო დღითიდღე იმატებს მოთხოვნა სამუშაოს უნარიან იმიგრანტებზე. ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ძალზედ საზიანო იქნება საქართველოს სამომავლო განვითარებისათვის.

გარდა სტრუქტურული ტრანსფორმაციის არგუმენტისა, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას ქვეყნისათვის სარგებლის მოტანა შეუძლია მთელი რიგი მიმართულებებით. საქართველო ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც მომხმარებლური ეკონომიკა და დაბალია მისი მწარმოებლურობის უნარი, შესაბამისად, ყოველწლიურად ღრმავდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, რაც ლარის კურსის გაუფასურებას და სხვა მრავალ ნეგატიურ ეფექტს იწვევს. ცალკე აღებული სავაჭრო დეფიციტი დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან განვითარებულ ქვეყნებსაც (მაგ. აშშ, საფრანგეთი, კანადა) გააჩნიათ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო. თუმცა, საგარეო სავაჭრო დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან თითქმის არცერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში არ აღემატება 5%-ს, ხოლო იგივე მაჩვენებელი საქართველოში დაახლოებით 35%-ის ტოლია, რაც საგანგაშოა.

შესაბამისად, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის. დარგის განვითარება ერთის მხრივ დააჩქარებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, რაც სწრაფი ეკონომიკური ზრდის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. ინდუსტრიალიზაციის შედეგად შემცირდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, გაიზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და შეიქმნება სტაბილური სამუშაო ადგილები, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების გარანტი გახდება.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პერსპექტივების ანალიზი და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა კვლევის შემდეგი ამოცანები:

1. ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების მნიშვნელობაზე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საქმეში;

2. ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიების, ინსტრუმენტებისა და განხორციელების გზების შესახებ;
3. საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციების სიღრმისეული ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა;
4. დამამუშავებელი მრეწველობის დარგის დღევანდელი გავლენის ანალიზი ქვეყნის ეკონომიკაზე და მისი მულტიპლიკატორული ეფექტის დათვლა;
5. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობის ანალიზი ქვეყნის სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაში;
6. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემაფერხებელი და ხელის შეშეშობი ფაქტორების იდენტიფიცირება;
7. საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის ანალიზი;
8. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის გზების და ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების იდენტიფიცირება.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს დამამუშავებელი მრეწველობის დარგი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის სამომავლო ზრდისა და განვითარებისათვის. კვლევა აგებულია საქართველოს მაგალითზე. კვლევის ობიექტს კი წარმოადგენს საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის დარგი, ქვეყნის ინდუსტრიული პოლიტიკა და სამრეწველო გარემო.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის დროს გამოყენებული იქნა ანალიზისა და სინთეზის, ისტორიულისა და ლოგიკურის, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის, „ქეის-სთადი“ და სტატისტიკის ანალიზის მეთოდები. ასევე, ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელი. მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული იქნა სტატისტიკური პროგრამა SPSS და ექსელის სტატისტიკური ფუნქციონალი.

ნაშრომი ეყრდნობა ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებს ინდუსტრიალიზაციასთან და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით; საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებსა და მონაცემებს; საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ მასალებს; სახელმწიფოს

მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციას. გამოკვლევა ჩატარებულია მსოფლიო ბანკის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროპის სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა მრავალი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეები:

- დამტკიცებულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისათვის.
- დეტალურადაა გაანალიზებული დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციები და გამოვლენილია რიგი პრობლემები.
- აგებულია დანახარჯები გამოშვების მოდელი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საქართველოში დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენის შეფასება მთლიანად ეკონომიკაზე. ასევე, დათვლილია ის მულტიპლიკატორული ეფექტი რომელიც დარგის კონკრეტულ საქმიანობებს აქვთ ქვეყნის ეკონომიკაზე.
- გამოვლენილია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხელის შემშლელი და მისი ხელშემწყობი ფაქტორები. ასევე, ქვეყნის ინდუსტრიული ძირითადი პოლიტიკის გამოწვევები.
- იდენტიფიცირებულია დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების კონკრეტული სტრატეგია, სახელმწიფოს მხარდაჭერის გზები და ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის თეორიული დასკვნები, შემუშავებული მეთოდოლოგიები და პრაქტიკული რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებული იქნას სახელმწიფო ორგანოების მიერ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კურსისა და ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ასევე, სადისერტაციო ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებული იქნას უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სახელმძღვანელო მასალა, მაგალითად ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სალექციო კურსში.

კვლევის შედეგების აპრობაცია: კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 4 საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებად ჟურნალში, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. კვლევის შედეგების წარდგენა მოხდა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მათ შორის 2019 წელს იტალიაში გამართულ კვლევით კონფერენციაზე „International Conference on Microeconomics and Economic Growth“, სადაც ნაშრომმა საუკეთესო ნაშრომის სტატუსი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის კვლევის შედეგები წარდგენილია პროფესორ ნოდარ ხადურის სახელობის 2020 წლის პრემიის მოსაპოვებლად და ელოდება საკონკურსო შედეგებს. სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და მიეცა დასტური საჯარო დაცვისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შესრულებულია 182 გვერდზე. იგი მოიცავს აბსტრაქტს ქართულ და ინგლისურ ენებზე, გრაფიკების, ცხრილებისა და სქემების ჩამონათვალს, შესავალს, 3 ძირითად თავს, 9 ქვეთავს, დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილს, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხასა და დანართებს. ნაშრომის I თავში განხილულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების როლი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში და ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიები და ინსტრუმენტები. ნაშრომის II თავში დამტკიცებულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარებისათვის, დაანგარიშებულია დარგის დღევანდელი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, დეტალურადაა გაანალიზებული დარგის განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციები და გამოვლენილია საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები. სადისერტაციო ნაშრომის III თავში იდენტიფიცირებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხელის შეშლელი და ხელის შეწყობი ფაქტორები და შემოთავაზებულია დარგის განვითარებისათვის საჭირო კონკრეტული სახელმწიფო მხარდაჭერის გზები და ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

თავი I - დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. დამამუშავებელი მრეწველობის როლი ეკონომიკურ განვითარებაში

ეკონომიკური ზრდა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, პროგრესთან, ცხოვრების მაღალ დონესთან და განვითარებასთან ასოცირდება. შესაბამისად, დღეს ყველა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნულს ქვეყანათა არც თუ ისე დიდი ჩამონათვალი ახერხებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში სწრაფი ეკონომიკური განვითარების პროცესი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი დაიწყო, რადგან ამ პერიოდამდე მათი ეკონომიკური ზრდა ნელი ტემპით ხასიათდებოდა (Kuznets, 1966). 1760-იანი წლების დასაწყისიდან, ცვლილებებმა მიწათმოქმედებაში, მრეწველობასა და ტექნოლოგიებში ღრმა ეფექტი მოახდინა საზოგადოებებზე, ეკონომიკებზე და კულტურულ გარემოებებზე. ამ პროცესმა, რომელიც „ინდუსტრიული რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი, ჯერ მოიცვა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები. შემდეგ, ის გავრცელდა ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიასა და ოსმალეთის იმპერიაში, ხოლო ბოლოს, მე-19 საუკუნის დასაწყისში, აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში (Allen, 2017). გამოყოფენ ოთხი ტიპის ინდუსტრიულ რევოლუციას მისი მახასიათებლებისა და დროის პერიოდის მიხედვით:

1. პირველი ინდუსტრიული რევოლუცია (1780) - ორთქლზე მომუშავე ძრავის შექმნა, რის შედეგადაც ადამიანის ხელი ჩაანაცვლა მანქანა-დანადგარებმა და გაზარდა მისი შრომის პროდუქტიულობა. ამ რევოლუციას სათავეში ინგლისი ედგა და მსოფლიო მასშტაბითაც უძლიერესი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობდა.
2. მეორე ინდუსტრიული რევოლუცია (1870) - ელექტროენერჯის გამოყენებით მასობრივ წარმოებას ჩაეყარა საფუძველი. შეიქმნა გამოგონებათა კასკადი, მათ შორის შიგაწვის ძრავა და თვითმფრინავი. დაიწყო ურბანიზაციის პროცესი. შეერთებულმა

შტატებმა დიდ ბრიტანეთს პირველობა ჩამოართვა, ხოლო ჩამორჩენილმა აგრარულმა რუსეთმა ზესახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა.

3. მესამე ინდუსტრიული რევოლუცია (1970) - ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, პერსონალური კომპიუტერებისა და ინტერნეტის განვითარება, რის შედეგადაც მოხდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია. თანდათან მცირდება ადამიანის როლი წარმოების პროცესში. პირველად ისტორიაში ეკონომიკურად ვითარდებიან ის ქვეყნები, რომელთა არსებობა დასავლურ სამყაროში ბევრს არც სმენოდა.
4. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია (2015) - ცნობილი როგორც „ინდუსტრია 4.0“, ამ რევოლუციის მიზანია კომპიუტერული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის და ავტომატიზაციის ერთგვარი სიმბიოზი, სადაც ადამიანის მთავარი ფუნქცია რობოტების და ხელოვნური ინტელექტის მართვაა. კლაუს შვაბის განმარტებით, ეს პერიოდი „წაშლის საზღვრებს ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის“ (Schwab, 2017).

ზემოთ აღწერილი სამი რევოლუცია ასევე ასახავს საზოგადოების ეკონომიკის სამ სექტორს შორის ცვალებად ბალანსს. თანამედროვე ეკონომიკა სამი მთავარი სექტორისა და ორი, შედარებით ახალი, ქვესექტორისაგან შედგება:


- ეკონომიკის პირველადი სექტორი (primary sector) - მრეწველობის მოპოვებითი დარგები, წიაღისეული, სოფლის მეურნეობა.
- ეკონომიკის მეორეული სექტორი (secondary sector) - დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერჯის მიწოდება, ასევე მშენებლობა.
- ეკონომიკის მესამეული სექტორი (tertiary sector) - მომსახურების სექტორი.
- ეკონომიკის მეოთხეული სექტორი (quaternary sector) - ეკონომიკის მესამეული სექტორის ნაწილი, მაგრამ მისი გაუმჯობესებული ფორმა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ცოდნაზე. ის შეიცავს ინტელექტუალურ მომსახურებას და კვლევას და განვითარება (R&D).
- ეკონომიკის მეხუთეული სექტორი (quinary sector) – ეკონომიკის მესამეული სექტორი ნაწილი, რომელიც ძირითადად შედგება მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღები

პირებისგან მთავრობაში, ბიზნესში, განათლებაში, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ეკონომიკაში “სექტორების” ცნება პირველად, 1935 წელს, ალან ფიშერის ნაშრომში „The Clash of Progress and Security” გაჩნდა. ფიშერის სამსექტორიანი მოდელის (three-sector model) თანახმად, ეკონომიკური პროგრესი, რომელიც ეკონომიკის პირველადი და მეორეული სექტორების განვითარების ხარჯზე მოხდებოდა, გამოიწვევდა ეკონომიკის მესამეული სექტორის აღმოცენებას და მის კიდევ უფრო გაძლიერებას (Fisher, 1935). მოგვიანებით, (Clark, 1940) განავითარა ფიშერის მოდელი, რამაც საფუძველი ჩაუყარა კლარკ-ფიშერის განვითარების თეორიას (Clark-Fisher model), რომლის თანახმადაც ქვეყანა განვითარების სამ ეტაპს გადის (იხ. გრაფიკი №1). ესენია:

1. პირველი ეტაპი (პრეინდუსტრიული ფაზა) - განვითარების ეტაპი როდესაც მუშახელის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის პირველად სექტორში, უმეტესწილად სოფლის მეურნეობაში, მცირე ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის მეორეულ სექტორში, ხოლო კიდევ უფრო მცირე ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის მესამეულ სექტორში. ამ ეტაპზე ქვეყნის განვითარების დონე დაბალია და ტექნოლოგიების მხოლოდ მცირედი გამოყენება შეინიშნება.
2. მეორე ეტაპი (ინდუსტრიული ფაზა) - განვითარების ეტაპი როდესაც ეკონომიკის პირველად სექტორში ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხარჯე აღარაა საჭირო დიდი რაოდენობით მუშახელი და ჭარბი მუშახელი გადადის ეკონომიკის მეორეულ სექტორში. განვითარების ამ ეტაპის ძირითად მახასიათებელი ინდუსტრიალიზაციაა. თანდათან იწყება ეკონომიკის მესამეული სექტორის, მომსახურების სექტორის, განვითარება.
3. მესამე ეტაპი (პოსტინდუსტრიული ფაზა) - განვითარების ეტაპი როდესაც ეკონომიკის პირველად და მეორეულ სექტორის დომინირებს ავტომატიზაცია, შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ამ სექტორებში მცირდება. მუშახელი მეორეული სექტორიდან გადადის ეკონომიკის მესამეულ სექტორში და სწორედ ამ დარგშია დასაქმებული მათი უმეტესობა. იწყება ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია.

გრაფიკი №1: კლარკ-ფიშერის განვითარების მოდელი



წყარო: ავტორის მიერ, კლარკ-ფიშერის მოდელზე დაყრდნობით


(Lewis, 1954) ეკონომიკური განვითარების ორსექტორიანი მოდელი (two sector model) კლარკ-ფიშერის მოდელის ერთგვარი ემპირიული განმტკიცებაა. თეორიის თანახმად იმისათვის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდეს საჭიროა მისი სტრუქტურული ტრანსფორმაცია და მუშახელის დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიული ინდუსტრიებში გადანაცვლება. (Kuznets 1966) ემპირიული კვლევაც იგივეს ამტკიცებს და ინდუსტრიალიზაციას თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევს.

(Rodrik 2013) ეკონომიკური ზრდის მიღწევის ორ მთავარ გზას გამოყოფს. პირველი, გულისხმობს ფუნდამენტური შესაძლებლობების - ადამიანური კაპიტალის, ფიზიკური კაპიტალის, ინსტიტუტების და ინფრასტრუქტურის - განვითარებას. ეს პროცესი მოიცავს ყველაფერს, დაწყებული ხარისხიანი განათლებიდან და ჯანდაცვიდან, დასრულებული გამართული მარეგულირებელი და საჯარო მმართველობის სისტემებით. თუმცა,

როდრიკი აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს, განვითარებადი ქვეყნებისთვის, საკმაოდ ნელი და ხარჯიანი პროცესია. მეორე გზას წარმოადგენს ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც იბადება ახალი მაღალპროდუქტიული ინდუსტრიები და მუშა ხელის დაბალპროდუქტიულ ინდუსტრიებიდან მათი მაღალპროდუქტიულ, თანამედროვე აქტივობებში გადანაცვლება ხდება. ბუნებრივი რესურსებით გამდიდრებული ქვეყნების გამონაკლისით, სწრაფი ეკონომიკური ზრდა თითქმის ყოველთვის სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგია. როდრიკი მიიჩნევს, რომ „ეკონომიკური სასწაული“ სწორედ ინდუსტრიალიზაციის შედეგია, როდესაც ზრდა ხდება დაბალი ფუნდამენტური შესაძლებლობის პირობებშიც კი - აუცილებელი არ არის ქვეყანას ჰქონდეს შვეიცარიის მსგავსი დემოკრატია და ინსტიტუციური ხარისხი, იმისათვის რომ ამ ქვეყანაში ნაწარმოებმა პროდუქციამ კონკურენცია გაუწიოს შვეიცარულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ამით აიხსნება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდა 1965-1990 წლებში (იხ. გრაფიკი №2). როდრიკი ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც ეკონომიკა ინდუსტრიალიზაციის შედეგად ვითარდება, დროთა განმავლობაში ქრება დუალიზმი სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ფუნდამენტურ შესაძლებლობებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭირო ხდება ფუნდამენტური ფაქტორების აკუმულირება, რის გარეშეც მხოლოდ სტრუქტურული ტრანსფორმაციით დამატებითი ეკონომიკური ზრდა ვეღარ მიიღწევა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ინდუსტრიალიზაცია - დამამუშავებელი მრეწველობის (manufacturing) წილის ზრდა მშპ-ში - აღარ არის განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი და რომ არ არის აუცილებელი განვითარებადმა ქვეყანამ განვითარების იგივე ტრაექტორია გაიაროს რაც მსოფლიოს უკვე მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოებმა (Bhagwati, 2010). ამის საფუძველს იძლევა მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის მზარდი ტენდენცია განვითარებად ქვეყნებში (მაგ. ინდოეთი), მაშინ როდესაც მათი შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით დაბალია განვითარებული ქვეყნების შემოსავალზე, მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში (Dasgupta and Sign, 2006; Ghani and O’Connel, 2014).

გრაფიკი №2: სამხრეთ აზიის ქვეყნების რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP), მედმივ 2011 წლის ფასებში, 1965-1990 წწ.




წყარო: ავტორის მიერ, www.ourworldindata.org მონაცემებზე დაყრდნობით

ამგვარი ადრეული დეინდუსტრიალიზაციის (premature deindustrialization) ან, ხშირ შემთხვევებში, არ-ინდუსტრიალიზაციის ტენდენცია (non-industrialization) ეკონომიკური ზრდის პირობებში, იძლევა გარკვეულ საფუძველს იმისა, რომ მომსახურების სექტორი დამამუშავებელ მრეწველობას გავუტოლოთ მისი მნიშვნელობითა და გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ზრდაზე მქონე ზემოქმედების მასშტაბით. მართალია, რომ მომსახურების სექტორს უკვე განვითარებულ ქვეყნებში, პოსტინდუსტრიულ ფაზაში, ძალზედ მნიშვნელოვანი როლი უკავია მათ სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაში, თუმცა საეჭვოა ის, რომ ამ სექტორს იგივე ზეგავლენა ექნება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე ინდუსტრიალიზაციის ფაზის სრული გამოტოვების ან ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის შემთხვევაში. (Rodrik, 2017) აღნიშნავს, რომ განვითარების კლარკ-ფიშერის ვექტორზე სვლა აუცილებელია მოხდეს თანმიმდევრობის დაცვით და თითქმის შეუძლებელია, განვითარებული ქვეყნის სტატუსის მიღწევა ან მათთან კონვერგენცია (convergence), პირველი ეტაპიდან განვითარების პირდაპირ მესამე ეტაპზე

გადასვლით, ინდუსტრიალიზაციის გარეშე. (Chang, 1994) თანახმად, მსოფლიოს ყველა განვითარებულმა ქვეყანამ განვითარების ეს ტრექტორია გაიარა და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შედეგად მოახერხა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსის მოპოვება. ის ტენდენცია, რომ ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ არ-ინდუსტრიალიზაციის ან ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის გზა აირჩია, მიუთითებს არა დამამუშავებელი მრეწველობის კლებად მნიშვნელობაზე ეკონომიკური განვითარების გზაზე, არამედ ამ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის მარცხზე, რადგან დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კონცენტრაცია მხოლოდ რამდენიმე დიდი ზომის განვითარებად ქვეყანაში მოხდა (მაგ. ჩინეთი, სამხრეთ კორეა) (Haraguchi et al. 2017). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სფეროს ვაჭრობადი სექტორები, როგორებიცაა მაგალითად, საბანკო, სადაზღვეო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორები, დღითიდღე უფრო მოთხოვნადი ხდება მსოფლიო ბაზარზე და შესაძლოა ამ სექტორებში სპეციალიზაცია ერთგვარი „ესკალატორი“ გახდეს განვითარებადი ქვეყნებისთვის აგრარული ეკონომიკიდან პირდაპირ წარმატებული მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სექტორები მოითხოვენ ძალზედ მაღალკვალიფიციურ და განათლებულ მუშახელს, რაც განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ მწირია. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში, ამ ქვეყნებში მუშახელი სოფლის მეურნეობიდან სერვისის დაბალპროდუქტიულ სექტორებში გადადის, მაგალითად საცალო ვაჭრობაში ან სარესტორნო/განთავსების სექტორებში, რაც სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის გარანტი ვერ გახდება. დამამუშავებელი მრეწველობის სექტორს კი დიდი რაოდენობით დაბალკვალიფიციური მუშახელის აბზორბაცია შეუძლია სოფლის მეურნეობიდან მათი შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის პარალელურად, რაც ეკონომიკური ზრდის საწინდარია. ინდოეთისა და ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოცდილებაც ამაზე მოწმობს - ინდოეთმა აირჩია სერვისზე ორიენტირებული ზრდა (service-led growth), ხოლო ჩინეთმა კი დამამუშავებელ მრეწველობაზე ორიენტირებული საექსპორტო ზრდა (manufacturing-led export growth) და შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით ჩინური განვითარების მოდელის უპირატესობაში. 1993 წლისთვის ჩინეთისა და ინდოეთის მშპ ერთ სულ


მოსახლეზე (PPP) ერთმანეთს უტოლდებოდა, ხოლო 2018 წლის იგივე მაჩვენებელი ჩინეთში დაახლოებით სამჯერ მეტია ვიდრე ინდოეთში (იხ. გრაფიკი №3). გრაფიკი №4, რომელიც ასახავს დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულების ზრდის ტემპისა და მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპს შორის დამოკიდებულებას 1990-2018 წლების პერიოდისათვის, იგივე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს - იკვეთება მჭიდრო კორელაცია ინდუსტრიალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის და დამამუშავებელი მრეწველობა შესაძლებელია მივიჩნიოთ ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად (engine of growth). მეტიც, სტატისტიკის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები დღეს განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში იმყოფებიან დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმების წილის (%) გადმოსახედიდან, ამ დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (% მშპ) დღესდღეობითაც საკმაოდ მაღალია ბევრ მათგანში, რაც ამ დარგის თანამედროვე მნიშვნელობაზეც მიუთითებს (იხ. გრაფიკი №5).

გრაფიკი №3: დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულება (% მშპ) და მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP), ინდოეთი და ჩინეთი, 1990-2018 წწ.




წყარო: ავტორის მიერ, Trading Economics-ის და მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №4: ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდა, მსოფლიო, 1990-2018 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №5: დამამუშავებელი მრეწველობის შილი მშპ-ში და დასაქმებაში, 2000-2017 წწ.



* შერჩეული ქვეყნები: ირლანდია, გერმანია, სინგაპური, იაპონია, შვეიცარია, სამხრეთ კორეა

წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკისა და ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

სამეცნიერო ლიტერატურაში, გამოყოფენ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების განსაკუთრებულ მახასიათებლებს, რომლებიც მას ეკონომიკის სხვა დარგებისგან გამოარჩევს:

- *დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სხვა სექტორებში პროდუქტიულობის გაზრდისათვის და მათი შემდგომი განვითარებისათვის.* სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის ამაღლება სწორედ მანქანა-დანადგარების, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, პესტიციდების, სასუქების და სხვა მრავალი სახის პროდუქციის შექმნის შედეგად გახდა შესაძლებელი. სერვისის სექტორის განვითარებაც სხვადასხვა ქვეყნაში მეტწილად დამამუშავებელი წარმოების განვითარების შედეგია (Park and Chan, 1989), რადგან, მაგალითად ტრანსპორტის, ლოგისტიკა და კავშირგაბმულობის დარგს სჭირდება ტელეფონები, მანქანები, თვითმფრინავები და ა.შ. ხოლო საბითუმო და საცალო ვაჭრობის დარგი კი ნაწარმოები პროდუქციის გარეშე ვერ იარსებებს.
- *დამამუშავებელი მრეწველობის დარგი ქმნის მეტ სამუშაო ადგილს ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები.* იქედან გამომდინარე, რომ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის სხვა დარგების აღმოცენებას და განვითარებას, ამ დარგს დასაქმების ყველაზე მაღალი მულტიპლიკატორი (employment multiplier) გააჩნია. ევროკომისიის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის დასაქმების მულტიპლიკატორი აღემატება სხვა დარგების იგივე მაჩვენებლებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითო დამატებითი სამუშაო ადგილი დამამუშავებელ მრეწველობაში ირიბად ქმნის მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები (Robert and Ward, 2012).
- *დამამუშავებელი მრეწველობა ხელს უწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს.* ტექნოლოგიური პროგრესი კრიტიკული მნიშვნელობაა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან სწორედ ამ ტიპის პროგრესის საშუალებითაა შესაძლებელი მუშახელის პროდუქტიულობის გაზრდა (Greenwood at el. 1997). ტექნოლოგიური სიახლის უმეტესი ნაწილი კი დამამუშავებელი მრეწველობის დარგში იქმნება და

შემდეგ ვრცელდება ეკონომიკის სხვა სექტორებში, შესაბამისად, გადაღვრის ეფექტი (spillover effect) ამ დარგში განსაკუთრებულად დიდია სხვა დარგებისგან განსხვავებით (Tregenna, 2008). მიიჩნევა, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის ახალი ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკების გადმოღება განვითარებული ქვეყნებიდან სწორედ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებითაა შესაძლებელი (Jones and Olken, 2005). მეტიც, ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, კერძო R&D ხარჯების ორ მესამედზე მეტი დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ხორციელდება.

- *დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება ქმნის დაზოგვის სტიმულს.* ეროვნული დანაზოგის დონის გაზრდა, მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და, ნეოკლასიკური ზრდის თეორიის თანახმად, დანაზოგები გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. რადგან დამამუშავებელი მრეწველობის დარგს დიდი რაოდენობით კაპიტალი და ინვესტიციები სჭირდება, სავარაუდოა რომ ამ დარგის განვითარება კერძო დანაზოგების ზრდას გამოიწვევს. მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკების ინდუსტრიალიზაციის პერიოდი დანაზოგების მაღალი ტემპით ხასიათდებოდა (Park, 2002).
- *დამამუშავებელი მრეწველობის დარგს გააჩნია მეტი საექსპორტო პოტენციალი ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებს.* ექსპორტის ზრდის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში სამეცნიერო ლიტერატურაში დავის საგანს აღარ წარმოადგენს - ექსპორტის ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის მჭიდრო სტატისტიკური კორელაცია არსებობს (Tyler, 1981; Ram, 1987; Sengupta and Espana, 1994; Balassa, 1978). საქონელი, სერვისებთან შედარებით, მეტად ვაჭრობადია, რადგან უმეტეს სერვისებს სჭირდება კლიენტის და მომსახურების გამწევის ერთი და იგივე ადგილზე ყოფნა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვითაც, მსოფლიო ვაჭრობის 80%-ზე მეტი მოდის საქონლით ვაჭრობაზე, ხოლო დაახლოებით 20% კი სერვისებით ვაჭრობაზე, შესაბამისად, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას მეტი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია.

მსოფლიო სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურა მეტწილად თანხმდება დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კრიტიკულ მნიშვნელობაზე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში და იმაზე, რომ ინდუსტრიალიზაციის გარეშე თითქმის შეუძლებელია მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან მათი კონვერგენცია. შესაბამისად, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება განსაკუთრებულად პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობებისათვის. თავის მხრივ, ამ ტიპის პროცესმა, გაძლიერა სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სტიმულირებაში სამრეწველო პოლიტიკის გატარების კუთხით და გააჩინა დებატები ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნის საჭიროების, მისი მოწყობის ფორმებისა და პოტენციალის შესახებ.

1.2. ინდუსტრიული პოლიტიკა: თეორიები, ინსტრუმენტები და განხორციელების გზები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინდუსტრიული პოლიტიკის გატარება პოპულარული გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რადგან ის იყო ერთგვარი სიმბოლო სახელმწიფო კონტროლისა და გეგმარებისა, რაც ომის შემდგომ პერიოდში საჭიროებას წარმოადგენდა. ამ პერიოდში პოლიტიკამ ბევრი ფორმა მიიღო, იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკიდან (import substitution) დაწყებული, ახალბედა ინდუსტრიების დაცვითა და ექსპორტის წახალისების პოლიტიკით (export promotion) დასრულებული (Cimoli et al. 2009). ამ ტიპის პოლიტიკის აუცილებლობა განმტკიცებული იყო იმ იდეით, რომ საბაზრო ჩავარდნები (market failures) (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) ფართოდ გავრცელებულია და რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმატორის როლი, რადგან ჩავარდნების გამო შეუძლებელია დაველოდოთ განვითარების ავტომატურად განხორციელებას (Robinson, 2009). (Grossman, 1990) თანახმად, ინტერვენციის არგუმენტები შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ: მასშტაბის ეკონომიურობა, გარეგანი ეფექტები და არასრულყოფილი კაპიტალის ბაზარი (შეჯამებისათვის, იხ. ცხრილი №1).

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, იდეა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ჩავარდნა (government failures) უფრო უარესია ვიდრე საბაზრო ჩავარდნა, ფართოდ დომინირებდა, შესაბამისად, ტერმინი „ინდუსტრიული პოლიტიკა“ არაპოპულარული გახდა ბევრ ქვეყანაში (Krueger, 1993). ამ პერიოდში, ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორად, არა ინდუსტრიალიზაცია და ინდუსტრიული პოლიტიკა, არამედ ბაზრის ეფექტიანობა და მისი თვითორგანიზების უნარი მიიჩნეოდა, რომელიც ცნობილია როგორც ვაშინგტონის კონსესუსი. თუმცა ვაშინგტონის კონსესუსის პოლიტიკის შედეგები ბევრ ქვეყანაში არცთუ წარმატებული აღმოჩნდა და ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელმაც განსხვავებული პოლიტიკა გაატარა უკეთესი შედეგი მიიღო. ვაშინგტონის კონსესუსის მარცხის საყოველთაო აღიარებამ, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წარმატების მაგალითებმა, ე.წ. „აზიურმა სასწაულმა“,

ცხრილი №1: საბაზრო ჩავარდნები და სახელმწიფო ინტერვენციის არგუმენტები

საბაზრო ჩავარდნები	ჩავარდნის არსი
<p>მასშტაბის ეკონომიურობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მასშტაბის ეკონომიურობა (economies of scale) - მასშტაბის ეკონომიურობის მიღწევა მნიშვნელოვანია წარმოების მომგებიანობისათვის, თუმცა ამისათვის დიდი ოდენობით მუდმივი ხარჯის გაღებაა საჭირო. ხშირ შემთხვევაში ეს იწვევს მეწარმეების მიდრეკილებას განახორციელონ ინვესტიციები ტრადიციულ დარგებში და მათ ექსპერიმენტების ჩატარების მოტივაციას უკარგავს, რაც მნიშვნელოვანია ახალი ინდუსტრიების წარმოჩენისათვის და ტექნოლოგიური განვითარებისათვის. • სწავლება კეთებით (learning by doing) - რაც უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს კომპანია, მით უფრო მეტს სწავლობს და მეტად ეფექტიანი ხდება მისი საქმიანობა. თუმცა, წარმოების საწყის ეტაპზე სავარაუდოა, რომ წარმოება არამომგებიანი იქნება, რამაც შესაძლებელია კომპანიების ბაზარზე არ შესვლა გამოიწვიოს.
<p>გარეგანი ეფექტები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ცოდნის გადაღრა (knowledge spillover) - ინოვაციასთან დაკავშირებული რისკების სრულად საკუთარ თავზე აღების ეკონომიკური საფუძველი კერძო სექტორს, როგორც წესი, არ აქვს, რადგან დანახარჯი არის კერძო და სარგებელი - საჯარო. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა ნაწილობრივ საპატენტო სისტემის საშუალებით გვარდება, თუმცა განვითარებას ქვეყნებში ეს სისტემა გაუმართავად მუშაობს, რადგან ბევრი ახალი ტექნოლოგია ამ ქვეყნებში არის სხვა ქვეყნებიდან „გადმოღებული ტექნოლოგია“. • კოორდინაციის პრობლემები (coordination problems) - ხშირ შემთხვევაში, სამეწარმეო ინიციატივის განხორციელება აქტივობაში სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული პირობის უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. მხარეების მიერ

	<p>ერთმანეთის მოძიებისა და დიალოგის გამართვის განუხორციელებლობა კი, როგორც წესი, აღნიშნულ სამეწარმეო ინიციატივას რეალიზების გარეშე ტოვებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სხვადასხვა მეწარმის საინვესტიციო გადაწყვეტილებების კოორდინირება.</p>
<p>კაპიტალის ბაზრის არასრულყოფილება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ასიმეტრიული ინფორმაცია (informational asymmetries) - ხშირად მსესხებელს უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნია პროექტის რისკისა და სარგებლის შესახებ ვიდრე გამსესხებელს. შესაბამისად, კომპანიები რომელთაც გააჩნიათ რისკიანი, მაგრამ დიდი პოტენციური სარგებლის მქონე პროექტები (მაგ. ინოვაციური პროექტები, high-tech პროექტები), ხშირად ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემის წინაშე დგანან, რადგან კომერციული ბანკებისთვის მათი პროექტები ზედმეტად რისკიანია.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (Grossman, 1990) დაყრდნობით.

გააჩინა ახალი დებატები ინდუსტრიული პოლიტიკის აკადრგანობის შესახებ (Rodrik, 2014; Warwick, 2013).

ინდუსტრიული პოლიტიკის საკამათო ბუნება იმაშიც ვლინდება, რომ არ არსებობს მისი საყოველთაოდ აღიარებული განმარტება (Stiglitz and Lin, 2013; Warwick 2013; Stiglitz and Greenwald, 2015). მეცნიერების ნაწილი ინდუსტრიულ პოლიტიკად მიიჩნევს ყველა იმ პოლიტიკას რომელსაც გავლენა აქვს ეკონომიკის ნებისმიერ დარგზე ან დარგებზე (Noman and Stiglitz, 2017). ამ ტიპის განზოგადებული განმარტება ნაკლებ დისკუსიას ბადებს, ვიდრე ინდუსტრიული პოლიტიკის ვიწრო ჭრილში განმარტება, როგორც პოლიტიკა, რომელიც არის „სელექციური“, „სექტორული“ ან „მიზნობრივი“ და გამიზნულად ახდენს ეკონომიკის კონკრეტული დარგის ან დარგების განვითარებას ეკონომიკის მთლიანი გაჯანსაღებისათვის. დღეს ეკონომისტთა უმრავლესობა, სკეპტიკოსებიც კი, თანხმდება იმაზე, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა საჭიროა და საკითხი მდგომარეობს არა იმაში, გატარდეს თუ არა ინდუსტრიული პოლიტიკა, არამედ

იმაში თუ როგორი ინდუსტრიული პოლიტიკა და რა ფორმით უნდა განხორციელდეს (Cunningham and Meyer-Stamer, 2005).

მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა იყოს ზოგადი (ჰორიზონტალური ტიპის), ვიდრე სელექციური (ვერტიკალური ტიპის). მათი აზრით საელმწიფომ აქცენტი უნდა გააკეთოს განათლების, ინფრასტრუქტურისა და R&D-ის გაუმჯობესებაზე ისე, რომ სარგებელი თანაბრად ნახოს ეკონომიკის ყველა დარგმა, და არა „გამარჯვებულების ამორჩევაზე“ (picking winners), რაც გულისხმობს კონკრეტული დარგის ან დარგების (კომპანიებისაც კი) სხვებზე უმჯობესად მიჩნევას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში, რამდენადაც „ზოგადი“ არ უნდა ჩანდეს პოლიტიკა, მას უკლებლივ ყოველთვის გააჩნია დისკრიმინაციული, სელექციური ბუნება - ზოგს მეტად, ზოგს კი ნაკლებად (Kozul-Wright et al. 2014). შესაბამისად, სელექციურების სრულებით თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია, ხოლო ის თუ რამდენად სელექციური უნდა იყოს პოლიტიკის ბუნება, დამოკიდებულია მისი გამტარებელი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონიუნქტურაზე (Chang and Andreoni, 2016).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ინდუსტრიული პოლიტიკის სამიზნე დარგების სასურველ მახასიათებლებს. (Reich, 1982) მიიჩნევს რომ ამ დარგებს უნდა ჰქონდეთ საექსპორტო, დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნის და ცოდნის შექმნის პოტენციალი. (Ocampo et al. 2009) მიიჩნევს, რომ ინდუსტრიულმა პოლიტიკამ უნდა მოახდინოს ისეთი აქტივობების წინ წამოწევა, რომელთაც გააჩნიათ ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების პოტენციალი და მჭიდრო კავშირები (linkages) ეკონომიკის სხვა დარგებთან და მთლიანად ეკონომიკასთან. ამ მახასიათებლების მიხედვით, დამამუშავებელი მრეწველობის დარგი ინდუსტრიული პოლიტიკის საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა, აღარ შემოიფარგლება მხოლოდ დამამუშავებელი მრეწველობის დარგით და შესაძლოა ვრცელდებოდეს როგორც სერვისების სექტორზე, ასევე არატრადიციულ სოფლის მეურნეობაზეც, რადგან ეს

დარგები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ხელს უწყობენ ერთმანეთის განვითარებას (Szirmai et al. 2013).

ინდუსტრიული პოლიტიკის საკამათო ბუნებიდან გამომდინარე, არ არსებობს კონკრეტული ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა ფორმის უნდა იყოს პოლიტიკა ან თუ რა გზებით უნდა განხორციელდეს ის. სხვადასხვა ქვეყნების წარმატება ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებაში ხშირად დამოკიდებული იყო მათ ინსტიტუტებზე, დროის მონაკვეთზე, ბუნებრივი რესურსების ქონა-არქონაზე და ა.შ. ეკონომიკური ისტორია ცხადყოფს, რომ რამდენადაც მნიშვნელოვანია წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, იმდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკის ლოკალიზება და ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება. მიუხედავად ქვეყანათაშორისი განსხვავებებისა, მეცნიერები გამოყოფენ ინდუსტრიული პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებსა და პოლიტიკის იმპლემენტაციის სასურველ გზებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია სხვადასხვაგვარი თვისებებით. (Di Maio, 2009) გამოყოფს ინოვაციებისა და ტექნოლოგიურ პოლიტიკას, განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პოლიტიკას, სავაჭრო პოლიტიკას, გამიზნულ დარგობრივ პოლიტიკას და კონკურენციის პოლიტიკას როგორც ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტებს. (Warwick, 2013) გამოყოფს პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საქონლის, კაპიტალის, შრომისა და მიწის ბაზარებზე, ასევე, ტექნოლოგიებსა და ინსტიტუტებზე. შედარებით ახალი კლასიფიკაცია (Weiss, 2015) მიერ, განსაზღვრავს ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტების ხუთ კატეგორიას: ინსტრუმენტები რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქონლის ბაზარზე, შრომის ბაზარზე, კაპიტალის ბაზარზე, მიწის ბაზარზე და ტექნოლოგიებზე. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, ინსტრუმენტები დამატებით გაყოფილია ორ კატეგორიად: საბაზრო ინსტრუმენტებად, რომლებიც გავლენას ახდენენ გადასახადებსა და ფასებზე, და საზოგადოებრივ საქონლად, რომელსაც კერძო სექტორი საკმარისად ვერ უზრუნველყოფს ხარჯების, კოორდინაციის პრობლემების და გარეგანი ეფექტების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის ინსტრუმენტების ნაწილი არის

საკმაოდ ხარჯიანი და მოითხოვს როგორც ფისკალურ სიძლიერეს ასევე სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების შეგროვების და მისი ადმინისტრირების უნარს. ამ გადმოსახედიდან, (Weiss, 2015) კატეგორიზაციის უპირატესობა ის არის, რომ გვთავაზობს ინსტრუმენტებს როგორც დაბალი¹, ასევე საშუალო შემოსავლის² მქონე ქვეყნებისთვის (იხ. ცხრილი №2 და ცხრილი №3).

ცხრილი №2 გვიჩვენებს ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტებს დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისათვის. საქონლის ბაზრის საბაზრო ინსტრუმენტები მიზნად ისახავს დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას და მისი პროდუქტიულობის გაზრდას. საიმპორტო გადასახადები და ექსპორტის სუბსიდირება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა, თუმცა დღევანდელი გლობალური სავაჭრო სისტემაში ისინი აკრძალული ან არარეკომენდირებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ, განსაკუთრებით პატარა ზომის ქვეყნებისთვის. შესაბამისად, ექსპორტის წახალისებისათვის ალტერნატიული ინსტრუმენტები, როგორებიცაა გადასახადების უკან დაბრუნების სქემა (იმპორტირებულ საქონელზე რომელიც შემდგომ საექსპორტოდ გამოიყენება) (duty-draw back) და საგადასახადო შეღავათები (tax-credit), მეტად რეკომენდირებულად მიიჩნევა. ექსპორტის მეტად წახალისებისათვის, ასევე რეკომენდირებულია საბაზრო ინსტრუმენტების უცხოელ ინვესტორებთან გამოყენება, მაგალითად მათთვის სპეციალური საგადასახადო განაკვეთის ან შეღავათების განსაკუთრებული პაკეტის შეთავაზება.

საქონლის ბაზარზე საზოგადოებრივი საქონლის ნაწილში, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ისეთი ტიპის ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბაზრის შიდა კავშირების განვითარებას. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამოყენება და ადგილობრივი პროდუქციაზე უპირატესობის მინიჭება ამის ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან ამ გზით ადგილობრივ მწარმოებლებს ექმნებათ გასაღების დამატებითი ბაზარი. თუმცა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ბაზარს აუცილებელია ჰქონდეს

¹ მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) 3,000 აშშ დოლარზე ნაკლები

² მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) 3,000 და 15,000 აშშ დოლარს შორის

ცხრილი №2: ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფისათვის

	პოლიტიკის ინსტრუმენტები	
	საბაზრო ინსტრუმენტები	საზოგადოებრივი საქონელი
საქონლის ბაზარი	საიმპორტო ტარიფი, ექსპორტის სუბსიდირება, გადასახადების უკან დაბრუნება (duty draw-back), საგადასახადო შეღავათი (tax credit), საინვესტიციო/FDI სტიმულები	სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, სავაჭრო ბაზრობები/გამოფენები, ქვეყნის ბრენდის უკეთ წარმოჩენა საერთაშორისო ინვესტორებთან FDI მოსაზიდად, ინვესტიციის ხელშემწყობი სააგენტოები
შრომის ბაზარი	საგადასახადო შეღავათი (wage tax credit), სუბსიდია, სატრენინგო გრანტები	პროფესიული სასწავლებლები, ტრენინგ ცენტრები
კაპიტალის ბაზარი	მიზანმიმართული დაკრედიტების პოლიტიკა, საპროცენტო შეღავათები	საბანკო გარანტია, განვითარების ბანკის შექმნა
მიწის ბაზარი	ქირის სუბსიდია	EPZs, SEZs, საკვანძო ინფრასტრუქტურა, საკანონმდებლო ცვლილებები, საინკუბაციო პროგრამები
ტექნოლოგიები		ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერის წახალისება

წყარო: (Weiss, 2015: 9)

უნარი სახელმწიფოს მიაწოდოს საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ხარისხის, ისე მინიმალური ფასის სტანდარტებს. სახელმწიფოს ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ადგილობრივ მწარმოებლებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის კავშირების გამყარებას სავაჭრო ბაზრობების/გამოფენების ორგანიზებით და მწარმოებლებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის გზით. ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოზიდვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის დარგების განვითარებაში, თუმცა მათ მოსაზიდად მხოლოდ საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება (მაგ. ბიუროკრატის შემცირება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება) არ არის საკმარისი და დამატებით საჭიროა ქვეყნის ბრენდის უკეთ წარმოჩენა, სახელმწიფოს მხრიდან ადმინისტრაციულ საკითხების გამარტივება და ადეკვატური კვალიფიკაციის მუშახელის მიწოდება.

ტიპურად, იაფი მუშახელი წამყვანი რესურსია დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, თუმცა დამამუშავებელი მრეწველობის განსავითარებლად დაბალკვალიფიციური მუშახელის გადამზადება აუცილებლობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით, შრომის ბაზრის საბაზრო ინსტრუმენტებად შეიძლება განვიხილოთ კომპანიებისათვის თანამშრომლების გადამზადებისათვის საჭირო გრანტების გამოყოფა, ასევე, დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ხელფასების სუბსიდირება. რაც შეეხება, საზოგადოებრივ საქონელს, სახელმწიფოს შეუძლია შექმნას პროფესიული სასწავლებლები და ტრენინგ ცენტრები დარგისთვის საჭირო კვალიფიკაციის მისაღებად. რეკომენდირებულია ამ ტიპის სასწავლებლების კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში შექმნა.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა ხშირ შემთხვევაში ინვესტიციების მთავარი შემზღვეველი ფაქტორია. ამ მიმართულებით რეკომენდირებულია საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმების გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ასევე, მნიშვნელოვანია განვითარების ბანკის შექმნა სახელმწიფოს მხრიდან მაღალრისკიანი პროექტების დაფინანსებისათვის, რომელთაც, სხვა შემთხვევაში, კომერციული ბანკები არ დააფინანსებდნენ. განვითარების ბანკის სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს დარგები, რომელთაც გააჩნიათ განვითარების

მაღალი პოტენციალი და გადაღვრის ეფექტი და რომელთაც კერძო სექტორი სხვადასხვა დაბრკოლებების გამო ვერ ავითარებს.

მიწის ბაზრის ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები ძირითადად მიმართულია ქარხნების განვითარებაზე კონკრეტულ გეოგრაფიულ ლოკაციებსა და ზონებში, რათა კომპანიებმა ისარგებლონ აგლომერაციის ეკონომიით (agglomeration economies), რომელიც წარმოიშვება ქარხნების ერთმანეთთან ახლოს ყოფნით. ამ მიმართულებით მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ახორციელებს კლასტერულ პროგრამებს (cluster programmes), რომლებიც შექმნილია იმისათვის, რომ რამდენიმე კომპანიამ ერთობლივად გამოიყენოს კვალიფიციური მუშახელი, კარგი ინფრასტრუქტურა, დინამიური ბიზნეს გარემო, დანადგარები, მარკეტინგული გუნდი და ა.შ. სახელმწიფომ, განვითარებად ქვეყნებში, ხელი უნდა შეუწყოს ამ ტიპის კლასტერების განვითარებას კომპანიებისათვის ქარხნის ადგილის გამოყოფით სპეციალურ ზონებში, სადაც იქნება გამართული ინფრასტრუქტურა და დინამიური ბიზნეს გარემო. ზონებს შესაძლოა მიენიჭოს ექსპორტის დამამუშავებელი ზონის (EPZ) სტატუსი ან სპეციალური ეკონომიკური ზონის (SEZ) სტატუსი, რის შემთხვევაშიც, ამ ზონებში განთავსებული კომპანიები გათავისუფლებულნი იქნებიან სხვადასხვა ტიპის გადასახადებისაგან.

განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში, ტექნოლოგიური ოსტატობა ძირითადად წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში არსებული ტექნოლოგიების იმიტაციას. ამ კონტექსტში, აუცილებელია ტექნოლოგიური პოლიტიკა მიმართული იყოს „იმპორტირებული“ ინოვაციების ცოდნის გაუმჯობესებისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ისეთი FDI-ების წახალისება, რომელთაც ტექნოლოგიების ტრანსფერის პოტენციალი გააჩნიათ. ასევე, რეკომენდირებულია სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივ მწარმოებლებზე საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება და უცხოელი მომწოდებლების მოძიებაში მათი დახმარება.

ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები (Weiss, 2015)-ის მიხედვით საშუალო შესავლის მქონე ქვეყნებისათვის მსგავსია დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ინსტრუმენტების (იხ. ცხრილი №3). თუმცა, განსხვავებები საყურადღებოა ძირითადად კაპიტალის ბაზრისა და ტექნოლოგიების ნაწილში, იმის გათვალისწინებით, რომ

ცხრილი №3: ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფისათვის

	პოლიტიკის ინსტრუმენტები	
	საბაზრო ინსტრუმენტები	საზოგადოებრივი საქონელი
საქონლის ბაზარი	საიმპორტო ტარიფი, ექსპორტის სუბსიდირება, გადასახადების უკან დაბრუნება (duty draw-back), საგადასახადო შეღავათი (tax credit), საინვესტიციო/FDI სტიმულები	სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, სავაჭრო ბაზრობები/გამოფენები, ქვეყნის ბრენდის უკეთ წარმოჩენა საერთაშორისო ინვესტორებთან FDI მოსაზიდად, ინვესტიციის ხელშემწყობი სააგენტოები
შრომის ბაზარი	საგადასახადო შეღავათი (wage tax credit), სუბსიდია, სატრენინგო გრანტები	პროფესიული სასწავლებლები, ტრენინგ ცენტრები
კაპიტალის ბაზარი	მიზანმიმართული დაკრედიტების პოლიტიკა, საპროცენტო შეღავათები	ფინანსური რეგულაციები, განვითარების ბანკის შექმნა, ვენჩორული კაპიტალი
მიწის ბაზარი	ქირის სუბსიდია	EPZs, SEZs, საკვანძო ინფრასტრუქტურა, საკანონმდებლო ცვლილებები, საინკუბაციო პროგრამები
ტექნოლოგიები	R&D სუბსიდირება, სამეცნიერო გრანტები	სახელმწიფო კვლევითი ცენტრები, კერძო-საჯარო კვლევითი კონსორციუმი, ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერის წახალისება

წყარო: (Weiss, 2015: 23)

განვითარების ამ ეტაპზე შესაძლებელია წარმოების მეტად დივერსიფიცირება, და მეტი ტექნოლოგიური და ინოვაციური შესაძლებლობების განვითარება. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტრუმენტები შედარებით ძვირი და კომპლექსურია. მოსალოდნელია, რომ საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში კაპიტალის ბაზარიც მეტად განვითარებული იქნება, რაც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, რეკომენდირებულია სახელმწიფოს მხრიდან ვენჩორული კაპიტალის ბაზრის განვითარება, მაღალ რისკიანი და განვითარების დიდი პოტენციალის მქონე პროექტების დაფინანსებისათვის. რადგან განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად, კომპანიები მათ ტექნიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს გაზრდიან, საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენება ნაკლებად საჭიროა და აქცენტი უნდა გაკეთდეს კოორდინაციის პრობლემების აღმოფხვრასა და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ამ მიმართულებით შესაძლებელი და რეკომენდირებულია R&D აქტივობების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან, კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის დაფინანსების გამოყოფა, და კერძო-საჯარო კვლევითი კონსორციუმის შექმნა, სადაც გაერთიანებული იქნებიან როგორც უნივერსიტეტები, ისე კომპანიები და სახელმწიფო ორგანოები ერთობლივი მიზნის მიღწევისათვის.

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO, 2020) მიხედვით, ისტორიის მანძილზე, ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტები განსხვავებული იყო სხვადასხვა ქვეყნებისათვის, თუმცა მათ მაინც გააჩნდათ საერთო მახასიათებლები. ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკის რამდენიმე ინსტრუმენტი დღესაც ძალზედ ეფექტიანი შეიძლება იყოს. კერძოდ:

1. შუალედური ტექნოლოგიური ინსტიტუტების დაარსება აგრო სფეროში პროდუქტიულობის გაზრდისათვის (საუკეთესო მაგალითები: ბრაზილია, ეთიოპია, მალაიზია, ამერიკის შეერთებული შტატები).
2. პროფესიული განათლების ხელშეწყობა ტექნოლოგიური ცოდნის აზორობაციისა და მისი გავრცელებისთვის (საუკეთესო მაგალითები: ჩინეთი, გერმანია, იაპონია).
3. ინდუსტრიული კვლევითი ინსტიტუტების დაარსება (ჩინეთი, გერმანია, იაპონია).

4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის დახვეწა და ინვესტიციების საშუალებით ტექნოლოგიური ტრანსფერის წახალისება (საუკეთესო მაგალითები: ჩინეთი, იაპონია, ვიეტნამი).
5. ექსპორტის დამამუშავებელი ზონების (EPZ) შექმნა საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის (საუკეთესო მაგალითები: ჩინეთი, ეთიოპია, ვიეტნამი).
6. განვითარების ბანკების შექმნა ან/და ისეთი დაფინანსების მექანიზმების შექმნა, რომელიც გრძელვადიან კრედიტს უზრუნველყოფს (საუკეთესო მაგალითები: ბრაზილია, ეთიოპია, ჩინეთი, გერმანია).
7. ინვესტიციების კვლევაში და განვითარებაში კონცენტრირება და კომპანიებისთვის წარმოებისა გაფართოებასა და არსებული ტექნოლოგიების განახლებაში ხელის შეწყობა (საუკეთესო მაგალითები: ჩინეთი, იაპონია, მალაიზია, ამერიკის შეერთებული შტატები).
8. შედეგზე ორიენტირებული ინოვაციური პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს უწყობს ახალი ბაზრების შექმნას და არსებული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებას (საუკეთესო მაგალითები: ჩინეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები).
9. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდას (საუკეთესო მაგალითები: ჩინეთი, ეთიოპია, ინდონეზია, მალაიზია, ვიეტნამი).
10. ბუნებრივი რესურსების ეკონომიკის პროდუქტიული სექტორებისკენ მიმართვა (საუკეთესო მაგალითები: ინდონეზია, მალაიზია).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სწრაფად მზარდი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ახორციელებს ინდუსტრიულ პოლიტიკას და იყენებს სხვადასხვა ინდუსტრიული პოლიტიკის ზემოთ გაანალიზებულ ინსტრუმენტებს. თუმცა, აღნიშნული, ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც ინდუსტრიული პოლიტიკის ამა თუ იმ ინსტრუმენტის გამოყენებას შეეცდება, სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპს მიაღწევს. მეტიც, ინდუსტრიული პოლიტიკის ესა თუ ის ინსტრუმენტი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ არსებული პრობლემიდან

გამომდინარე, პირდაპირ უნდა პასუხობდეს ამოცანას და მორგებული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. მიუხედავად ამისა, (Rodrik, 2004) გამოყოფს 10 ზოგად მნიშვნელოვან პრინციპს, რომლებსაც წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს. ესენია:

1. *მხოლოდ ახალი პროდუქტების სტიმულირება* - ინდუსტრიული პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ეკონომიკის დივერსიფიცირება და შედარებითი უპირატესობის მქონე ახალი დარგების გამოვლენა. შესაბამისად, ახალში იგულისხმება როგორც პროდუქტები, რომლებიც ახალია ეკონომიკისთვის, ასევე არსებული პროდუქციის ახლებური ტექნოლოგიით გამოშვება.
2. *სამიზნე პროექტების წარმატება-წარუმატებლობის მკაფიო საზომების არსებობა* - ინვესტიციების ბუნებიდან გამომდინარე, მას ყოველთვის კარგი შედეგი არ მოაქვს. შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს სამიზნე პროექტების წარმატება-წარუმატებლობის მკაფიო საზომი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ასეთი პროექტების შემდგომი დაფინანსება. საზომად უმჯობესია მიჩნეული იქნეს პროდუქტიულობა³ და არა პროექტის დასაქმების ან მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი. ასევე საზომად გამოყენებულ იქნეს მსგავსი პროექტის ბენჩმარკი (benchmark) მეზობელი ქვეყნებიდან. პროდუქციის საექსპორტო პოტენციალიც გამოსადეგი საზომია, რადგან პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას.
3. *გამოსვლის პირობა* - იმისათვის, რომ რესურსები, როგორც ფინანსური ისე ადამიანური, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული, სახელმწიფო წარუმატებელი პროექტიდან გასვლის წინასწარი განსაზღვრული პირობა უნდა დაიტოვოს.
4. *მხარდაჭერა უნდა მიიმართოს კონკრეტულ აქტივობებზე* - მაგალითად, სასურველია, მთლიანად ტურიზმის სუბსიდირების მაგივრად, ტურიზმის განვითარებისთვის

³ განისაზღვრება როგორც საბოლოო პროდუქტისა და გახარჯული რესურსების ფარდობა. წარმოადგენს საზომს, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება რესურსები (კაპიტალი, პერსონალი, მანქანები და ა.შ.) განსაზღვრული მოცულობის პროდუქციის საწარმოებლად.

ხელის შემშლელ ფაქტორებზე (ენის სწავლება, მომსახურების სტანდარტებს გაუმჯობესება) ყურადღების გამახვილება.

5. *აქტივობებს უნდა ჰქონდეთ დადებითი გარეგანი ეფექტების და გადაღვრის ეფექტების შექმნის პოტენციალი* - სახელმწიფოს მიერ წახალისებულ აქტივობებს უნდა გააჩნდეთ ინფორმაციული და ტექნოლოგიური გადაღვრის ეფექტი სხვადასხვა დარგებზე.
6. *პოლიტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელი საჯარო სააგენტოს უნდა გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია* - არაკომპეტენტურობა და კორუფცია ხშირად განვითარებას ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. თუმცა, კონკრეტული ქვეყნის შიგნითაც, კომპეტენციის დონე განსახვავებულია სხვადასხვა სააგენტოებს შორის. შესაბამისად, საწყის ეტაპზე, ახალი სააგენტოს შექმნას შეიძლება ჯობდეს ისეთი სტრუქტურიდან დაწყება, რომელსაც შედარებით მაღალი დონის ბიუროკრატისა და მაღალი კვალიფიკაციის ხარისხი გააჩნია.
7. *ინდუსტრიული პოლიტიკის აღმასრულებელი სააგენტოები უნდა იყვნენ უმაღლესი პოლიტიკური დონის მონიტორინგის ქვეშ* - მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიული პოლიტიკის გამტარებელ ორგანოს აუცილებელია ჰქონდეს გარკვეული დოზით დამოუკიდებლობა, ასევე აუცილებელია მასზე ზემდგომ ორგანოს/პირებს შესწევდეთ უნარი სააგენტოს საქმიანობის მონიტორინგის, რათა თავიდან იქნეს აცილებული კერძო ინტერესი ან ინტერესთა კონფლიქტი.
8. *აღმასრულებელ სააგენტოებს უნდა გააჩნდეთ ბიზნესთან კომუნიკაციის მკაფიო არხები* - აუცილებელია ინდუსტრიული პოლიტიკის გამტარებელ ორგანოებს ხშირი კომუნიკაცია ჰქონდეთ ინვესტორებთან და ანტრეპრენერებთან, რათა არ მოწყდნენ რეალობას და იცოდნენ ბიზნესის საჭიროებანი.
9. *წარუმატებლობის გარკვეული დონე აუცილებლობა* - ხშირად ინდუსტრიული პოლიტიკა კრიტიკის სამიზნეა, იმ მიზეზის გამო, რომ შესაძლებელია სახელმწიფომ წარუმატებელი პროექტები წახალისოს წარმატებულების სანაცვლოდ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ყველა ცალკე აღებული პროექტი შეუძლებელია იყოს მომგებიანი. აქცენტი არ უნდა გაკეთდეს წარუმატებლობის ალბათობის მინიმუმამდე


დაყვანაზე, არამედ ხარჯების მინიმუმამდე დაყვანაზე როდესაც შეცდომას ადგილი ექნება. თუ შეცდომები დაშვებული არ იქნება, ეს იმას მიანიშნებს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა არასაკმარის ინტენსიურია.

10. *მხარდაჭერის ხერხები უნდა იყოს მოქნილი და განახლებადი* - განვითარების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ინსტრუმენტი და ინდუსტრიული სააგენტოს სხვადასხვა სახის მოწყობა შეიძლება დასჭირდეს. შესაბამისად, აუცილებელია ის იყოს მოქნილი და ადაპტირებადი.

(Yülek, 2019) მიხედვით, ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას მისთვის საჭირო ბაზა (ე.წ. industrial layer), რომელიც შეჯამებულია სქემა №1-ის სახით. ასევე, ავტორი გამოყოფს წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულებებს და მიიჩნევს, რომ ინდუსტრიულმა პოლიტიკამ უნდა შეძლოს ქვეყნის დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარება სხვა დარგებზე უპირატესად. რაც შეეხება დამამუშავებელი მრეწველობის კონკრეტული საქმიანობების წახალისებას, ავტორი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი სამიზნე უნდა იყოს ისეთი საქმიანობები, რომელთაც გააჩნიათ დიდი დამატებული ღირებულების შექმნის პოტენციალი, სხვა საქმიანობებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა (backward linkages) და ცოდნის და ტექნოლოგიური გადაღვრის ეფექტის პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „გამარჯვებულების ამორჩევის“ მეთოდი ხშირად კრიტიკის იმსახურებს სხვა მეცნიერების მიერ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტიპის პოლიტიკა ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკამ, ევროპის ქვეყნებმა და იაპონიამ, წარმატებით განახორციელეს.

წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტია მისი შექმნის, დოკუმენტირების და განხორციელების პროცესი და მათზე პასუხისმგებელი პირების, სააგენტოების და სამინისტროების სწორად იდენტიფიცირება. (Ohno, 2014) მიხედვით, სასურველია პოლიტიკის შექმნის პროცედურა სქემა №2-ის შესაბამისად იყოს განხორციელებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში 3 მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება:

სქემა №1: ინდუსტრიული პოლიტიკის ბაზა (ე.წ. industrial layer)




წყარო: (Yülek, 2019)

1. პოლიტიკა უნდა იყოს გრძელვადიანი - სასურველია ინდუსტრიული პოლიტიკა და შესაბამისი სტრატეგია იყოს გრძელვადიანი (10 წელზე მეტი) და გაგრძელდეს სხვადასხვა მთავრობების პირობებში. აუცილებელია მთავრობის და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერა დარჩეს ინტენსიური და შედეგზე ორიენტირებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია ძირითადი ხედვებისა და მიზნების ინსტიტუციურად გამყარება, რათა არ მოხდეს მათი ფუნდამენტური ცვლილება პოლიტიკური ლიდერშიფის ცვლილებისას.
2. კონსესუსის მიღწევა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის - სტრატეგიის შექმნაში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე, როგორც პოლიტიკური ლიდერშიფი, ისე სამინისტროები, დეპარტამენტები, კერძო ბიზნესი, სამეცნიერო და არასამთავრობო სექტორები. აუცილებელია სტრატეგიის მიზნების, პოლიტიკის ინსტრუმენტების, ბიუჯეტირების, მონიტორინგის და შეფასების სქემების შექმნაში ყველას აზრი იყოს გათვალისწინებული.

3. სტრატეგია უნდა იყოს დეტალური - სტრატეგიაში აუცილებელია აღწერილი იყოს ხედვები, მიზნები და სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში აუცილებელია დეტალურად იღოს აღწერილი შერჩეული პოლიტიკის ინსტრუმენტები, ბიუჯეტირების საკითხები, დროის მონაკვეთები, შეფასების მექანიზმები და თითოეულ საკითხზე პასუხისმგებელი სამინისტროებისა და სააგენტოების ფუნქციამოვალეობები. ხშირ შემთხვევაში, მთავრობები ამგვარი დოკუმენტის შემუშავებას უცხოელ კონსულტანტებს ავალებენ, თუმცა ამგვარი მიდგომა შეცდომაა, რადგან ხშირად კონსულტანტები უგულებელყოფენ ბიუჯეტირების საკითხებს, მაშინ როდესაც ყველა სამინისტროს თავიანთი მოთხოვნა და დღის წესრიგი გააჩნია. შესაბამისად, აუცილებელია სტრატეგიის შესაბამისი ბიუჯეტირების საკითხები ადგილობრივად ინტერესთა ჯგუფების მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყდეს და არა საერთაშორისო კონსულტანტის მიერ, რადგან ამგვარი სტრატეგია თავიდანვე წარუმატებლობისთვისაა განწირული.

სქემა №2: ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნის პროცედურა



წყარო: (Ohno, 2014)

მსოფლიო სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურა და ემპირიული გამოცდილება მოწმობს იმაზე, რომ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში და იმაზე, რომ ინდუსტრიალიზაციის გარეშე თითქმის შეუძლებელია მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან მათი კონვერგენცია. ასევე იკვეთება სწრაფად მზარდი ეკონომიკების საერთო მახასიათებელი - ინდუსტრიალიზაცია ყოველთვის აქტიური სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდებოდა. შესაბამისად, დღეს ეკონომისტთა უმრავლესობა, სკეპტიკოსებიც კი, თანხმდება იმაზე, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა საჭიროა და საკითხი მდგომარეობს არა იმაში, გატარდეს თუ არა ინდუსტრიული პოლიტიკა, არამედ იმაში თუ როგორი ინდუსტრიული პოლიტიკა და რა ფორმით უნდა განხორციელდეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ ინდუსტრიული პოლიტიკის გატარება, ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც მას გაატარებს, სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპს მიაღწევს. ეკონომიკური ისტორია ცხადყოფს, რომ რამდენადაც მნიშვნელოვანია წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, იმდენად მნიშვნელოვანია ინდუსტრიული პოლიტიკის ლოკალიზება და ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება. თუმცა, მეცნიერები ასევე გამოყოფენ ზოგად პრინციპებსა და პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელსაც წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს.

აღნიშნული დასკვნა მნიშვნელოვანია ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის, სადაც ეკონომიკური განვითარება დღესაც რჩება ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას დამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, ქვეყნის ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულებები და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციები და გამოწვევები.




თავი II - დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

2.1. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ფორმირებაში

სტრუქტურული ტრანსფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია (იხ. ქვეთავი 1.1). როგორც წინა თავში იქნა ნახსენები, სტრუქტურული ტრანსფორმაცია გულისხმობს სამუშაო ძალის გადაადგილებას პირველადი სექტორიდან, როგორცაა სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება, სამრეწველო სექტორში. თითქმის გამონაკლისის გარეშე, ქვეყნებმა, რომელთაც სიღარიბე დაძლიეს და ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს მიაღწიეს, შეძლეს დაბალპროდუქტიული სექტორებიდან გადასულიყვნენ ეკონომიკის მაღალპროდუქტიულ სექტორებში. საინტერესოა, საქართველოს გამოცდილება ამ მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც, დადგნენ მძიმე რეალობის წინაშე: მათი საწარმოების (განსაკუთრებით მრეწველობაში) უმრავლესობას არ შეეძლო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რადგან მბრძანებლური და ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში შექმნილი საქონელი უუნარო აღმოჩნდა მსოფლიო ბაზართან მეტად ინტეგრაციის შედეგად (Papava, 2018). შედეგად, გაჩნდა ამბიციური რეფორმების საჭიროება და დაიწყო მასიური დეინდუსტრიალიზაციის პროცესი. გარდამავალი ეკონომიკის მქონე წარმატებულმა ქვეყნებმა (მაგ. ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) რეფორმები სწორი მიმართულებით განახორციელეს და სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგად სამუშაო ძალამ დაბალპროდუქტიული სექტორებიდან მაღალპროდუქტიული სექტორებისაკენ გადაინაცვლეს (იხ. გრაფიკი №6). კერძოდ, ამ ქვეყნებში წარმატებით მოხდა ეკონომიკის მეორეული სექტორის შენარჩუნება და მეტიც,

გრაფიკი №6: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მთლიან დასაქმებაში (%), საქართველო და ბალტიისპირეთის ქვეყნები, 1991-2017 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

განვითარება. ასევე, პარალელურად ვითარდებოდა მომსახურების სექტორის პროდუქტიული დარგები, რამაც ბიძგი მისცა მუშახელის სოფლის მეურნეობიდან ეკონომიკის პროდუქტიულ სექტორებში გადანაცვლების პროცესს.

საპირისპიროდ, საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სტრუქტურული ტრანსფორმაცია არასწორი მიმართულებით წარიმართა. გარდამავალი პერიოდის დასაწყისში საქართველოში განხორციელდა უამრავი წარუმატებელი რეფორმა და ქვეყანამ გადაიტანა რამდენიმე ომი. შედეგად, განადგურდა ინფრასტრუქტურა, დაიწყო ჰიპერინფლაცია, ჩამოიშალა საგადასახადო სისტემა, ქვეყანა დადგა ენერგოკრიზისის წინაშე, გაიზარდა კორუფცია და კრიმინალი. ამის ფონზე, ქვეყანაში გაქრა ბიზნესის კეთების და ინვესტიციის განხორციელების ყოველგვარი სურვილი, რამაც დეინდუსტრიალიზებული სექტორებიდან გამოთავისუფლებულ უმუშევრად დარჩენილ სამუშაო ძალას თავის რჩენის მიზნით სოფლის მეურნეობაში გადანაცვლებისკენ უბიძგა.

2003 წლის ნოემბერში „ვარდებს რევოლუციის“ შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობა მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მათ მიერ გატარებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ძირითადად ეფუძნებოდა ეკონომიკური თავისუფლების, დერეგულაციისა და ეკონომიკური მოდერნიზაციის პრინციპებს, სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით, პოსტრევოლუციური რეფორმები უდავოდ დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა ქვეყნისათვის - შემცირებულმა კრიმინალისა და კორუფციის დონემ, გაუმჯობესებულმა განათლებისა და საჯარო სერვისების მიწოდების სისტემამ, აღდგენილმა ფინანსურმა წესრიგმა და გაზრდილმა საგადასახადო შემოსავლებმა, პოზიტიური ასახვა ჰპოვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ქვეყანამ მოწინავე პოზიციები დაიჭირა ისეთ პოპულარულ საერთაშორისო რეიტინგებში, როგორებიცაა Heritage Foundation-ის 2012 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი⁴

⁴ https://www.heritage.org/index/pdf/2012/book/index_2012.pdf

და მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2012 წლის ანგარიში⁵. თუმცა, სტრუქტურული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით 2003 წლის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ფაქტობრივად არ განხორციელებულა. 2003-2012 წლებში სოფლის მეურნეობიდან დასაქმებულთა 4.3%-მა გადაინაცვლა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, ხოლო 2012-2019 წლებში იგივე მაჩვენებელი 7.9% შეადგენდა. ჯამში, ბოლო 16 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში დასაქმებულთა 12.2%-მა გადაინაცვლა, რაც თავის მხრივ დადებით ტენდენციაზე მიუთითებს სტრუქტურული ტრანსფორმაციის მიმართულებით (იხ. ცხრილი №4). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული 12.2%-დან მხოლოდ 1.0%-მა გადაინაცვლა დამამუშავებელი მრეწველობის დარგში, ხოლო მუშახელის დარჩენილი ნაწილი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე გადანაწილდა, მათ შორის არავაჭრობად და ნაკლებად პროდუქტიული სერვისის სექტორის საქმიანობებზე. მეტიც, მიუხედავად ჯამური დადებითი ტენდენციისა, სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპი არის შესამჩნევად ნელი და საქართველო ჯერ კიდევ შორს არის არამხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების, არამედ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების (რომელ ჯგუფსაც საქართველო მიეკუთვნება მსოფლიო ბანკის ახალი კლასიფიკაციის⁶ მიხედვით) სტრუქტურული დეკომპოზიციისაგან (ცხრილი №5). დღეს საქართველოს აქვს დაბალი შემოსავლის ქვეყნების მსგავსი დასაქმების სტრუქტურული დეკომპოზიცია და ტრანსფორმაციის აღნიშნული ტემპით (2003-2019 წლები) მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან საქართველოს კონვერგენცია დაახლოებით ორმოცდაათ წელიწადში იქნება შესაძლებელი, რაც ცხადყოფს იმას, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპის დაჩქარება. აზიის განვითარების ბანკის 2019 წლის კვლევის თანახმად⁷, 2005-2014 წლებში, საქართველოს ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა სექტორების შიგნით რესურსების მეტად ეფექტიანად რეორგანიზაცია იყო და არა სტრუქტურული ტრანსფორმაცია.

⁵ <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/5907/DB12-FullReport.pdf?sequence=1&isAllowed=y>

⁶ <https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2019-2020>

⁷ <https://www.adb.org/publications/jobs-inclusive-growth-central-asia-caucasus>

ცხრილი №4: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან დასაქმებაში (%), საქართველო, 2003-2019 წლების დინამიკა

წელი	2003	2012	2019	ცვლილება 2003-2012	ცვლილება 2012-2019	ცვლილება 2003-2019
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, მეთევზეობა	54.9	50.6	42.7	-4.3	-7.9	-12.2
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	0.2	0.4	0.6	+0.2	+0.2	+0.4
დამამუშავებელი მრეწველობა	4.9	5.1	5.9	+0.2	+0.8	+1.0
კომუნალური სფერო	1.1	1.3	1.9	+0.2	+0.6	+0.8
მშენებლობა	2.2	4.3	5.0	+2.1	+0.7	+2.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების რემონტი	11	9.6	9.9	-1.4	+0.3	-1.1
ტრანსპორტი, ლოგისტიკა და კავშირგაბმულობა (ICT)	4.2	4.5	5.3	+0.3	+0.8	+1.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.9	1.5	2.3	+0.6	+0.8	+1.4
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.5	1.3	1.9	+0.8	+0.6	+1.4
უძრავი ქონება; მომსახურების გაწევა; სამეცნიერო და პროფესიული აქტივობები	1.8	2.2	2.7	+0.4	+0.5	+0.9
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სოციალური დაცვა	5.1	4.3	5.2	-0.8	+0.9	+0.1
განათლება	7.6	7.9	9.2	+0.3	+1.3	+1.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	2.7	3.6	3.9	+0.9	+0.3	+1.2
სხვა სახის მომსახურება	3.0	3.3	3.6	+0.3	+0.3	+0.6
სულ დასაქმებული (%)	100	100	100	0	0	0

წყარო: ავტორის მიერ, ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი №5: დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან დასაქმებაში (%) ქვეყანათა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, 2018 წ.

	დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები		საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები		საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები		მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები	
	2000	2022*	2000	2022*	2000	2022*	2000	2022*
წელი	2000	2022*	2000	2022*	2000	2022*	2000	2022*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყვეობა, მეთევზეობა	70.7	61.1	53.7	37.9	41.1	21.1	4.6	2.8
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	0.7	1.3	0.6	0.7	0.7	0.8	0.4	0.5
დამამუშავებელი მრეწველობა	5.8	6.0	10.8	11.3	19.0	17.5	18.0	12.4
კომუნალური სფერო	0.2	0.3	0.5	0.7	0.5	0.8	1.0	1.2
მშენებლობა	2.2	4.4	4.2	9.7	4.0	6.7	8.0	7.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების რემონტი	9.2	10.9	11.8	14.0	13.3	18.1	15.5	13.6
ტრანსპორტი, ლოგისტიკა და კავშირგაბმულობა (ICT)	1.6	2.4	4.3	6.4	3.7	6.7	7.3	8.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1.4	1.6	1.6	2.9	1.8	4.6	4.8	5.7
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.2	0.4	0.5	1.3	0.4	1.3	3.6	3.5
უმრავი ქონება; მომსახურების გაწევა; სამეცნიერო და პროფესიული აქტივობები	0.4	1.0	0.8	2.7	1.3	4.3	8.7	11.4
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სოციალური დაცვა	1.8	2.0	3.2	2.8	3.9	5.0	5.8	6.0
განათლება	2.2	3.0	3.1	3.9	3.9	5.1	7.0	8.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.8	1.0	1.2	1.4	1.9	2.6	9.0	11.9
სხვა სახის მომსახურება	2.9	4.6	3.7	4.4	4.5	5.6	6.3	6.7
სულ დასაქმებული (%)	100	100	100	100	100	100	100	100

* შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2022 წლის პროგნოზი

წყარო: ავტორის მიერ, ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ეს კი ნათელს ხდის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპის დაჩქარების პოტენციალს ქვეყნის სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაში. მიუხედავად, იმისა, რომ საქართველომ 2003 წლის შემდეგ მეტნაკლებად მოახერხა ფუნდამენტურ ფაქტორებში ინვესტირება და მათი გაუმჯობესება (ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები), სტრუქტურული ტრანსფორმაციის (ინდუსტრიალიზაციის) გარეშე ქვეყნის ზრდა იქნება სტაბილურად ნელი, რაც ბუნებრივია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას ვერ გამოიწვევს (იხ. სქემა №3).

სქემა №3: ეკონომიკური ზრდის მოდელები და შედეგები

		სტრუქტურული ტრანსფორმაცია (ინდუსტრიალიზაცია)	
		ნელი	სწრაფი
ინვესტიციები ფუნდამენტურ შესაძლებლობებში (ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები)	დაბალი	(1) ზრდას ადგილი არ აქვს	(2) ეპიზოდური ზრდა
	მაღალი	(3) ნელი ზრდა (საქართველო)	(4) მდგრადი, სწრაფი ზრდა (სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონგ-კონგი)

წყარო: (McMillan et al. 2017: 7)

სტრუქტურული ტრანსფორმაციის მიღწევა საქართველოში დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების გარეშე თითქმის შეუძლებელი იქნება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა 42.7% მუშაობს, რაც, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, გაცილებით მეტია განვითარებული ქვეყნების იგივე მაჩვენებელზე, განსაკუთრებით იმ ფონზე როდესაც სოფლის მეურნეობა 2019 წლის მონაცემების მიხედვით მშპ-ს მხოლოდ 6.35% ქმნის⁸. იმისათვის, რომ მოსახლეობამ ეკონომიკის მეტად


⁸ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

პროდუქტიულ დარგებში გადაინაცვლოს, საჭიროა დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარება, სადაც დღეს დასაქმებულთა მხოლოდ 5.9% არის დასაქმებული და რომელიც მშპ-ს მხოლოდ 10.2%-ს ქმნის⁹. მსოფლიო ბანკისა და ILOSTAT-ის 2018 წლის მონაცემების მიხედვით, შესაბამისი მაჩვენებლები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 6.0% და 8.1%, საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 11.3% და 15.4%, საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში 17.5% და 20.7%, ხოლო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში 12.4% და 14.1%. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, ქვეყანას დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მსგავსი დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების დონე გააჩნია, რაც ამ დარგის განვითარების აუცილებლობაზე მეტყველებს. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სოფლად დარჩენილი მუშახელის ამ დარგის მიერ აბზორბაცია, მათი პროდუქტიულობის გაზრდის პარალელურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების გარეშე, სოფლად დასაქმებული 700,000 ადამიანზე მეტი რამდენიმე არჩევანის წინაშე დადგება: დარჩეს დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობაში, დაბალი კვალიფიკაციის ქონის გამო გადავიდეს სერვისის სექტორის დაბალპროდუქტიულ საქმიანობებში ან წავიდეს სამუშაოდ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ერის დაბერების პრობლემის გამო დღითიდღე იმატებს მოთხოვნა სამუშაოს უნარიან იმიგრანტებზე. ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ძალზედ საზიანო იქნება საქართველოს სამომავლო განვითარებისათვის.

გარდა სტრუქტურული ტრანსფორმაციის არგუმენტისა, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას ქვეყნისათვის სარგებლის მოტანა შეუძლია მთელი რიგი მიმართულებებით. გრაფიკი №7 გვიჩვენებს საქართველოს მშპ-ს კომპოზიციას დანახარჯების მიხედვით 2003-2018 წლებისათვის. გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდში სამომხმარებლო და სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელი ძალები იყვნენ.

⁹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

გრაფიკი №7: მშპ-ს კომპოზიცია დანახარჯების მიხედვით (მლნ. ლარი) და ეკონომიკური ზრდის ტემპი (%), საქართველო, 2003-2018 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

მათი მკვეთრი ზრდა აღნიშნულ 15 წლიან პერიოდში, იმ ფონზე როდესაც საგარეო სავაჭრო დეფიციტი თანდათან ღრმავდებოდა, მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკა ჩამოყალიბდა როგორც მომხმარებლური ეკონომიკა და ქვეყნის მწარმოებლურობის უნარი დაბალია. ამაზე ისიც მოწმობს, რომ სამომხმარებლო კალათის, ასევე სასურსათო კალათის, თითქმის 80% იმპორტირებული საქონლისაგან შედგება¹⁰, რადგან ქვეყანას არ შესწევს უნარი თავად აწარმოოს პროდუქცია, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური ბაზრებისთვის. საყურადღებოა, რომ ცალკე აღებული სავაჭრო დეფიციტი დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან განვითარებულ ქვეყნებსაც (მაგ. აშშ, საფრანგეთი, კანადა) გააჩნიათ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო. თუმცა, საგარეო სავაჭრო დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან თითქმის არცერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში არ აღემატება 5%-ს, ხოლო იგივე მაჩვენებელი საქართველოში დაახლოებით 35%-ის ტოლია. ამ მხრივ საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება არამხოლოდ განვითარებულ, არამედ რეგიონის ქვეყნებსაც (იხ. ცხრილი №6).

¹⁰ <https://www.bpn.ge/article/56419-laris-kursis-vardnis-gamo-pasebis-zrda-importirebul-produkcias-sheexeba-sasursato-kalatashi-ki-80-procenti-importuli-sakonelia/>


ცხრილი №6: სავაჭრო დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან (%) რიგ ქვეყნებში, 2018 წელი

ქვეყანა	მშპ	სავაჭრო დეფიციტი	დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან (%)
ამერიკის შეერთებული შტატები	\$ 19.0 ტრლ.	\$ 621 მლდ.	3.30%
დიდი ბრიტანეთი	£ 2.1 ტრლ.	£ 31.0 მლდ.	1.50%
საფრანგეთი	€ 2.3 ტრლ.	€ 90.5 მლდ.	3.90%
ესტონეთი	\$ 25.9 მლდ.	\$ 1.7 მლდ.	6.50%
თურქეთი	\$ 766 მლდ.	\$ 55 მლდ.	7.00%
სომხეთი	\$ 11.5 მლდ.	\$ 1.5 მლდ.	13.0%
მოლდოვა	\$ 11.3 მლდ.	\$ 2.0 მლდ.	17.6%
აზერბაიჯანი	\$ 40.7 მლდ.	\$ 6.2 მლდ.	15.0%
ბელარუსი	\$ 59.6 მლდ.	\$ 5.0 მლდ.	8.30%
უკრაინა	\$ 112 მლდ.	\$ 6.0 მლდ.	5.30%
საქართველო	\$ 16.2 მლდ.	\$ 5.7 მლდ.	35.0%

წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკისა და GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ეს ქვეყნისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან უარყოფითი სავაჭრო სალდო ნეგატიურად ზემოქმედებს ლარის კურსზე დოლართან მიმართებაში (იხ. გრაფიკი №8), რაც ზრდის მოსახლეობაზე ვალის წნეხს, აძვირებს სახელმწიფო საგარეო ვალს, იწვევს ინფლაციას და ზოგადად, აზარალებს ქართულ ეკონომიკას. მართალია, უარყოფითი სავაჭრო სალდო ნაწილობრივ ბალანსდება ისეთი კომპონენტებით, როგორცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი და ფულადი გზავნილები, თუმცა, ეს კომპონენტები მაინც რჩება სწრაფი ეკონომიკური ზრდის და დასაქმების არასაკმარის ფაქტორად (Benidze, 2019). ეკონომიკური ზრდა 2012 წლის შემდეგ, საშუალოდ წლიურად 3.87%-ს შეადგენდა, რაც „დაწვევის ეფექტის“ (catch-up effect) უპირატესობის გათვალისწინებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ზრდის ამგვარი ტემპით, საქართველო ბალტიისპირეთის ქვეყნების დღევანდელი ცხოვრების დონეს დაახლოებით 30 წელიწადში მიაღწევს.

გრაფიკი №8: დოლარის კურსი ლართან მიმართებაში USD/GEL, 2001-2019 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი №7: უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%), საქართველო, 2017-18 წწ.

	2017			2018		
	სოფელი	ქალაქი	სულ	სოფელი	ქალაქი	სულ
სულ 15+ მოსახლეობა	1298.3	1714.0	3012.3	1305.4	1728.9	3034.3
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	989.2	993.8	1983.1	954.8	985.2	1939.9
დასაქმებული	939.2	767.5	1706.6	899.1	795.1	1694.2
დაქირავებული	238.5	585.7	824.2	251.1	609.1	860.2
თვითდასაქმებული	700.3	181.3	881.6	647.9	185.6	833.4
გაურკვეველი	0.3	0.5	0.8	0.2	0.4	0.6
უმუშევარი	50.1	226.3	276.4	55.7	190.1	245.7
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	309.1	720.2	1029.2	350.6	743.8	1094.3
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	5.1%	22.8%	13.9%	5.8%	19.3%	12.7%

წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

რაც შეეხება უმუშევრობას, მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე GeoStat-ის მონაცემებით¹¹ ყოველწლიურად მცირდება და დღეს ის 11.6 %-ს შეადგენს, ოფიციალური ციფრები მკვეთრად სცდება ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და სავარაუდოა, რომ უმუშევრობის დათვლის ახალი მეთოდოლოგია, რომლის შემოღებაც 2020 წლიდან იგეგმება¹², მკვეთრად შეცვლის ოფიციალურ ციფრებს. ახალი მეთოდოლოგიით, თვითდასაქმებულთა კატეგორიაში დასაქმებულად აღარ ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ საკუთარ მამულში, აწარმოებენ პროდუქციას და იყენებენ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის. შესაბამისად, ახალი მეთოდოლოგიით, დიდი ალბათობით, უმუშევრობის მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზრდება იმის გათვალისწინებით, რომ თვითდასაქმებული მოსახლეობის 77% სოფლად ცხოვრობს (იხ. ცხრილი №7). ასევე, ექსპერტები შემცირებული უმუშევრობის დონეს არა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, არამედ სამუშაო ძალის რიცხოვნობის კლებას უკავშირებენ, რაც დიდი ალბათობით სოციალურ ეკონომიკური ხასიათის მატარებელი მიგრაციის შედეგია (Silagadze, 2019; Gerliani, 2019).

ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, სავაჭრო დეფიციტის შემცირება ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება ეკონომიკის მაღალი იმპორტდამოკიდებულების შემცირების ან/და ექსპორტის ზრდითაა შესაძლებელი, რასაც, ორივე შემთხვევაში, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისკენ მივყავართ. მართალია, რომ ექსპორტის გაზრდა ქვეყანას სერვისების ექსპორტის გაზრდის ხარჯზეც შეუძლია, თუმცა დღესდღეობით, მსოფლიო ვაჭრობის 80%-ზე მეტი მოდის საქონლით ვაჭრობაზე, ხოლო დაახლოებით 20% კი სერვისებით ვაჭრობაზე, შესაბამისად, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას მეტი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია. ასევე, აღსანიშნავია, რომ მომსახურება თავისთავად საბოლოოდ ყოველთვის პროდუქტზე არის მიბმული. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების პრიორიტეტულობა არავითარ შემთხვევაში არ

¹¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>

¹² <https://imedinews.ge/ge/ekonomika/94088/saqstati-2020-tslidan-dasaqmebaumushevrobis-metodologias-tsvlis>

ნიშნავს მომსახურების სექტორის მნიშვნელობის დაკნინებას. პირიქით, აუცილებელია დამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად მომსახურების საქმიანობების მეტად გაძლიერება, რადგან სწორედ მათი ურთიერთკავშირი ქმნის ხელსაყრელ პირობებს ორივე დარგის განვითარებისთვის.

როგორც წინა თავში აღინიშნა, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას შესაძლებელია მოჰყვეს ქვეყნის ტექნოლოგიური პროგრესი, დანაზოგების დონის ამაღლება და უმუშევრობის მკვეთრად შემცირება (იხ. გვ 23-25). სამივე მიმართულებით, საქართველოს მაჩვენებლები არც თუ ისე სახარბიელოა - უმუშევრობა დღესაც რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევად, ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონე დაბალია და დანაზოგების დონე მშპ-სთან მიმართებაში მკვეთრად ჩამორჩება ბევრი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს (Benidze, 2019).

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის. დარგის განვითარება ერთის მხრივ დააჩქარებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, რაც სწრაფი ეკონომიკური ზრდის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. ინდუსტრიალიზაციის შედეგად შემცირდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, გაიზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და შეიქმნება სტაბილური სამუშაო ადგილები, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების გარანტი გახდება.

2.2. დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე: შეფასება ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელის საშუალებით

წინა ქვეთავში დადგინდა, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარება და, შესაბამისად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის და მისი სამომავლო განვითარების პროცესში. ამ თავში შევეცდებით დავადგინოთ, თუ რამდენად დიდია ამ დარგის გავლენა მთლიანად ეკონომიკაზე დღეს.

ეკონომიკაში პროდუქცია და მომსახურება ხშირად იწარმოება არამხოლოდ იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს საბოლოო მოთხოვნა (მოსახლეობის, სახელმწიფოსი, ინვესტორების და უცხოელი მყიდველების), არამედ ასევე იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს სხვადასხვა დარგების შუალედური მოთხოვნა, რომელიც მათ სჭირდებათ საბოლოო სახით პროდუქციის და მომსახურების წარმოებისათვის. ასევე, როდესაც იზრდება ეკონომიკის რომელიმე დარგი, ის ქმნის დამატებით მოთხოვნას მთლიანად ეკონომიკაში, როგორც შუალედური, ისე საბოლოო მოხმარების სახით. მაგალითად, როდესაც შენდება ახალი სასტუმრო, ის ქმნის მოთხოვნას მშენებლობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგების მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე, რაც თავის მხრივ, ქმნის ახალ მოთხოვნას ამ დარგების მიერ სხვა დარგების მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე და მომსახურებაზე. ამრიგად, იქმნება გადაცემის უწყვეტი ჯაჭვი და ერთ დარგის ზრდას მოყვება სხვა დარგების და მთლიანად ეკონომიკის ზრდა. ამ ქვეთავში შევეცდებით დავადგინოთ დამამუშავებელი მრეწველობის ზრდის ეფექტის გავლენა, მულტიპლიკატორული ეფექტის გათვალისწინებით, ეკონომიკის სხვა დარგებზე და მთლიანად ეკონომიკაზე.

კონკრეტული დარგის ეკონომიკაზე ზეგავლენის დასადგენად ხშირად გამოიყენება „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელი, რომელიც 1936 წელს, ამერიკელმა ეკონომისტმა ვასილი ლეონტიევმა (1906-1990) შექმნა, რათა დეტალურად შეესწავლა ამერიკის ეკონომიკა და მასში არსებული შიდა სექტორალური კავშირები (Leontief, 1986). მას შემდეგ, მოდელი ხშირად გამოიყენება იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რა

ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ერთი კონკრეტული დარგის მახასიათებლის შეცვლამ მთლიანად ეკონომიკაში. გამომდინარე იქედან, რომ „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) ანალიზის საშუალებით შესაძლებელია სექტორალური დამოკიდებულების დათვლა, მოდელი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ თითოეული სექტორის მნიშვნელობა მთლიანად ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ამ მოდელის საშუალებით, მეცნიერების მიერ შეფასებულია ამერიკის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და სხვა არაერთი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა და სექტორალური კავშირები (Botrii, 2013; Hamavindu 2013; Temursho, 2016; Surugiu, 2009). ასევე, აღსანიშნავია, რომ მოდელის მეშვეობით, ქართველი მკვლევარების მიერ შეფასებულია კავშირგაბმულობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და ტურიზმის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ბრეგაძე, 2018; მოსახლიშვილი და მიქელაძე, 2019).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს საქართველოს ეკონომიკის გამოყენების და რესურსების ცხრილებს. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მათი გამოყენების დეტალური ანალიზის შესაძლებლობას. ცხრილები შედგენილია მატრიცის სახით ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მიხედვით. 2017 წლამდე, ცხრილები ხელმისაწვდომია 15 საქმიანობის და მათი შესაბამისი 15 პროდუქტის მიხედვით, ხოლო 2018 წლისთვის კი 21 საქმიანობისა და მათი შესაბამისი პროდუქტის მიხედვით (იხ. ცხრილი №8 და №9).

ცხრილი №8: საქმიანობები გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში 2018-წლამდე

A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა
B	მეთევზეობა, თევზჭერა
C	სამთომოპოვებითი მრეწველობა
D	დამამუშავებელი მრეწველობა
E	ელექტროენერჯის, აირის და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება
F	მშენებლობა
G	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი საგნების რემონტი
H	სასტუმროები და რესტორნები
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა
J	საფინანსო საქმიანობა

K	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა
L	სახელმწიფო მმართველობა
M	განათლება
N	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება
O+P	სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; შინამომსახურება

წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი №9: საქმიანობები გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში 2018 წელს

A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
P	ხელოვნება, გართობა და დასვენება
S	სხვა სახის მომსახურება
T	შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის
U	ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

რესურსებისა (გამოშვების) და გამოყენების ცხრილების არსებობა შესაძლებელს ხდის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) ანალიზის ჩატარებას საქართველოს ეკონომიკისთვის. თავის მხრივ, გამოშვების (supply) ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დარგების მიერ პროდუქციის გამოშვების შესახებ. ასევე იმპორტის, სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვების, გადასახადებისა და სუბსიდიების შესახებ. სტრიქონების ჯამი კი გვაწვდის ინფორმაციას ჯამური გამოშვების შესახებ (*გამოშვება + იმპორტი + სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვა + გადასახადები პროდუქციაზე - სუბსიდიები = ჯამური გამოშვება*) (იხ. სქემა №4).

გამოყენების (use) ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დარგების მიერ პროდუქციის გამოყენების შესახებ - როგორც შუალედური გამოყენების სხვადასხვა დარგების მიერ, ასევე საბოლოო გამოყენების, მთლიანი კაპიტალის ფორმირებისა და ექსპორტის შესახებ. სტრიქონების ჯამი კი გვაწვდის ინფორმაციას მთლიანი მოხმარების შესახებ (*შუალედური მოხმარება + საბოლოო მოხმარება + ექსპორტი + მთლიანი კაპიტალის ფორმირება = მთლიანი მოხმარება*) (იხ. სქემა №5).

სქემა №4: გამოშვების (რესურსების) ცხრილის სტრუქტურა (Supply Table)

დარგი პროდუქტი	j=1,2,3 ... M	იმპორტი	სავაჭრო და სატრანსპ. დარიცხვები	გადასახადები პროდუქციაზე	სუბსიდიები პროდუქციაზე	ჯამი
i=1 2 3 ... N	ინფორმაცია j დარგის მიერ i პროდუქტის გამოშვების შესახებ	ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის პროდუქტი შემოვიდა იმპორტის სახით. ასევე, სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვები, გადასახადები პროდუქციაზე და სუბსიდიები პროდუქციაზე				ჯამური გამოშვება
ჯამი	თითოეული დარგის შეჯამებული მონაცემები	შეჯამებული მონაცემები				

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) დაყრდნობით

სქემა №5: გამოყენების ცხრილის სტრუქტურა (Use Table)

პროდუქტი \ დარგი	j=1,2,3 ... M	ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	ექსპორტი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ჯამი
i=1 2 3 ... N	ინფორმაცია შუალედური მოხმარების შესახებ, რომელიც j დარგმა მოითხოვა i პროდუქტისგან	ინფორმაცია ეკონომიკის მთლიანი საბოლოო მოხმარების შესახებ კატეგორიების მიხედვით			ინფორმაცია მთლიანი მოხმარების შესახებ
დამატებული ღირებულება	დამატებული ღირებულება დარგების მიხედვით				
ჯამი	თითოეული დარგის შეჯამებული მონაცემები	ჯამური ინფორმაცია გამოყენების შესახებ კატეგორიების მიხედვით			

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) დაყრდნობით

ამ ორი ცხრილის შერწყმით შესაძლებელია მივიღოთ ე.წ. „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცა. კონკრეტულად, გამოშვებისა და გამოყენების ცხრილების „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცად გარდაქმნისთვის, გამოვიყენებთ საერთაშორისო მეთოდოლოგიას, რომელიც მოცემულია „Eurostat Manual of Supply, Use and Input-Output Tables“-ში (Eurostat, 2008). მატრიცის ასაგებად, ვუშვებთ, რომ თითოეულ პროდუქტს აქვს საკუთარი სპეციფიური გაყიდვის სტრუქტურა, იმ ინდუსტრიის მიუხედავად სადაც მისი წარმოება ხდება. შესაბამისად, ცხრილებზე ვატარებთ შემდეგ მათემატიკურ გარდაქმნას:

$$T = V * inv [diag(q)] \quad B = T * U$$

სადაც T ტრანსპონირების მატრიცაა, V ტრანსპონირებული მიწოდებს მატრიცა, $diag(q)$ პროდუქციის გამოშვების სვეტის ვექტორი, U შუალედური გამოყენების მატრიცა, B შუალედური წარმოების მატრიცა. გარდაქმნის შედეგად, ვიღებთ „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცას, რომელიც აჩვენებს პროდუქციის დინებას ქვეყანაში დარგებს შორის (იხ. სქემა №6).

სქემა №6: „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცის სტრუქტურა (Input-Output Table)

დარგი \ დარგი	J=1,2,3 ... M	ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	ექსპორტი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	მთლიანი გამოყენება
I=1 2 3 ... M	ინფორმაცია შუალედური მოხმარების შესახებ, რომელიც j დარგმა მოითხოვა i დარგისაგან	ინფორმაცია ეკონომიკის მთლიანი საბოლოო მოხმარების შესახებ			ინფორმაცია მთლიანი გამოყენების შესახებ
იმპორტი	შესაბამისი ინფორმაცია თითოეული დარგისთვის	ცარიელია			
სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვა					
გადასახადები პროდუქციაზე					
სუბსიდიები პროდუქციაზე					
დამატებული ღირებულება					
მთლიანი გამოშვება	ინფორმაცია მთლიანი გამოშვების შესახებ				

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) დაყრდნობით

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცის პირდაპირი საჭიროების ცხრილად გარდაქმნა (direct requirement table), რაც ცხრილის თითოეული უჯრის მნიშვნელობის აღნიშნული მნიშვნელობისა და მთლიანად სვეტის მონაცემთა ჯამის თანაფარდობის ჩანაცვლებითაა შესაძლებელი:

$$A = T * U * inv [diag(g)]$$

სადაც $diag(g)$ ინდუსტრიების გამოშვების დიაგონალური მატრიცაა. მიღებული პირდაპირი საჭიროებების ცხრილი გვიჩვენებს თითოეული შემსყიდველი დარგის იმ

მიწოდების რაოდენობას, რომელიც საჭიროა სხვადასხვა მიმწოდებელი დარგებისგან ერთი ერთეული პროდუქტის საწარმოებლად. საქართველოს ეკონომიკისთვის, 2017 წლის პირდაპირი საჭიროების ცხრილი ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №10: პირდაპირი საჭიროებების მატრიცა (A), საქართველოს ეკონომიკა, 2017

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O+P
A	0.09	0.00	0.01	0.03	0.00	0.00	0.01	0.01	0.00	0.00	0.00	0.02	0.01	0.01	0.01
B	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
C	0.00	0.01	0.00	0.02	0.09	0.01	0.02	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.00
D	0.13	0.02	0.04	0.12	0.03	0.36	0.60	0.25	0.12	0.06	0.03	0.14	0.08	0.12	0.13
E	0.00	0.00	0.00	0.01	0.05	0.02	0.09	0.02	0.01	0.01	0.02	0.01	0.01	0.01	0.02
F	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.12	0.13	0.02	0.01	0.01	0.02	0.00	0.00	0.01	0.03
G	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.01	0.08	0.00	0.01	0.02	0.02	0.01	0.00	0.00	0.04
H	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.01	0.00	0.00	0.01	0.00	0.04
I	0.02	0.00	0.01	0.01	0.04	0.01	0.10	0.05	0.04	0.02	0.05	0.01	0.00	0.03	0.06
J	0.00	0.00	0.00	0.00	0.03	0.01	0.07	0.05	0.01	0.00	0.04	0.00	0.00	0.00	0.01
K	0.01	0.03	0.00	0.01	0.03	0.03	0.59	0.07	0.03	0.19	0.08	0.02	0.04	0.03	0.08
L	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
M	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.02	0.00	0.00	0.00	0.00
N	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.02	0.00	0.00	0.00	0.02	0.00	0.00	0.00
O+P	0.00	0.00	0.00	0.00	0.05	0.00	0.02	0.00	0.00	0.01	0.01	0.01	0.00	0.00	0.02

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) და GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით

ანალიზისთვის, მათემატიკური გარდაქმნით, შესაძლებელია მივიღოთ ე.წ. „ლეონტიევის მატრიცა“, რომელიც შემდეგნაირად მიიღება

$$L = (I-A)^{-1} \quad 0 < A < I$$

სადაც L ლეონტიევის მატრიცაა, A ზემოთ მოცემული A მატრიცა, ხოლო I კი ერთეულოვანი მატრიცა. ლეონტიევის მატრიცა საქართველოს ეკონომიკისთვის 2017 წელს შემდეგნაირად გამოიყურება (შედეგებს წარმოგიდგენთ მხოლოდ დამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის) (იხ. ცხრილი №11).

მიღებული მატრიციდან, შესაძლებელია დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მულტიპლიკატორული ეფექტის დათვლა. თავის მხრივ, მულტიპლიკატორული ეფექტის ასაწერად ორგვარი მიმართულება გამოიყენება - უკუდამოკიდებულების და წინადამოკიდებულების.

ცხრილი №11: ლეონტიევის მატრიცა (L), დამამუშავებელი მრეწველობა, საქართველო, 2017

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O+P	ჯამი
A				0.03												
B				0.00												
C				0.02												
D	0.17	0.03	0.05	1.15	0.08	0.48	0.91	0.33	0.17	0.11	0.09	0.18	0.10	0.16	0.24	4.25
E				0.01												
F				0.01												
G				0.00												
H				0.00												
I				0.01												
J				0.01												
K				0.02												
L				0.00												
M				0.00												
N				0.00												
O+P				0.00												
ჯამი				1.26												

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) და GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით

დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი (backward linkage) აღწერს თუ რამდენად გაიზრდება ამ დარგის მოთხოვნა ეკონომიკის დანარჩენ ნაწილში ნაწარმოებ პროდუქციაზე, თუ ეს დარგი წარმოებას 1 ერთეულით გაზრდის. დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი გამოითვლება ლეონტიევის მატრიცის სვეტის მონაცემების დაჯამებით. მეორეს მხრივ, დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი (forward linkage) ასახავს იმას, თუ რამდენად იზრდება ამ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე მოთხოვნა, როდესაც ეკონომიკის დანარჩენ ნაწილში წარმოება 1 ერთეულით იზრდება. დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტის დასათვლელად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, თუმცა ჩვენ გამოვიყენებთ Rasmussen (1956) მეთოდს, რომლის თანახმადაც წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ლეონტიევის მატრიცის რიგის ჯამს წარმოადგენს.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. 2017 წლისთვის, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი 1.26-ის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დამამუშავებელი მრეწველობის დარგი აწარმოებს

1 ლარის ღირებულებით პროდუქციას, ეს დამატებით გამოიწვევს 26 თეთრის გენერირებას ეკონომიკაში და ჯამში დანახარჯი 1.26 ლარით გაიზრდება. უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი ზომავს დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მნიშვნელობას როგორც მომთხოვნის წარმომქმნელს ეკონომიკაში (მოთხოვნის მხარე). მეორეს მხრივ, 2017 წლის დამამუშავებელი მრეწველობის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი 4.25-ის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეკონომიკის სხვა დარგები აწარმოებენ 1 ლარის ღირებულების პროდუქციას, ეს მათ მიერ 3.25 ლარით ზრდის დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე მოთხოვნას. წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ზომავს დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მნიშვნელობას როგორც მიმწოდებელი ეკონომიკაში (მიწოდების მხარე).

ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით ასევე შეფასდა დამამუშავებელი მრეწველობის დარგის უკუდამოკიდებულებისა და წინადამოკიდებულების კოეფიციენტები 2012-2018 წლებისათვის. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №12. წლების ჭრილში კოეფიციენტებს შორის მკვეთრი ცვლილება არ შეიმჩნევა, გარდა 2018 წლისა, როდესაც დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი 4.26-დან 5.33-მდე იზრდება. ზოგადად, ანალიზიდან იკვეთება, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტები ბევრად უფრო მაღალია ვიდრე მისი უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები. ასევე, დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი 1-ზე მეტია, არც თუ ისე მაღალია საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, თუმცა დარგს გააჩნია ყველა სხვა დარგზე მაღალი წინადამოკიდებულების კოეფიციენტები. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან დღეს დამამუშავებელი მრეწველობის დარგი განუვითარებელია და ეკონომიკის სხვა დარგებში ნაკლებად ქმნის მოთხოვნას საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის, ნაწილობრივ იმის გამო, რომ დარგი იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული. თუმცა, მეორეს მხრივ, ძალიან მაღალი წინადამოკიდებულების კოეფიციენტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე მოთხოვნა ძალიან დიდია ეკონომიკის სხვა დარგებისგან და მნიშვნელოვანია ამ დარგის განვითარება, რათა ეკონომიკაში დამატებითი დოვლათი შეიქმნას.

ცხრილი №12: წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები დამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის, საქართველო, 2012-2018 წლები

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი	1.27	1.28	1.27	1.26	1.27	1.26	1.25
წინადამოკიდებულების კოეფიციენტი	4.69	4.47	4.26	4.13	4.14	4.26	5.33

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008), Rasmussen (1956) და GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით


დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენის მეტად სიღრმისეული შეფასებისათვის, ზემოთ აღწერილი „დანახარჯები-გამოშვების“ ანალიზის ჩატარება შესაძლებელია დარგის სხვადასხვა საქმიანობების კოეფიციენტების დათვლისათვის. ამისათვის ვიყენებთ, საქსტატის მიერ მოწოდებულ 2018 წლის გამოყენებისა და დანახარჯების ცხრილებს, რომლებიც მოიცავს 38 სახის საქმიანობას შესაბამისი პროდუქტის მიხედვით. ცხრილების „დანახარჯები-გამოშვების“ მატრიცად გარდაქმნა და შემდეგ შესაბამისა უკუდამოკიდებულებისა და წინადამოკიდებულების კოეფიციენტების დაანგარიშება ხდება იგივე მეთოდით, რაც ზემოთ არის აღწერილი. 2018 წლის შედეგები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის 13 სხვადასხვა საქმიანობისთვის წარმოდგენილია ცხრილში №13. მიიჩნევა, რომ რაც უფრო მაღალია დარგის როგორც უკუდამოკიდებულების, ისე წინადამოკიდებულების კოეფიციენტები, მით მეტად პრიორიტეტულია დარგი ეკონომიკისთვის, შესაბამისად, დარგების პრიორიტეტულობა შესაძლებელია გამოისახოს გრაფიკი №9-ის სახით. იკვეთება, რომ დარები A,G,H დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, ასევე C, M, E დარგებზე მაღალი უკუდამოკიდებულების და წინადამოკიდებულების კოეფიციენტებით გამოირჩევიან. შედარებით ნაკლები ზეგავლენა აქვს ეკონომიკაზე F,L,I,K,J, და B დარგებს. ხოლო D დარგი, მიუხედავად დაბალი უკუდამოკიდებულების კოეფიციენტისა გამოირჩევა მაღალი წინადამოკიდებულების კოეფიციენტით.

ცხრილი №13: წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სხვადასხვა საქმიანობებისთვის, 2018 წელი

	საქმიანობა	უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი (Type I)	წინადამოკიდებულების კოეფიციენტი (Type I)
A	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს პროდუქტები	1.509	2.035
B	ტექსტილი, ტანსაცმელი და ტყავის პროდუქტები	1.103	1.172
C	ხის და ქალაღდის პროდუქტები; მომსახურება ბეჭდვით	1.225	1.674
D	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	1.009	2.188
E	ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	1.225	1.377
F	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები	1.086	1.319
G	რეზინის, პლასტმასის და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები	1.376	1.909
H	ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი, მანქანების და მოწყობილობების გარდა	1.412	1.691
I	კომპიუტერები, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქცია	1.001	1.175
J	ელექტრომოწყობილობები	1.058	1.145
K	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1.010	1.119
L	სატრანსპორტო მოწყობილობები	1.002	1.228
M	ავეჯი; სხვა სამრეწველო საქონელი; მოსახურება მანქანების და მოწყობილობების რემონტი	1.185	1.377

წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008), Rasmussen (1956) და GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №9: დამამუშავებელი მრეწველობის 13 სხვადასხვა საქმიანობის წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები, 2018 წელი



წყარო: ავტორის მიერ


ანალიზიდან იკვეთება, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. კერძოდ, დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი 2018 წელს 1.25-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს რომ დარგის მიერ 1 ლარის ღირებულების პროდუქციის წარმოება, ეკონომიკაში დამატებით 25 თეთრის გენერირებას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავია, რომ უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალი იქნება, თუ დარგი მეტად განვითარდება და ნაკლებ იმპორტირებულ შუალედურ საქონელს მოიხმარს სხვა დარგებისგან საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის. მეორეს მხრივ, დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან მაღალია და 2018 წელს 5.33-ს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე ძალიან დიდია მოთხოვნა ეკონომიკის სხვა დარგების მიერ, შესაბამისად დარგის განვითარება ძალზედ პრიორიტეტულია.

დამამუშავებელი მრეწველობის 13 სხვადასხვა საქმიანობის ანალიზმა გვაჩვენა, რომ დარგის 6 საქმიანობას (A,G,H,C,M,E) განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ეკონომიკაზე ვიდრე დარგის სხვა დანარჩენ 7 საქმიანობს (F,L,I,K,J,B,D). შესაბამისად, ეს საქმიანობები შესაძლებელია პრიორიტეტულად მივიჩნიოთ ეკონომიკური პოლიტიკის გადმოსახედიდან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ საქმიანობას შესაძლებელია დღეს არ ჰქონდეს დიდი გავლენა ეკონომიკაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმიანობა განუვითარებელია და დაბალი წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ საქმიანობების განვითარება ნაკლებად პრიორიტეტული უნდა იყოს. ეს მართალია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა სტრუქტურულად ბოლომდე ფორმირებული არ არის. მაგალითად, ელექტრომოწობილობების, სატრანსპორტო მოწყობილობების და მანქანების და მოწყობილობების დარგების გავლენა არც თუ ისე დიდია დღეს ეკონომიკაზე რადგან ეს დარგები განუვითარებელია, თუმცა მათი განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო წინსვლისათვის.

2.3. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტენდენციის სიღრმისეული ანალიზი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემების მიხედვით მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაში მოწინავე პოზიცია საბითუმო და საცალო ვაჭრობის დარგს უჭირავს (13.9%), მას მოჰყვება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4%), ხოლო მესამე ადგილს დამამუშავებელი მრეწველობა იკავებს (10.2%) (იხ. გრაფიკი №10). როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული (იხ. ქვეთავი 2.2), მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულება მშპ-სთან მიმართებაში გაცილებით მაღალია, როგორც საშუალოზე დაბალ (15.4%), ასევე საშუალოზე მაღალ (20.7%) და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში (14.1%), რაც საქართველოში ამ დარგის განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამ კონტექსტში, მიზანშეწონილია უფრო დეტალურად განვიხილოთ ეს დარგი, მისი სტრუქტურა, ქვედარგები და სხვადასხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები.


გრაფიკი №10: მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა (% მშპ), საქართველო, 2018 წელი



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობის დარგის საერთო ბრუნვამ 2018 წელს 13.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1 მილიარდი ლარით მეტია. დარგის მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ კი, 2018 წლის მონაცემებით, 11.6 მილიარდი ლარი იყო, რაც წინა წლის იგივე მაჩვენებელს 0.8 მილიარდი ლარით სჭარბობს¹³. დამამუშავებელი მრეწველობის დარგის წილი მშპ-ში არც თუ ისე დიდია და დღეს მშპ-ს დაახლოებით 10.2%-ს შეადგენს. დარგის წილის მაჩვენებელი მშპ-ში 1996 წლიდან დღემდე კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დამამუშავებელი მრეწველობის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში სულ უფრო მცირდება (იხ. გრაფიკი №11). ეს კი ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის ან ჩამორჩენილი ინდუსტრიალიზაციის მანიშნებელია. რაც შეეხება დარგში დასაქმებას, ამ ამ მხრივ, 2000 წლის შემდეგ ფაქტიურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნება და დარგში სტაბილურად დასაქმებულთა დაახლოებით 5-6% არის დასაქმებული.

გრაფიკი №11: დამამუშავებელი მრეწველობის დარგის დამატებული ღირებულება (წილი მშპ-ში) და დასაქმება (წილი მთლიან დასაქმებაში) საქართველო, 1996-2018 წწ.




წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკისა და ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

¹³ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/77/mretsveloba>

შრომის პროდუქტიულობის¹⁴ გადმოსახედიდან, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის პროდუქტიულობა 2010 წლის შემდეგ ჯამურად დადებითი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა 2009, 2011, 2012, 2013, 2016 და 2018 წლებში შეინიშნება კლება, ხოლო 2006-2008 წლებში, 2010 და 2017 წელს, მკვეთრი ზრდა (იხ. გრაფიკი №12).

გრაფიკი №12: დამამუშავებელი მრეწველობის შრომის პროდუქტიულობა და მისი ზრდის ტემპი (%), საქართველო, 2006-2018 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით


თვითონ პროდუქტიულობის ზრდის ტემპი ჯამურად უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შრომის პროდუქტიულობა ჯამურად იზრდება, მაგრამ ყოველ წელს უფრო ნაკლებად ვიდრე წინა წლებში. ეს ერთის მხრივ დარგის პოტენციალზე, მეორე მხრივ კი ცვლილებების აუცილებლობაზე მიანიშნებს. საყურადღებოა, რომ მთლიანად მრეწველობის დარგში, მსხვილი საწარმოები უფრო პროდუქტიულები არიან ვიდრე საშუალო და მცირე ზომის საწარმოები. GeoStat-ის 2018

¹⁴ შრომის პროდუქტიულობა მიუთითებს თუ რამდენი ლარის დამატებულ ღირებულებას ქმნის თითო დასაქმებული ადამიანი ერთი წლის განმავლობაში და გამოითვლება დარგის დამატებული ღირებულების გაყოფით დარგში დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე.

წლის მონაცემების თანახმად, მსხვილ საწარმოებში, ერთი მუშა საშუალოდ 40,273 ლარის პროდუქციას ქმნიდა წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი საშუალო ზომის საწარმოებისთვის 38,451, ხოლო მცირე საწარმოებისათვის 19,358 ლარი იყო.

2020 წლის მონაცემების მიხედვით¹⁵, დამამუშავებელი მრეწველობის დარგში დარეგისტრირებულია 32,000 ბიზნეს სუბიექტი, რომელთაგანაც აქტიურია მხოლოდ 12,904 (40%). დარგი ბოლო 4 წლის განმავლობაში, საშუალოდ ყოველწლიურად 90,000 მშრომელს ასაქმებს, ხოლო საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ამ დარგში, 2018 წლისთვის, თვეში 920 ლარს შეადგენდა¹⁶. ამ თვალსაზრისით დამამუშავებელი მრეწველობის დარგი მე-13 ადგილს იკავებს და ჩამორჩება სხვა უფრო მაღალანაზღაურებად დარგებს, მაგალითად როგორებიცაა, საფინანსო და სადაზღვევო სფერო, სამთომოპოვებითი მრეწველობა და მშენებლობა (იხ. გრაფიკი №13).

გრაფიკი №13: საშუალო თვიური ანაზღაურება დარგების მიხედვით, საქართველო, 2018




წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

¹⁵ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/65/sakmianobis-sakheebis-mikhedvit>

¹⁶ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

მიუხედავად ამისა, დარგის საშუალო თვიური ხელფასების დინამიკა ჯამურად მზარდია და 2000 წლის შემდეგ ის დაახლოებით 10-ჯერ არის გაზრდილი ნომინალურად, რაც შესაძლებელია დადებით მოვლენად მივიჩნიოთ (იხ. გრაფიკი №14). თუმცა, საყურადღებოა, რომ ხელფასებს შორის მკვეთრი განსხვავებაა გენდერულ ჭრილში, რადგან დამამუშავებელი მრეწველობის დარგში კაცები დაახლოებით 2-ჯერ მეტს გამოიმუშავენ ვიდრე ქალები - კაცების საშუალო თვიური ხელფასი 2018 წელს 1260 ლარს, ხოლო ქალების საშუალო თვიური ხელფასი კი 753 ლარი.


გრაფიკი №14: საშუალო თვიური ნომინალური ანაზღაურება ლარებში, დამამუშავებელი მრეწველობა, საქართველო, 2000-2018 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

დამამუშავებელი მრეწველობის დარგი მეტნაკლებად მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. დარგში ბოლო 7 წლის განმავლობაში, ჯამურად 931 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც ამავე პერიოდის მთლიანი უცხოური ინვესტიციის 9%-ს შეადგენს. აქაც, როგორც სხვა ბევრი ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით, წამყვანი დარგები ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (25%), საფინანსო სექტორი (14%), ენერგეტიკა (12%) და მშენებლობაა (11%) (იხ. გრაფიკი №15). ასეთი დარგების განვითარება საჭირო და აუცილებელია, თუმცა ეს ნაკლებად ეხმარება ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს.


გრაფიკი №15: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული კომპოზიცია, საქართველო, 2013-2019 წლების ჯამი.



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

წლების ჭრილში თუ განვიხილავთ, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მიერ მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, მიუხედავად პერიოდული ზრდისა, ჯამურად კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც დარგში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობაზე მიანიშნებს (იხ. გრაფიკი №16). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საექსპორტოდ მიმზიდველი, მაღალტექნოლოგიური და ცოდნატევადი საქონლის წარმოება, ხშირ შემთხვევაში, სწორედ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოითხოვს - უცხოურ კომპანიებს, სხვა თანაბარ პირობებში, გააჩნიათ მეტი ტექნოლოგიური ცოდნა, უკეთესი მართვის პრაქტიკა, მეტი მანქანა-დანადგარები და არიან მეტად ექსპორტზე ორიენტირებულნი ვიდრე მათი ადგილობრივი კონკურენტები განვითარებად ქვეყნებში (Sonmer, 2016).

გრაფიკი №16: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, დამამუშავებელი მრეწველობა, საქართველო, 2007-2019 წწ.




წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

რეგიონალური გადმოსახედიდან, მრეწველობის დარგში¹⁷ ყველაზე მეტ დამატებულ ღირებულებას თბილისი ქმნის - დამატებული ღირებულების თითქმის ნახევარი სწორედ დედაქალაქში იქმნება (იხ. გრაფიკი №17). ქვეყნის ცალკეული რეგიონები მიერ შექმნილი დარგის დამატებული ღირებულება შედარებით მცირეა, რაც საყურადღებოა. სასურველია, რომ დამამუშავებელი მრეწველობა მეტად განვითარებული სწორედ რეგიონებში იყოს, რადგან ეს დააჩქარებს მოსახლეობის სოფლის მეურნეობიდან დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მარტივ და სწრაფ გადანაცვლებას, პრაქტიკულობის, გეოგრაფიული სიახლოვისა და დანახარჯების სიმცირის გამო. გარდა ამისა, დამამუშავებელი მრეწველობის რეგიონებში კონცენტრირება, ხელს შეუწყობს ცალკეული რეგიონების განვითარებას და ჯამურად მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან, ქართველი მოსახლეობის 42% სწორედ რურალურ ტერიტორიებზე ცხოვრობს¹⁸.

¹⁷ რეგიონალურ ჭრილში, დამამუშავებელი მრეწველობის დარგზე ინფორმაცია არ მოიძიება. GeoStat აქვეყნებს ინფორმაციას მხოლოდ მთლიანად მრეწველობის დარგისათვის, რომლიც დამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად მოიცავს სამთომომპოვებით მრეწველობას, ელექტროენერჯის მიწოდებასა და წყალმომარაგებას.

¹⁸ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

გრაფიკი №18: დამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურა ქვედარგების მიხედვით, დამატებული ღირებულება (% მთლიანში), საქართველო, 2018 წელი.



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი №14: წამყვანი ინდუსტრიები, პროდუქტები და კომპანიები დამამუშავებელ მრეწველობაში, საქართველო, 2017 წელი.

წამყვანი ინდუსტრიები წარმოების მოცულობის და დამატებული ღირებულების მიხედვით	წამყვანი პროდუქტები დამატებული ღირებულების მიხედვით	წამყვანი კომპანიები წარმოების მოცულობის მიხედვით
1 კვების პროდუქტები და სასმელები	- მინერალური წყლები - ღვინო	- IDS Borjomi - Coca-Cola GE
2 ლითონები	- რკინა ლითონები - მილები	- Georgian Manganese - GeoSteel
3 არალითონური მინერალური პროდუქტები	- ბეტონი - ცემენტი	- Heidelberg Cement - Heidelberg Beton
4 ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები	- სასუქები - ინდუსტრ. გაზები	- Caparol Georgia - Rustavi Azoti
5 რეზინის და პლასტმასის ნაწარმი	- შესაფუთი მასალები - პლასტმასის სამშენებლო ნაწარმი	- LTD Alfa Pet - JSC Caucasian Pet

6	ხე და ქაღალდი	<ul style="list-style-type: none"> - ქაღალდის და მუყაოს პროდუქცია - ხე, კორპი, მოსაპირკეთებელი მასალები 	<ul style="list-style-type: none"> - Star RG - Sharavandi
7	ტექსტილი, ტყავი, ტანსაცმელი	<ul style="list-style-type: none"> - ტანსაცმელი - ტექსტილი 	<ul style="list-style-type: none"> - Ajara Textile - Fast Track Textile
8	ფარმაცევტული პროდუქტები და პრეპარატები	<ul style="list-style-type: none"> - ფარმაცევტული პროდუქტები 	<ul style="list-style-type: none"> - Aptos - GMP Pharma
9	ავეჯი	<ul style="list-style-type: none"> - ავეჯი - სხვადასხვა დანადგარები 	<ul style="list-style-type: none"> - MAQRO - Georgian Products
10	დანადგარები და ელექტრონული მოწყობილობები	<ul style="list-style-type: none"> - სხვადასხვა 	<ul style="list-style-type: none"> - Guramex - Sakcable
11	სხვა	<ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო საშუალებები - სპეციალური დანადგარები 	<ul style="list-style-type: none"> - Elmavalmshenebeli - TAM Management

წყარო: სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, 2019 წლის ანგარიში¹⁹

დამამუშავებელი მრეწველობის დარგში სხვადასხვა საქმიანობების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ფრაგმენტულია - ხან მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება, ხან კი მკვეთრად მცირდება. ცხრილი №15 გვიჩვენებს დამატებული ღირებულების ზრდის ტემპებს სხვადასხვა ქვედარგებისათვის. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ გამოკვეთილად სტაბილური ზრდა არცერთ საქმიანობაში არ ფიქსირდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკა ჯერ კიდევ დარგების ძიების პროცესშია და არ არის სრულად ფორმირებული.

შრომის პროდუქტიულობის თვალსაზრისით, 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ყველაზე პროდუქტიული ქვედარგები კოქსის და ნავთობპროდუქტების, კომპიუტერების და ელექტრონული პროდუქციის, ძირითადი ლითონების და სასმელების წარმოების ინდუსტრიებია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული პირველი ორი დარგი, დასაქმებულთა მხოლოდ მცირე ნაწილს ასაქმებს და დამატებული ღირებულების თვალსაზრისითაც, მცირე ოდენობას ქმნის (იხ. ცხრილი №15, ბოლო სვეტი).

¹⁹ <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadacc5beb1b-3-PRINT-Manufacturing-2019-small.pdf>

ცხრილი №15: დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი, საქართველო, 2009-2018 წწ.


	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	შ.პ. 2008 ლარი
კვების პროდუქტები	42%	13%	29%	60%	22%	-16%	21%	20%	2%	18138
სასმელები	60%	-20%	26%	-36%	-25%	102%	-44%	156%	23%	51312
ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები	17%	39%	15%	9%	24%	-7%	13%	12%	-4%	48706
სხვა არალითონ-ნური მინერალური პროდუქტები	60%	103%	32%	-12%	20%	11%	34%	-10%	10%	34365
ძირითადი ლითონები	262%	113%	-17%	1%	-1%	12%	-44%	80%	2%	55931
ლითონის შხა ნაწარმი	32%	17%	32%	-21%	8%	136%	-26%	22%	37%	35505
მანქანების და მოწყობილობების რემონტი	21%	0%	4%	-5%	37%	-5%	30%	33%	5%	25538
თამბაქოს წარმოება	6%	75%	14%	-17%	61%	17%	22%	8%	4%	39158
ტექსტილის წარმოება	41%	-4%	39%	5%	-7%	64%	-1%	18%	9%	16756
ტანსაცმლის წარმოება	216%	8%	62%	-1%	69%	-24%	34%	-21%	72%	9515
ტყავი და მასთან დაკავშირებული ნაწარმი	-40%	4%	10%	-22%	-33%	55%	-1%	-6%	4%	6888
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა	1%	60%	11%	5%	-12%	23%	-6%	21%	6%	26467
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	-40%	171%	7%	-11%	2%	40%	-28%	18%	23%	26037
ბეჭდვა და მედია ჩანაწერები	33%	81%	-20%	48%	16%	27%	2%	14%	-2%	23938
ფარმაცევტული პროდუქტები პრეპარატები	53%	35%	26%	-25%	72%	24%	14%	51%	2%	36742
რეზინის პლასტმასის ნაწარმი	-10%	45%	-44%	-48%	35%	14%	-33%	13%	23%	21539
კომპიუტერები, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქცია		106%	-7%	-25%	46%	12%	-55%	81%	65%	71428
ელექტრული მოწყობილობები	-23%	0%	167%	-50%	33%	-11%	11%	41%	25%	41072
მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება	-18%	141%	-76%	254%	-58%	-77%	202%	-47%	-4%	29202
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	-47%	--	--	-50%	847%	224%	19%	12%	46%	6396
ავეჯის წარმოება	162%	100%	-51%	12%	28%	137%	-45%	-27%	-36%	16093
სხვა შხა ნაკეთობები	-25%	333%	138%	-77%	38%	34%	-18%	-34%	143%	16794

წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ასევე, მაღალი შრომის პროდუქტიულობით გამოირჩევიან ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტის წარმოება, თამბაქოს წარმოება, ფარმაცევტული პროდუქტების და პრეპარატების წარმოება და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება (მანქანების გარდა), ხოლო ყველაზე დაბალი შრომის პროდუქტიულობა ავეჯის, ტანსაცმლის, ტყავის და მასთან დაკავშირებული საქონლის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოების ინდუსტრიებში შეინიშნება.

ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია დარგის სამომავლო განვითარების შესაფასებლად, რადგან ფიზიკურ კაპიტალში ინვესტირება და მისი გაუმჯობესება პროდუქტიულობის ამაღლებას ემსახურება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შევაფასოთ დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (იხ. გრაფიკი №19). მიუხედავად მკვეთრი ვარდნისა 2009 წელს, განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ჯამურად დადებითი ტენდენციით ხასიათდება.

გრაფიკი №19: დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები და მისი ზრდის ტემპი (%), საქართველო, 2018 წელი.




წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ინვესტიციების მოცულობის ზრდის ტემპი ფრაგმენტულია და ზრდის ტემპის ჭრილში იკვეთება ჯამური უარყოფითი ტენდენცია. შესაბამისად, სასურველი და აუცილებელია მეტი ინვესტიციების განხორციელება ფიქსირებულ აქტივებში - ამას შესაძლოა არ მოჰყვეს დარგის პროდუქტიულობის სწრაფი გაუმჯობესება, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დარგის გრძელვადიან პროდუქტიულობაზე.


საინტერესოა დარგის წვლილი ქვეყნის საექსპორტო სტრუქტურაშიც. საქართველოს საექსპორტო სტრუქტურაში, დამამუშავებელი მრეწველობის დარგს წამყვანი პოზიცია უჭირავს - ექსპორტირებული პროდუქციის საერთო ღირებულების 34% სწორედ დამამუშავებელი მრეწველობის დარგზე მოდის. ექსპორტის სტრუქტურაში მეორე ადგილზეა საბითუმო საცალო ვაჭრობა და ავტომობილების/მოტოციკლების რემონტი, ხოლო მესამეზე ტრანსპორტი და დასაწყობება. ეკონომიკის დანარჩენი სექტორები კი ექსპორტში ძალიან მცირე წვლილით გამოირჩევიან (5%-ზე ნაკლები) (იხ. გრაფიკი №20). ის რომ დამამუშავებელი მრეწველობას საექსპორტო სტრუქტურაში წამყვანი პოზიცია უჭირავს, კიდევ ერთხელ ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ამ დარგს მეტი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებს. საყურადღებოა ექსპორტის სტრუქტურა სასაქონლო პოზიციების მიხედვითაც. ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი პოზიცია უჭირავს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს (18%), მადნებს და სპილენძს (17%), ფეროშენადნობებს (8%), ღვინოს (6%), სამკურნალო საშუალებებს (5%) და მინარაღურ/მტკნარ წყლებს (4%). იკვეთება, რომ საექსპორტო სტრუქტურა ძირითადად ავტომობილების რეექსპორტის, მინერალური რესურსების და დაბალტექნოლოგიური წარმოებისაგან შედგება (იხ. გრაფიკი №21). ასეთი ტიპის ექსპორტის სტრუქტურა ძირითადად დამახასიათებელია დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც ექსპორტის ძირითად წყაროს დაბალტექნოლოგიური პროდუქცია და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში, სხვა დანარჩენ პრობლემებთან ერთად, არის ინოვაციების, ცოდნისა და კვალიფიციური კადრების მნიშვნელოვანი ნაკლებობა.

გრაფიკი №20: ექსპორტის სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, საქართველო, 2019 წელი.




წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №21: ექსპორტის სტრუქტურა უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით, საქართველო, 2019 წელი.



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №22: მაღალტექნოლოგიური საქონლის წილი ექსპორტში, დამამუშავებელი მრეწველობის დარგი, საქართველო და სხვა ქვეყნები, 2019-2018 წლები.




წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №22-ზე ნათლად ჩანს, რომ მაღალტექნოლოგიური საქონლის წილი ექსპორტში დამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის არის მხოლოდ 3 % (2018 წელი), მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი სხვა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 22%, ხოლო საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 12%. მეტიც, საქართველო ამ მიმართულებით ჩამორჩება, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ასევე აზერბაიჯანს, სომხეთს და რუსეთს. პრობლემები შეინიშნება საექსპორტო პარტნიორების თვალსაზრისითაც - 2012 წლის შემდეგ პარტნიორი საექსპორტო ქვეყნების სტრუქტურა თითქმის უცვლელია, მცირეა ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის მაჩვენებელი და მზარდია დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე (იხ. გრაფიკი №23).

დამამუშავებელი მრეწველობის დარგის ანალიზისას უდავოდ საინტერესოა განვიხილოთ ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ანგარიში, რომელსაც გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) აქვეყნებს და რომელიც 150 ქვეყანას ინდუსტრიული განვითარების ქულებს ანიჭებს.

გრაფიკი №23: ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2012 და 2019 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ინდექსი მრავალ მაჩვენებელს ეყრდნობა, მათ შორის ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა მწარმოებლურობის უნარი, ინდუსტრიალიზაციის ტემპის ინტენსიურობა და ქვეყნის დამამუშავებელი მრეწველობის გავლენა მსოფლიო ბაზარზე. საქართველო 2017 წლის ანგარიშის მიხედვით 150 ქვეყნიდან 94-ე ადგილს იკავებს და მკვეთრად ჩამორჩება არამხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, არამედ რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთს და უკრაინას.


საქართველოს ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი მკვეთრად შემცირდა 1990-1994 წლებში, 1995-2008 წლებში შეინიშნება ინდექსის მკვეთრი ზრდა, ხოლო 2008 წლის შემდეგ შეინიშნება ზრდის და კლების ტენდენციები, თუმცა ინდექსის მკვეთრი გაუმჯობესება არ შეინიშნება (იხ. გრაფიკი №24). ასევე, რანგის გადმოსახედიდან, ქვეყანის პოზიციები უარესდებოდა 1990-1994 წლებში და 1994 წლის ბოლოს ქვეყანამ 124-ე ადგილი დაიკავა 150 ქვეყანას შორის. 1994 წლის შემდეგ იწყება ქვეყნის ინდუსტრიული გამოცოცხლების პროცესი და 2011 წლის ბოლოს ქვეყანამ ანგარიშში 95-ე ადგილი დაიკავა. 2011 წლის შემდეგ შეინიშნება დაქვეითების და მცირედი წინსვლის ეპიზოდები, თუმცა გაუმჯობესება რეიტინგის თვალსაზრისით არ შეინიშნება. ჯამურად, UNIDO საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებას და ქვეყნის დამამუშავებელი მრეწველობის დარგს აფასებს როგორც „საშუალოზე დაბალი“.

ცხრილი №16: ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2017.²⁰

	რანგი (ადგილი) 150 ქვეყნიდან	ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი	UNIDO-ს შეფასება
თურქეთი	28	0.13	მაღალი
რუსეთი	31	0.11	საშუალოზე მაღალი
ლიეტუვა	40	0.08	საშუალოზე მაღალი
ბელარუსი	46	0.07	საშუალოზე მაღალი
ლატვია	57	0.05	საშუალოზე მაღალი
ყაზახეთი	66	0.04	საშუალო
უკრაინა	67	0.04	საშუალო
საქართველო	94	0.02	საშუალოზე დაბალი
აზერბაიჯანი	99	0.01	საშუალოზე დაბალი
სომხეთი	115	0.01	საშუალოზე დაბალი

წყარო: ავტორის მიერ, UNIDO-ს მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №24: ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა, საქართველო, 1990-2018 წწ.



წყარო: ავტორის მიერ, UNIDO-ს მონაცემებზე დაყრდნობით

²⁰ <https://stat.unido.org/database/CIP%202019>

დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რიგი პრობლემები და ტენდენციები. კერძოდ:

- დარგის წილი მშპ-ში არის მცირე და დღეს მშპ-ს 10.2%-ის ტოლია, რაც მკვეთრად ჩამორჩება განვითარების იგივე საფეხურზე მყოფი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. დარგის კონტრიბუციის წილი ეკონომიკაში 1996 წლის შემდეგ მცირდება, რაც ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის ან ჩამორჩენილი ინდუსტრიალიზაციის ნიშანია.
- დარგის შრომის პროდუქტიულობა ზრდადია, თუმცა ზრდის ტემპი ჯამურად ყოველწლიურად უფრო მცირდება, რაც ცვლილებების აუცილებლობაზე მიანიშნებს.
- დარგის საშუალო თვიური ხელფასი მკვეთრად ჩამორჩება სხვა დარგების საშუალო თვიურ ხელფასებს. წლების ჭრილში ის მზარდია, მაგრამ მკვეთრი განსხვავებებია ქალებისა და მამაკაცის ხელფასებს შორის;
- დარგის მიერ მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ არის საკმარისი და ჩამორჩება ეკონომიკის ისეთ დარგებს, როგორებიცაა მაგალითად ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, საფინანსო და სამშენებლო სფეროები. ასევე, ინვესტიციების მოცულობის ტენდენცია ჯამურად უარყოფითია 2007 წლის შემდეგ;
- დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება რეგიონალურ ჭრილში არის მცირე და კონცენტრირებულია ძირითადად ქვემო ქართლში და თბილისში;
- დარგის სტრუქტურა საქმიანობების მიხედვით არის არადივერსიფიცირებული, როგორც ნაირსახეობის ასევე დამატებული ღირებულების გადმოსახედიდან - დამატებული ღირებულების ნახევარზე მეტს დარგის მხოლოდ 3 საქმიანობა ქმნის;
- დარგის არცერთ საქმიანობაში არ ფიქსირდება მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების სტაბილური ზრდა წლების მიხედვით - ადგილი აქვს ეპიზოდურ კლებას და ზრდას, რაც იმაზე მიანიშნებს რომ დარგი არის ძიების პროცესში და არ არის სრულად ფორმირებული;
- დარგის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები ყოველწლიურად იზრდება, თუმცა ზრდის ტემპი არასტაბილურია და ჯამურად კლებადი, რაც დარგის სამომავლო პროდუქტიულობის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს;

- დარგს გააჩნია საექსპორტო პოტენციალი, რადგან მთლიანი ექსპორტის 34% სწორედ დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის. თუმცა, ექსპორტის ძირითად წყაროს დაბალტექნოლოგიური პროდუქცია და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს, რაც დამახასიათებელია დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის;
- ექსპორტის სტრუქტურა არადივერსიფიცირებულია როგორც პროდუქციის ნაირსახეობის თვალსაზრისით, ასევე საექსპორტო ქვეყნების თვალსაზრისითაც. დაბალია ევროკავშირის ბაზრებზე შეღწევის მაჩვენებელი და 2013 წლის შემდეგ ის ფაქტობრივად არ გაზრდილა. მეორეს მხრივ, იზრდება დამოკიდებულება რუსეთის გასაღების ბაზარზე, რაც სამომავლო ეკონომიკური განვითარებისთვის საფრთხის შემცველია;
- დარგის განვითარება გაეროს ინდუსტრიული ორგანიზაციის (UNIDO) მიერ შეფასებულია როგორც „საშუალოზე დაბალი“ და განვითარებით ჩამორჩება არამხოლოდ მსოფლიოს მაღალშემოსავლიან ქვეყნებს, არამედ რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთს და უკრაინას.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის დარგი არის არასაკმარისად განვითარებული. მეტიც, რიგი მაჩვენებლების მიხედვით შეინიშნება დაქვეითების ან უძრაობის ტენდენციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგი მაჩვენებლები მცირედით გაუმჯობესებულია, თუმცა ასეთი ტენდენცია ვერ იქონიებს გავლენას დარგის სწრაფ გამოცოცხლებაზე და ვერცერთ შემთხვევაში ვერ გახდება ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციის გარანტი. მიუხედავად ამისა, მისასალმებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მთავრობა დარგის განვითარებას ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახელებს, რაც ასახულია სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტებში. ამ თვალსაზრისით, უდავოდ საინტერესოა ქვეყნის სამეწარმეო პოლიტიკის გაანალიზება და მისი განმახორციელებელი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგების შეფასება.

2.4. ინდუსტრიული პოლიტიკა საქართველოში: ტენდენციები და გამოწვევები

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ასახულია სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტებში. თუმცა, აქედან, ინდუსტრიული განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის 2014 წელს შემუშავებული და შემდგომ პრემიერ მინისტრის მიერ ხელმოწერილი სტრატეგია²¹ სახელწოდებით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“. დოკუმენტში მკაფიოდ იკვეთება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები, რომლებიც შემდეგ 3 ძირითად პრინციპს ემყარება:

1. ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას.
2. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.
3. ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება.

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ყურადღება შევაჩეროთ ზემოთაღნიშნული პრინციპებიდან პირველზე, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის (წარმოების) განვითარებას ისახავს მიზნად. საყურადღებოა, რომ ის დასკვნები რომელიც ამ ნაშრომშია გაკეთებული, ასევე ასახულია მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტშიც. სტრატეგიაში ვკითხულობთ: „2004-2012 წლებში, მწარმოებლურობის

²¹ <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=34>

ზრდა ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, მეტად გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია. სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის მწარმოებლურობას.“ დოკუმენტის მიხედვით, მიზნის მისაღწევად, განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, მათი კომპონენტები და შესაბამისი მიზნობრივი მაჩვენებლები 2020 წლისათვის, რომლებიც ცხრილის სახით შემდეგნაირად შეიძლება იქნას წარმოდგენილი (იხ. ცხრილი №17).

ცხრილი №17: სტრატეგია „საქართველო 2020“-ის ძირითადი მიმართულებები

ძირითადი მიმართულება	მიმართულების კომპონენტი	მიზნობრივი მაჩვენებლები 2020 წლისათვის
კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება	1. საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება	<ul style="list-style-type: none"> - მთლიანი ინვესტიციები წილი მშპ-ში - 35% - გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი - 40 პოზიცია
	2. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების წახალისება	<ul style="list-style-type: none"> - ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP) (ყოველწლიური, %) – 3.2% - გლობალური ინოვაციების ინდექსი - 60 პოზიცია - გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი - 50 პოზიცია

	3. ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> - ექსპორტის მთლიანი მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში - 65% - საქონლის ექსპორტის წილი მშპ-სთან მიმართებაში - 30% - ვაჭრობის შესაძლებლობის ინდექსი (Enabling Trade Index) - 25
	4. ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> - ელექტროენერჯის მთლიანი წლიური წარმოება (ტერავატ. საათი) – 14.40 - ელექტროენერჯიაზე წვდომა (Doing Business ანგარიშის მიხედვით) – 35 - ლოგისტიკის ინდექსი - 3.3
ადამიანური კაპიტალის განვითარება	1. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - უმუშევრობა - < 12%-ზე - მიღება სკოლამდელი განათლების სფეროში - 80% - მიღება პროფესიული განათლების კურსებზე - 10%
	2. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა	<ul style="list-style-type: none"> - უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოც. დახმარებით - 80% - მოსახლეობა მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვემოთ - 18% - მოსახლეობა მედიანური მოხმარების 40%-ზე ქვემოთ - 5% - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა - 6% - ჯინის კოეფიციენტი - 0.35

	<p>3. ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა (ემსახურება მოსახლეობის 100%-ს) - ჯანდაცვაზე საკუთარი ჯიბიდან გადახდის წილი ჯანდაცვის დანახარჯებში - <30% - სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას - 76 წელი - 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 8 - დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე - 8
<p>ფინანსებზე ხელმისაწვდომობა</p>	<p>1. საინვესტიციო რესურსების მობილიზება</p>	<ul style="list-style-type: none"> - შიდა დანაზოგების წილი მშპ-ში - 25-28% - საბანკო დეპოზიტების წილი მშპ-ში - 40%
	<p>2. ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - კერძო კრედიტის წილი მშპ-ში - 55% - საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიების კაპიტალიზაცია - მშპ-ს 16%

წყარო: სტრატეგია 2020, ეკონომიკა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

იმისათვის, რომ შევაფასოთ სტრატეგიის აკარგანობა, აუცილებელია გავარკვიოთ მიაღწია თუ არა ქვეყანამ იმ მიზნობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც სტრატეგიაშია გაწერილი 2020 წლისათვის.

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება

1. საინვესტიციო ბიზნეს გარემო სტრატეგიის შექმნიდან დღემდე არ გაუმჯობესებულა. 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში²² საქართველო 74-ე

²² http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

ადგილს იკავებს, რაც მკვეთრად ჩამორჩება 2020 წლის მიზნობრივ მე-40 პოზიციას. მეტიც, ამ მიმართულებით ქვეყანამ 2014 წლის შემდეგ რეგრესი განიცადა, რადგან 2014 წლის ანგარიში²³ ქვეყანა 69-ე პოზიციას იკავებდა. 2014 წლის შემდეგ, ანგარიშის მიხედვით, გაუარესებულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. რაც შეეხება ინვესტიციების მოცულობის ზრდას მშპ-სთან მიმართებაში, შეინიშნება მცირედი გაუმჯობესება, თუმცა დღევანდელი მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება მიზნობრივ 35%-ს - GeoStat-ის მონაცემებით²⁴, ინვესტიციების წილი მშპ-სთან მიმართებაში 2019 წელს იყო 27%, რაც მხოლოდ 1%-ით მეტია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. საინვესტიციო გარემო რომ მკვეთრად არ გაუმჯობესებულა, ამაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35%-იანი ვარდნაც მოწმობს 2018 წელს და მხოლოდ 0.2%-იანი ზრდა 2019 წელს.²⁵

2. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობის ნაწილში შეინიშნება გაუმჯობესება რეიტინგების თვალსაზრისით. გლობალური ინოვაციების 2019 წლის ანგარიშში²⁶ ქვეყანა 48-ე ადგილს იკავებს, რაც მკვეთრად აღემატება 2014 წლის შესაბამის პოზიციას და სტრატეგია 2020-ის მიზნობრივ მაჩვენებელს. ასევე გაუმჯობესებულია ქვეყნის პოზიცია გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ანგარიშშიც. მიუხედავად გაუმჯობესებისა, 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პრობლემად მაინც ინოვაციების ნაკლებობა სახელდება. ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით²⁷, ტექნოლოგიებს ეკონომიკურ ზრდაში დიდი წვლილი არ შეუტანიათ, რადგან ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TPF) 2011-2015 წლებში იყო მხოლოდ 1.5%, რაც მკვეთრად ჩამორჩება მიზნობრივ 3.2%-ს და, ასევე, 2004-2008 წლების შესაბამის მაჩვენებელს (5%).

²³ http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2014-15.pdf

²⁴ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

²⁵ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

²⁶ https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2019.pdf

²⁷ <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2018/06/28/Georgia-Selected-Issues-46037>

3. ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის ნაწილში შეინიშნება მცირედი წინსვლა, რადგან გაზრდილია ექსპორტის, როგორც მოცულობა ასევე მისი მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობამ მშპ-სთან მიმართებაში 2019 წელს შეადგინა 50%, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი 2014 წელს 45%-ს შეადგენდა. ასევე, გაზრდილია საქონლის ექსპორტის წილი მშპ-სთან მიმართებაში და ის, 2019 წელს, 21%-ს უტოლდებოდა, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი 2014 წელს 18% იყო. თუმცა, ორივე მაჩვენებლის სიდიდე მკვეთრად ჩამორჩება სტრატეგიით განსაზღვრულ სამიზნე 65% და 30%-ს²⁸. ასევე, 2016 წლის ვაჭრობის შესაძლებლობის ინდექსის²⁹ მიხედვით ქვეყანა 41-ე პოზიციას იკავებს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამიზნე 25-ე ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მათ შორის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, ექსპორტის დივერსიფიკაცია კვლავ დაბალია, როგორც საექსპორტო ქვეყნების, ისე საექსპორტო პროდუქტების მიხედვით. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, არ შეინიშნება სავაჭრო დეფიციტის გაუმჯობესება და მისი თანაფარდობა მშპ-სთან 35%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ აღემატება 5%-ს.
4. ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. 2018 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით³⁰, საქართველოს ლოგისტიკის ინდექსი არის 2.44, რაც მკვეთრად ჩამორჩება სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნობრივ 3.3 ქულიან მაჩვენებელს. ამავე ანგარიშის მიხედვით ქვეყანა 119 ადგილს იკავებს 160 ქვეყნიდან, რაც ძალზედ ნეგატიური მაჩვენებელია. ასევე, 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის ინფრასტრუქტურის კომპონენტში ქვეყანა 73-ე პოზიციას იკავებს, მაშინ როდესაც

²⁸ გამოთვლები გაკეთებულია ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

²⁹ <https://reports.weforum.org/global-enabling-trade-report-2016/economy-profiles/#economy=GEO>

³⁰ <https://lpi.worldbank.org/international/scorecard/radar/254/C/GEO/2018#chartarea>

იგივე მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანა 59-ე პოზიციას იკავებდა 2014 წელს. ელექტროენერგიაზე წვდომის კუთხით, მსოფლიო ბანკის Doing Business 2020 ანგარიში მიხედვით³¹ ქვეყანა 42 ადგილს იკავებს, რაც ჩამორჩება მიზნობრივ 35-ე ადგილს. ელექტროენერგიის წლიური წარმოების 2020 წლის მიზნობრივი მაჩვენებელიც (14.4 ტვტ. სთ) ვერ იქნა მიღწეული - დღეს საქართველო აწარმოებს 11.9 ტვტ. სთ ელექტროენერგიას, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელს მკვეთრად არ აღემატება.³²

ადამიანური კაპიტალის განვითარება

1. არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ანგარიშის და კვლევის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არასაკმარისად განათლებული და არაკვალიფიციური მუშახელია. 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით³³, ბიზნესის კეთების მთავარ პრობლემად სწორედ კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა დასახელებული. ამავე ანგარიშის 2019 წლის მონაცემებით, ქვეყანას 125-ე პოზიცია უკავია 141 ქვეყნიდან მუშახელის კვალიფიკაციის კუთხით, რაც საგანგაშო მაჩვენებელია. ფაქტობრივად, განათლების მიმართულებით ბოლო 10 წლის განმავლობაში გაუმჯობესება არ შეინიშნება. მეტიც, PISA-ს რეიტინგის მიხედვით, რომელიც განათლების სისტემის ხარისხს ამოწმებს, საქართველო მათემატიკური უნარჩვევების ნაწილში 79 ქვეყნიდან 67-ე ადგილს იკავებს, მეცნიერების ნაწილში 74-ე ადგილს, ხოლო წაკითხულის გააზრების ნაწილში 71-ე ადგილს. სტრატეგია 2020-ით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლები სამუშაო ძალის განვითარების მიმართულებით ზედაპირულია და ნაკლებად გამოდგება განათლების ხარისხის შეფასებისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მიზნობრივი მაჩვენებლებიც არ არის მიღწეული - 2020 წლისათვის მიღება სკოლამდელი განათლების სფეროში უნდა ყოფილიყო 80%-ის, ხოლო მიღება პროფესიული განათლების კურსებზე 10%-ის

³¹ https://www.doingbusiness.org/en/data/exploreconomies/georgia#DB_ge

³² <https://www.investingeorgia.org/en/keysectors/energy>

³³ <http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/#economy=GEO>

- ტოლი. 2018 წლის UNICEF-ის ანგარიშის მიხედვით, მიღება სკოლამდელი განათლების სფეროში არის 69%, ხოლო პროფესიული განათლების კურსებზე მყოფი სტუდენტების წილი მთლიანი სტუდენტების რაოდენობის მხოლოდ 7%-ს შეადგენს.³⁴
2. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით სტრატეგია 2020-ის მიერ გაწერილი მიზნობრივი მაჩვენებლები ვერ იქნა მიღწეული. UNICEF-ის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით³⁵, უღარიბესი დეცილის გადაფარვის მაჩვენებელი მიზნობრივი სოციალური დახმარებით არის 52.3% (სტრატეგიის მიზანი 80%), მოსახლეობის წილი მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ არის 24.8% (სტრატეგიის მიზანი 18%), ხოლო 40%-ზე ქვემოთ - 8.4% (სტრატეგიის მიზანი 5%). ამავე ანგარიშის მიხედვით, უკიდურესი სიღარიბეში მოსახლეობის 5% ცხოვრობს, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ კი მოსახლეობის 21.7% (სტრატეგიის მიზანი 6%). საყურადღებოა, რომ ეს მაჩვენებლები წინა წლებთან მიმართებაში არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა. რაც შეეხება ჯინის კოეფიციენტს შემოსავლების მიხედვით, ის 2018 წლის მონაცემებით 0.42-ის ტოლი იყო, რაც მიზნობრივ 0.35-ს მკვეთრად ჩამორჩება.
 3. ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის კომპონენტშიც ვერ იქნა მიღწეული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ 2004-2018 წლებში ჯანდაცვაზე სახელმწიფოს ხარჯები 75%-ით გაიზარდა, მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილი დანახარჯები არ შემცირებულა - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2017 წლის მონაცემების მიხედვით³⁶, საქართველოში მთლიან დანახარჯებში კერძო დანახარჯების წილი 55%-ს შეადგენდა, რაც მკვეთრად ჩამორჩება მიზნობრივ 30%-ს. პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოს განუვითარებელი ქვეყნების გვერდითაა, მაშინ როდესაც ჯანდაცვაზე ხარჯები ყოველწლიურად იზრდებოდა და 2018 წლის ბოლოს მილიარდ ლარს გადააჭარბა. რაც შეეხება სიცოცხლის ხანგრძლივობას, 2000 წლის შემდეგ მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდებოდა და 2018 წლის ბოლოს 73.6 წელს მიაღწია

³⁴ <https://databank.worldbank.org/reports.aspx?source=1159&series=UIS.GTVP.3.V>

³⁵ <https://www.unicef.org/georgia/media/1051/file/WMS.pdf>

³⁶ <https://apps.who.int/gho/data/node.main.GHEDOOPSCHESHA2011?lang=en>

(სტრატეგიის მიზანი 76 წელი). სხვა მიზნობრივი მაჩვენებლებიც, როგორებიცაა 0-5 ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე, ვერ იქნა მიღწეული - მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემების მიხედვით, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 25 (სტრატეგიის მიზანი 8), ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 10 იყო.³⁷

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

1. საინვესტიციო რესურსების მობილიზების კუთხით ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება მცირედი გაუმჯობესება - 2014 წლის შემდეგ დანაზოგების წილი მშპ-სთან მიმართებაში იზრდებოდა და 2018 წლის ბოლოს მშპ-ს 17.4%-ს მიაღწია³⁸. მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება სტრატეგიაში ნახსენებ მიზნობრივ 25-28%-იან მაჩვენებელს, რაშიც დიდი წვლილი ყოველწლიურად დეფიციტურ ბიუჯეტსაც მიუძღვის. მეტიც, ადგილობრივი დანაზოგების წილის მიხედვით მშპ-ს თან მიმართებაში, საქართველო ჩამორჩება არამხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანებს, არამედ სამეზობლოს რამდენიმე ქვეყანასაც (Benidze, 2018). ცხადია, როდესაც ქვეყანა ადგილობრივად ვერ ახერხებს საკმარისი დანაზოგების აკუმულირებას ინვესტიციების განსახორციელებლად, წარმოქმნილი სიცარიელის შესავსებად სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს უცხოეთიდან შემოდინებული საინვესტიციო ნაკადები. როგორც უკვე აღინიშნა, ტენდენცია ამ მიმართულებითაც არ არის დადებითი. რაც შეეხება საბანკო დეპოზიტების წილს მშპ-სთან მიმართებაში, 2017 წლის ბოლოს, მაჩვენებელი დაახლოებით 39%-ის ტოლი იყო³⁹, რაც თითქმის უტოლდება მიზნობრივ 40%-იან მაჩვენებელს.
2. ფინანსებზე შუამავლობის თვალსაზრისით, მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში მეტნაკლებად გაუმჯობესებულია. აზიის განვითარების ბანკის (ADB)

³⁷ <https://data.worldbank.org/indicator/SH.DYN.MORT?locations=GE>

³⁸ <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDS.TOTL.ZS?locations=GE>

³⁹ <https://databank.worldbank.org/reports.aspx?source=1250&series=GFDD.OI.02>

2018 წლის ანგარიშის⁴⁰ მიხედვით გაზრდილია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მიმართულებებით, განსაკუთრებით გაზრდილია ხელმისაწვდომობა სესხებზე ფიზიკური პირების მხრიდან. ამაზე, ისიც მოწმობს, რომ საქართველოში, კერძო კრედიტის წილი მშპ-სთან მიმართებაში 62%-ს შეადგენს⁴¹, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში. თუმცა, ამავე ანგარიშის მიხედვით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავაც რჩება მთავარ პრობლემად ბიზნესებისთვის, რომელთა განვითარებაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის. ამაზე მოწმობს 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშიც, რომელშიც ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მეორე ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორადაა დასახელებული ბიზნესის კეთებისთვის.

ანალიზის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სტრატეგია 2020-ის მიზნები ვერ იქნა მიღწეული, არამხოლოდ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების, არამედ ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისითაც. როგორც ანალიზიდან იკვეთება, ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და ინდუსტრიალიზაციის კუთხითაც სტრატეგია წარუმატებელი აღმოჩნდა (იხ. თავი 2.1). აღსანიშნავია, რომ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევა შექმნიდა წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო ბაზას, ე.წ. industrial layer-ს (იხ. გვ. 41), თუმცა სტრატეგიაში მაინც არაფერია ნახსენები ინდუსტრიალიზაციისა და ინდუსტრიული პოლიტიკის შესახებ და ვხვდებით მხოლოდ ამგვარი პოლიტიკის ელემენტებს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია 2020-ში მკაფიოდაა გამოვლენილი დამამუშავებელი განვითარების კრიტიკული აუცილებლობა, მთავრობის ახალ 2016-2020 წლის პროგრამაში⁴² „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის თითქმის არანაირი ღონისძიება არ არის დაგეგმილი.

⁴⁰ <https://www.adb.org/sites/default/files/publication/428771/adbi-wp849.pdf>

⁴¹ <https://data.worldbank.org/indicator/FS.AST.PRVT.GD.ZS?locations=GE>

⁴² <https://bit.ly/353soby>

მთავრობის ახალი პროგრამა, რომელიც 4-პუნქტიანი გეგმის სახელითაცაა ცნობილი, 4 ძირითადი პუნქტისაგან შედგება:

1. დემოკრატიული განვითარება
2. ეკონომიკური განვითარება
3. სოციალური განვითარება
4. საგარეო ურთიერთობები, უსაფრთხოება და თავდაცვა

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე მეტად მიზანშეწონილია განვიხილოთ სტრატეგიის მეორე პუნქტი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეეხება. მეორე პუნქტი, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორებიცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, დასაქმების ხელშეწყობა, ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, კაპიტალის ბაზრის რეფორმა, საპენსიო რეფორმა, მიწის რეფორმა, საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარება, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, ინფრასტრუქტურული განვითარება და მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა. რაც შეეხება დარგობრივ მიმართულებებს, პრიორიტეტებად გამოყოფილია ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ტურიზმის, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგები. როგორც უკვე აღინიშნა, 4-პუნქტიან გეგმაში არაფერია ნახსენები ცალკე დამამუშავებელი მრეწველობის დარგზე და ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ზოგადად მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე, რომელიც, ბუნებრივად, ეკონომიკის სხვა დარგებსაც მოიცავს. ასევე, არსად იკითხება მსხვილი მეწარმეობის განვითარების შესახებ, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გააჩნია კონკრეტული და გრძელვადიანი ინდუსტრიული პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ინსტიტუტების საქმიანობა შეიცავს ინდუსტრიული პოლიტიკის ელემენტებს. ამ მიმართულებით, სტრატეგია 2020-ისა და 4 პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, 2012 წლის შემდეგ შეიქმნა სხვადასხვა ინსტიტუტები, რომელთაც კოორდინირებას ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტრო უწევს. კერძოდ, მნიშვნელოვანია ყურადღება

გავამახვილოთ პროგრამაზე „აწარმოე საქართველოში“, სს „საპარტნიორო ფონდსა“ და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოზე“.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“⁴³ 2014 წელს შეიქმნა და მას კოორდინაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო უწევს. პროგრამის მიზანი, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებითა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობით, ქვეყანაში სამეწარმეო კულტურის განვითარებაა. პროგრამა 3 მთავარი მიმართულებით მუშაობს, კერძოდ: ბიზნესის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის და ექსპორტის მხარდაჭერის მიმართულებით.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ძირითად სამიზნე ინდუსტრიებს წარმოება, სასტუმრო ინდუსტრია და კინო ინდუსტრია წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კინო ინდუსტრიის დახმარების კომპონენტი, თვისებრივად განსხვავდება სასტუმრო და წარმოების სექტორის დახმარების კომპონენტებისაგან. ასევე, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია გავამახვილოთ ყურადღება წარმოების განვითარების მიმართულებაზე (პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტი). წარმოების ხელის შეწყობის მიმართულებით, პროგრამა მეწარმეებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს, თუმცა დახმარება 3 ძირითად კომპონენტს მოიცავს:

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა - პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ პირველი 24 თვის განმავლობაში საბანკო კრედიტის 7% საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებით. სესხის მინიმალური მოცულობა 150,000 ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 5,000,000 ლარს უნდა შეადგენდეს. ბენეფიციარებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ლიზინგითა და ტექნიკური მხარდაჭერით. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებს შეუძლიათ ისარგებლონ პირველი 24 თვის განმავლობაში ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის 9%-ანი თანადაფინანსებით, იმ შემთხვევაში თუ სალიზინგო საგნის ღირებულება არ არის 100,000 ლარზე ნაკლები და 5,000,000 ლარზე მეტი. რაც შეეხება

⁴³ <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>

ტექნიკური დახმარების კომპონენტს, პროგრამა ახდენს საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების 80%-ის თანადაფინანსებას, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა.

2. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა - იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი ინვესტიციას ახორციელებს ახალ საწარმოში ან აფართოებს არსებულ საწარმოს, მას შეუძლია პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მიიღოს მხოლოდ 1 ლარად. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის საინვესტიციო ღირებულება 6-ჯერ აღემატება უძრავი ქონების ღირებულებას თბილისში, ხოლო მინიმუმ 4-ჯერ აღემატება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას რეგიონებში.
3. ტექნიკური დახმარება - ეს კომპონენტი გულისხმობს სხვადასხვა სახის ტექნიკურ დახმარებას წინა 2 კომპონენტის წარმატებით განხორციელებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული მხარდაჭერის მიღება არ შეუძლია ყველა მეწარმეს. პროგრამის პირობების თანახმად, თუ მეწარმე სუბიექტის (ან მისი პარტნიორი იურიდიული პირის) 12 კალენდარული თვის დღგ-ს ჯამური ბრუნვა აღემატება 2,000,000 ლარს ან მეწარმე სუბიექტის (ან მისი პარტნიორი ფიზიკური პირის) წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის შემოსავალი აღემატება 300,000 ლარს, მაშინ ასეთი მეწარმეები ვერ შეძლებენ პროგრამაში მონაწილეობას. ასევე, იმისათვის, რომ მეწარმეებმა ისარგებლონ პროგრამის მხარდაჭერით, საბოლოო პროდუქტი უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის მიერ მოცემული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პრიორიტეტთა ნუსხაში (იხ. დანართი №1). ნუსხა ძირითადად მოიცავს სამშენებლო მასალებს, ფარმაცევტულ ნაწარმს, ტანსაცმელს, ტექსტილს, ავეჯს, პლასტმასს, ლითონებს, საკვებს და სასმელებს, სხვადასხვა დასახელების ელექტრო ტექნიკას და სხვა.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით⁴⁴, 2014-2019 წლებში პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში, განხორციელდა 359 პროექტი, რომელთაგანაც დაახლოებით 50% სტარტაპი იყო, ხოლო დანარჩენმა 50%-მა დაფინანსება წარმოების გაფართოებისათვის გამოიყენა. პროგრამის ფარგლებში, 2014-2019 წლებში, ბენეფიციარებმა მიიღეს 495 მილიონი ლარის დაფინანსება კომერციული

⁴⁴ <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf>

ბანკებისაგან, პროგრამიდან მიღებულმა სუბსიდიებმა ჯამში 58.7 მილიონი ლარი შეადგინა, ჯამურად განხორციელდა 783 მილიონი ლარის ინვესტიცია და ქვეყანაში დამატებით 13,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ, რამდენიმე საწარმო დაიხურა, ზოგმა კი თანამშრომლების რაოდენობა შეამცირა, შესაბამისად, წმინდა ზრდა არის ბევრად ნაკლები ვიდრე ოფიციალური რიცხვები. სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია საკვებისა და სასმელის (25%), სამშენებლო მასალების (23%), და ქაღალდის (12%) სექტორებზე მოდის.

ცხრილი №18: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგები

სექტორი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის მოცულობა (მლნ ლარი)	სესხის მოცულობა (მლნ ლარი)	დასაქმება
ავეჯის წარმოება	7	5.5	2.8	193
ელექტროტექნიკა	2	5.4	1.0	50
კარ-ფანჯრის წარმოება	7	10.4	8.0	178
ლითონები	30	85.2	63.3	1166
მინის წარმოება	9	9.8	7.3	172
პლასტმასი	33	62.4	46.1	563
საკვები და სასმელი	58	199.9	93.7	2663
სამშენებლო მასალები	91	181.3	116.4	2056
სხვა წარმოება	14	30.4	11.1	235
ტანსაცმელი და ტექსტილი	13	33.3	28.0	3027
ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება	20	49.2	33.8	756
ქაღალდი და შეფუთვა	59	92.9	72.0	1371
ხის გადამამუშავება	16	17.5	12.1	596
სულ	359	783.2	495.5	13026

წყარო: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, 2019 წლის ანგარიში

რეგიონალურ კრილში, ინვესტიციების თითქმის 60% თბილისშია თავმოყრილი, მეორე ადგილზეა მცხეთა-მთიანეთი (12%), ხოლო მესამეზე ქვემო ქართლი (9%) (იხ. ცხრილი №19).

ცხრილი №19: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგები რეგიონალურ ჭრილში

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის მოცულობა (მლნ ლარი)	სესხის მოცულობა (მლნ ლარი)	დასაქმება
აჭარა	16	29.7	18.30	349
გურია	6	13.70	10.41	283
თბილისი	222	465.01	300.74	7084
იმერეთი	22	34.94	25.10	1070
კახეთი	5	4.28	3.67	101
მცხეთა-მთიანეთი	22	100.90	40.60	781
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	1.96	1.30	62
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15	34.45	26.19	2035
სამცხე-ჯავახეთი	5	4.83	3.57	99
ქვემო ქართლი	36	72.23	53.06	1045
შიდა ქართლი	8	21.19	12.51	117
სულ	359	783.2	495.5	13026

წყარო: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, 2019 წლის ანგარიში

ჯამურად, პროგრამა შესაძლებელია დადებითად შეფასდეს, რადგან საკონსულტაციო კომპანია „ბიდიოს“ 2018 წლის ანგარიშის⁴⁵ მიხედვით, ბენეფიციარების მიერ ბიუჯეტში გადახდილმა ჯამურმა გადასახადებმა დაახლოებით 3-ჯერ გადააჭარბა პროგრამის ფარგლებში გაცემული ჯამური სუბსიდიების მოცულობას. ასევე, გაიზარდა დასაქმება და შეიქმნა დამატებული ღირებულება ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში ბევრია წარმატების ისტორია, აუცილებელია პროგრამის ჯამური ეფექტის შეფასება ეკონომიკაზე. როგორც თავი 2.1-ში ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, ქვეყანა სტრუქტურული ტრანსფორმაციის და ინდუსტრიული განვითარების კუთხით ჩამორჩება არამხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, არამედ დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების უმეტესობასაც - დასაქმებულთა უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დარგშია (42.7%), ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა 5.9%-ია დასაქმებული,

⁴⁵ <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf>

რომელიც მშპ-ს მხოლოდ 10.2%-ს ქმნის. ასევე, ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლაც არ შეინიშნება. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამას „აწარმოე საქართველო“ ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ინდუსტრიალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან რიგი პრობლემების გამო, ამ ტიპის პროგრამებმა, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო გამოცდილება და სამეცნიერო ლიტერატურა ცხადყოფს, რომ წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა განხორციელების სხვადასხვა ინსტრუმენტებს უნდა იყენებდეს და არა მხოლოდ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტს. ასევე, პოლიტიკის სამიზნე სექტორებს უნდა გააჩნდეთ სხვადასხვა მახასიათებლები, მათ შორის დიდი დამატებული ღირებულების შექმნის პოტენციალი, საექსპორტო პოტენციალი, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაღვრის პოტენციალი. ასევე, ინდუსტრიული პოლიტიკის საშუალებით ქვეყანამ უნდა შეძლოს ეკონომიკის დივერსიფიცირება და თვისებრივად ახალი სექტორების აღმოჩენა. ამ კრიტერიუმების მიხედვით, აშკარად იკვეთება პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ნაკლოვანებები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი მიზანი ახალი ბიზნესების ხელშეწყობა, ეს მაინც არ გულისხმობს ეკონომიკისთვის თვისებრივად ახალი სექტორების აღმოჩენას და წახალისებას. ამაზე ისიც მოწმობს, რომ „ბიდიოს“ 2018 წლის პროგრამის შეფასების ანგარიშში, 2014-2018 წლებში ბენეფიციარების მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების მხოლოდ 11% იყო შექმნილი ახალი ბიზნესების მიერ, დანარჩენი 89% კი შექმნეს უკვე არსებულმა ბიზნესებმა, რომელთაც პროგრამის ფარგლებში გაფართოებისათვის მიიღეს დახმარება. მეტიც, გაურკვეველია თუ რომელი კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოაყალიბა სააგენტომ პრიორიტეტული დარგების ნუსხა, რომლის საფუძველზეც ის დახმარებას გასცემს - იყო ეს ამ დარგების საექსპორტო პოტენციალი, დამატებული ღირებულების შექმნის პოტენციალი, ტექნოლოგიური გადაღვრის ეფექტის პოტენციალი თუ სხვა.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პროგრამის მიერ პროექტების დაფინანსება მთლიანად დამოკიდებულია კომერციულ ბანკებზე - ბენეფიციარებს უწევთ ჯერ კომერციული სესხის აღება და შემდგომ ამის საფუძველზე „წარმოე საქართველოდან“ თანადაფინანსების მიღება. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკები სესხებს პროექტის რისკიანობისა და მომგებიანობის საფუძველზე გასცემენ და არა იმის საფუძველზე, თუ რა გავლენა ექნება პროექტს მთლიანად ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, მის ტექნოლოგიური განვითარებისა ან სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე.

მესამე პრობლემას წარმოადგენს პროექტის ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის კომპონენტი. ნათელია, რომ ადგილობრივი ბაზრის პატარა ზომიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი იქნება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ისეთი დარგებისა და ბიზნესების ხელშეწყობით, რომლებიც მხოლოდ იმპორტს ანაცვლებენ. შესაბამისად, ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელთაც დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ კრიტიკული მნიშვნელობისაა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ცალკეული წარმატების ისტორიები უცხოურ ბაზრებზე გასვლის კუთხით, „ბიდოს“ შეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ძირითადად ანაცვლებენ იმპორტს და მათი საექსპორტო პოტენციალი დაბალია. მეტიც, ბოლო წლების განმავლობაში ჯამურად ქვეყნის ექსპორტის ზრდის ტენდენცია მოკრძალებულია, უფრო ღრმავდება სავაჭრო დეფიციტი და იზრდება დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე. ასევე, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მოზიდვას შეუძლია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვნად დაჩქარება, რადგან საექსპორტოდ მიმზიდველი, მაღალტექნოლოგიური და ცოდნატევადი საქონლის წარმოება, ხშირ შემთხვევაში, სწორედ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოითხოვს. ამ მიმართულებით, პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ინვესტიცია არ განხორციელებულა, ხოლო მთლიანად ეკონომიკის ჭრილში თუ შევხედავთ, ინვესტიციების მოცულობა დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მცირეა და კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

მეოთხე კრიტიკულად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან პროგრამისათვის გამოყოფილი თანხების რაოდენობა. ერთის მხრივ სასურველია, რომ ზემოთხსენებული პრობლემების გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სამომავლო საქმიანობაში, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების გაზრდის გარეშე, პროგრამის ეფექტი მთლიანად ეკონომიკაზე იქნება მაინც უმნიშვნელო. 2018 წლის ბიუჯეტში, მეწარმეობის განვითარებისთვის გამოყოფილი იყო მხოლოდ 39 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც, მაგალითად, სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად, 2012-2018 წლებში, 2 მილიარდ ლარამდე უშედეგოდ დაიხარჯა.

სს „საპარტნიორო ფონდი“

ინდუსტრიული განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი სს „საპარტნიორო ფონდი“ წარმოადგენს, რომელიც 2011 წელს დაარსდა. ფონდის მთავარი მიზანი საქართველოში ინვესტიციების წახალისებაა, რაც ფონდის საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობაში გამოიხატება. ფონდის საქმიანობა ხორციელდება 2 ძირითადი მიმართულებით. პირველი მიმართულება აქტივების მართვას ემსახურება და ფონდის მართვაშია ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიები, როგორებიცაა „საქართველოს რკინიგზა“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ და სს „თელასი“. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს რკინიგზისა“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული შემოსავლებია ფონდის მეორე მიმართულების - საინვესტიციო საქმიანობის - დაფინანსების მთავარი წყარო. საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებით ფონდი აფინანსებს მხოლოდ მომგებიან პროექტებს (თანამონაწილეობა მაქსიმუმ კაპიტალის 50%-ის ოდენობით), რომლებიც გამოირჩევიან განვითარების დიდი პოტენციალით. ფონდის წესების თანახმად, საინვესტიციო პროექტების ინიცირება შესაძლებელია მოხდეს როგორც ინვესტორის ინტერესის საფუძველზე, ასევე ფონდის მიერ, წინასწარ შერჩეული პროექტებისათვის ინვესტორის მოძიების გზით. დაფინანსებასთან ერთად,

ფონდი პროექტის მმართველ გუნდს ასევე ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში და უზიარებს პარტნიორებს მათ მიერ დაგროვილ ექსპერტულ ცოდნას.

ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ დაარსებიდან დღემდე, ფონდმა განახორციელა და დაასრულა 14 პროექტები ენერგეტიკის, უძრავი ქონების, წარმოების, სოფლის მეურნეობისა და ლოგისტიკის სექტორებში, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 487.8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ასევე, ფონდის პორტფელშია მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტები, რომელთა ჯამური საინვესტიციო ღირებულება 5 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. სექტორების მიხედვით დასრულებული და მიმდინარე პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულებები მოცემულია ცხრილში №20.

ცხრილი №20: სს „საპარტნიორო ფონდის“ მიმდინარე და დასრულებული პროექტები სექტორების მიხედვით, საქართველო, 2011-2019 წწ.

სექტორი	დასრულებული პროექტების რაოდენობა	დასრულებული პროექტების ჯამური ინვესტიცია	მიმდინარე პროექტების სავარაუდო ინვესტიცია
ენერგეტიკა	1	233 მლნ.	1.3 მლრდ.
უძრავი ქონება, ტურიზმი	7	119 მლნ.	1.08 მლრდ.
წარმოება	2	99 მლნ.	20.8 მლნ
სოფლის მეურნეობა	3	21.8 მლნ.	500.2 მლნ.
ლოგისტიკა	1	15 მლნ.	2.5 მლრდ.
სულ	14	487.8 მლნ.	5.4 მლრდ.

წყარო: ავტორის მიერ, საპარტნიორო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით

რამდენადაც მისასალმებელია თითოეული ინვესტიცია ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია მათი როლის შეფასება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული წარმატების ისტორიები (მაგალითად ფონდის დაფინანსებით

ამიერკავკასიაში პირველი სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხნის გახსნა), ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით ფონდის საქმიანობას მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონია რიგი ნაკლოვანებების გამო.

დასრულებული პროექტების განაწილებას თუ დავაკვირდებით, ინვესტიციების 47%-ზე მეტი ენერჯეტიკის სფეროში, 24.3% უძრავი ქონების სექტორში, 20% წარმოებაში, 4.5% სოფლის მეურნეობაში, ხოლო 3% კი ლოგისტიკის განვითარების მიმართულებით განხორციელდა. ნათელია, რომ ფონდის ძირითად პრიორიტეტს ენერჯეტიკის სფერო და უძრავი ქონება წარმოადგენს, ვიდრე წარმოების განვითარება. მიმდინარე პროექტებშიც დამამუშავებელი მრეწველობა ყველაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი. ასევე, აღსანიშნავია, რომ წარმოების მიმართულებით გაიხსნა მხოლოდ 2 ქარხანა და ფონდის 8 წლიანი საქმიანობის შედეგად ამ სექტორში განხორციელდა მხოლოდ 99 მილიონი ლარის ინვესტიცია, რაც, ბუნებრივია, სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით ვერ იქონიებდა მნიშვნელოვან ეფექტს.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას, ისევე როგორც პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ შემთხვევაში, წარმოადგენს პროექტების დაფინანსების მექანიზმი. ფონდი აფინანსებს მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტებს, რაც თავისთავად ფინანსურად გამართლებულია ფონდის გადმოსახედიდან, თუმცა ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ფონდის საქმიანობას ვერ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მთლიანად ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, მის ტექნოლოგიური განვითარებისა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. შეუძლებელია ყველა პროექტი იყოს მომგებიანი, მაგრამ თუ შეცდომები დაშვებული არ იქნება, ეს იმას მიანიშნებს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა არასაკმარის ინტენსიურია.

„საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო“

წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს განათლების, ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების სტიმულირება წარმოადგენს. შესაბამისად, ინდუსტრიული პოლიტიკის განმახორციელებელ ერთ-ერთ ინსტიტუტად შესაძლებელია „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოც“

ჩაითვალოს. სააგენტო 2014 წელს შეიქმნა და ის რამდენიმე მიზანს ემსახურება. მათ შორისაა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ეკონომიკის ყველა დარგში ინოვაციების და ტექნოლოგიების სტიმულირება და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა. სააგენტოს საქმიანობა მოიცავს 3 ფართო მიმართულებას: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება და ინოვაციების ხელის შემწყობი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

დაფინანსების მიმართულებით სააგენტო მიერ გაიცემა 5,000, 100,000 და 650,000 ლარიანი გრანტები ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების ხელშესაწყობად. ასევე, 2016 წელს ინოვაციური იდეების დაფინანსებისათვის შეიქმნა პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“, რომელიც მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეის მქონე მეწარმეებს 100,000 ლარამდე თანადაფინანსებას სთავაზობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა დასაწყისში „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს“ მიერ შეიქმნა, თუმცა დღესდღეობით მას სს „საპარტნიორო ფონდი“ ახორციელებს. სააგენტომ დაარსებიდან დღემდე დააფინანსა 428 პროექტი, რომლებშიც სააგენტომ ჯამურად 11,2 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელა (იხ. ცხრილი №21).

ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სააგენტოს ინიციატივით შეიქმნა ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები, რომლებიც წარმოადგენენ სივრცეებს, სადაც აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები, რომელთა გამოყენებაც ყველა მსურველს შეუძლია საკუთარი ინოვაციური იდეების და ბიზნესის განვითარებისათვის. დღესდღეობით, საქართველოს მასშტაბით, ფუნქციონირებს 3 ტექნოპარკი - თბილისში, ზუგდიდსა და თელავში - და 2 ინოვაციების ცენტრი რუხსა და ახმეტაში. 2014 წლის ბოლოს, სააგენტოს მხარდაჭერით შეიქმნა ინოვაციური ლაბორატორიები (ე.წ. ILAB), და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (ე.წ. FabLab), რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტების ბაზაზე და ხელს უწყობენ სტუდენტებში როგორც ციფრული უნარების განვითარებას, ასევე მათ მიერ ინოვაციური სამრეწველო პროდუქტის შექმნას და გამოცდას.

ცხრილი №21: „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს“ საქმიანობის შეჯამება, 2014-2019 წწ.

დაფინანსების მექანიზმი	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	დაფინანსების მთლიანი მოცულობა (ლარი)	კერძო სექტორის თანამონაწილეობა (ლარი)
5,000 ლარიანი გრანტები	365	1,289,000	1,552,221
100,000 ლარიანი გრანტები	56	5,502,911	10,988,535
650,000 ლარიანი გრანტები	7	4,393,000	4,393,000
სულ	428	11,184,911	16,903,756

წყარო: ავტორის მიერ, საპარტნიორო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით

ასევე, სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიონალების გადამზადების პროგრამა, სტარტაპ ბანაკები და საინფორმაციო და საგანმანათლებლო სახის შეხვედრები.

სააგენტოს საქმიანობა ჯამურად დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან, როგორც აღინიშნა, საქართველო გლობალური ინოვაციების 2019 წლის ინდექსში 48-ე პოზიციას იკავებს, მაშინ როდესაც 2018 წელს 59-ე, ხოლო 2017 წელს 68-ე ადგილს იკავებდა. რეიტინგში დაწინაურება კი ნაწილობრივ სააგენტოს საქმიანობასაც უნდა დავუკავშიროთ. თუმცა აქაც საყურადღებოა სააგენტოს საქმიანობის შეფასება მთლიანად ეკონომიკისა და ინდუსტრიალიზაციის გადმოსახედიდან.

სააგენტოს მხრიდან ცალკეული პროექტების ხელის შეწყობა თავის მხრივ მისასაღმებელია, თუმცა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონე კვლავ დაბალი დარჩება იმ შემთხვევაში, თუ პრობლემის ძირეული მიზეზები არ იქნა იდენტიფიცირებული. ამ შემთხვევაში, ინდუსტრიული ჩამორჩენილობის მიზეზი არა ის არის, რომ კონკრეტულ კომპანიებს ფინანსებზე ხელი არ მიუწვდებათ (თუმცა, ესეც მნიშვნელოვანია), არამედ ის რომ ქვეყანაში დაბალია განათლების დონე, სავალალო

მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი და არ არსებობს კავშირი მეცნიერებს, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის. როგორც უკვე აღინიშნა, ამაზე სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებიც მოწმობენ - გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშისა და PISA-ს რეიტინგების მიხედვით ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაა განათლებისა და კვალიფიციური მუშახელის თვალსაზრისით. მეტიც, გლობალური ინოვაციების 2019 წლის ინდექსში, მიუხედავად დაწინაურებისა, საქართველოს ჯერ კიდევ დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, რაც გრძელვადიანი განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენენ. კერძოდ, 129 შეფასებული ქვეყნიდან, განათლებაში ხარჯვის მიხედვით (%მშპ) ქვეყანა 85-ე პოზიციას იკავებს, კვლევაზე და განვითარებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით (%მშპ) 79-ე ადგილს, მუშახელის კვალიფიკაციის მიხედვით 81 ადგილს, უნივერსიტეტებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ინტენსიურობის მიხედვით 98-ე ადგილს, საშუალო და მაღალი ტექნოლოგიური წარმოების მოცულობის მიხედვით 91-ე ადგილს, ხოლო მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის მოცულობის მიხედვით 90-ე ადგილს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2012-2019 წლებში, „ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების“ სააგენტოს დაფინანსება სახელმწიფოსგან საშუალოდ წლიურად 6.5 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც ბუნებრივია ვერ იქნება ქვეყნის ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი.

საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის ანალიზმა დაგვანახა, რომ ქვეყანას ფაქტობრივად არ გააჩნია ინდუსტრიული პოლიტიკა, ყოველ შემთხვევაში ისეთი პოლიტიკა, რომელიც დოკუმენტის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. 2014 წელს დამტკიცებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ ამ მიმართულებით იმედის მომცემი იყო, რადგან სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა იყო. თუმცა, ანალიზიდან იკვეთება, რომ „სტრატეგია 2020-ის“ მიზნების უმეტესობა ჯერ კიდევ მიუღწეველია და ქვეყნის მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო

პოტენციალი კვლავ დაბალია. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან მთავრობის შედარებით ახალ 2016-2020 წლის პროგრამაში „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის თითქმის არანაირი ღონისძიება არ არის დაგეგმილი.

მიუხედავად, ერთიანი, გრძელვადიანი და დეტალური ინდუსტრიული პოლიტიკის არ არსებობისა (რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის), 2014 წლიდან ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში შეინიშნება ინდუსტრიული პოლიტიკის ელემენტები. კერძოდ, 2011 წელს შეიქმნა „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო 2014 წელს პროგრამა „აწარმოე საქართველო“ და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების სააგენტო“. თუმცა, ანალიზიდან იკვეთება, რომ მიუხედავად ცალკეული წარმატების ისტორიებისა, რიგი პრობლემების გამო, ზემოთხსენებული ორგანიზაციების საქმიანობას ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ინდუსტრიალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

თავი III - დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების რეალური შესაძლებლობები საქართველოში

3.1. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელის შეშლელი ფაქტორები

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. კერძოდ, 2003 წლის შემდეგ გატარებული მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების წყალობით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) 3-ჯერ მეტჯერ არის გაზრდილი 2003 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. შემცირებულმა კრიმინალისა და კორუფციის დონემ, გაუმჯობესებულმა განათლებისა და საჯარო სერვისების მიწოდების სისტემამ, აღდგენილმა ფინანსურმა წესრიგმა და გაზრდილმა საგადასახადო შემოსავლებმა, პოზიტიური ასახვა ჰპოვა სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა თუ საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პოზიციებზეც. მიუხედავად მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა თითქმის ყველა მიმართულებით, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციისათვის ქვეყანას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს გადასაჭრელი.

იმისათვის, რომ საქართველომ ინდუსტრიალიზაცია განიცადოს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მოზიდვა. არაერთი კვლევის თანახმად, სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით შეუძლია განვითარებად ქვეყანას წარმატებით გადმოიღოს და დიფუზია გაუკეთოს იმგვარ ტექნოლოგიებს, რომელზედაც ხელი მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს მიუწვდებათ (Harrison and Rodriguez, 2009; Korbin, 1979). ამ ტიპის ინდუსტრიალიზაციას (Lloyd, 1996) „ტრანსნაციონალური რესტრუქტურირება“ უწოდა (transnational-assisted restructuring). ტექნოლოგიური და მენეჯერული “know-how”-ს ტრანსფერის გარდა, მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ ქვეყანა ჩართონ გლობალური მიწოდების ჯაჭვებში, რაც არამხოლოდ რეციპიანტი კომპანიის, არამედ მთლიანად დარგის გამოცოცხლებას და განვითარებას იწვევს. საქართველოს

შემთხვევაში, ადგილობრივი ბაზრის სიმწირიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყანა ჩართული იყოს გლობალური მიწოდების ჯაჭვებში, რადგან ექსპორტის გარეშე ინდუსტრიალიზაცია ვერ მოხდება. ასევე, უცხოელ ინვესტორებს მეტად შესწევთ უნარი განახორციელონ მსხვილმასშტაბიანი პროექტები, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შეეძინათ გასაღების ბაზარი მსხვილი მულტინაციონალური კომპანიის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივმა კომპანიებმაც შეიძლება დაიწყონ მაღალტექნოლოგიური წარმოება (მაგ. მანქანები, სამედიცინო ტექნოლოგიები, ა.შ.), თუმცა ქვეყნის დღევანდელი განვითარების დონიდან და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მეტად მიზანშეწონილია ეს საწყის ეტაპზე უცხოელმა ინვესტორებმა განახორციელონ, ხოლო ადგილობრივმა საწარმოებმა დაბალტექნოლოგიური წარმოების მიმართულება განავითარონ (მაგ. ტექსტილი, კვების ინდუსტრია, ა.შ.)

როგორც წინა თავებში აღინიშნა (იხ. გვ. 5) , ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დამამუშავებელი მრეწველობის დარგში (ასევე მთლიანად ეკონომიკაში) ჯამურად უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. მეტიც, 2019 წლის მონაცემებით, მთლიანი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 8% მოდის დამამუშავებელი მრეწველობის დარგზე, რაც ამ დარგის სწრაფი გამოცოცხლებისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გარანტი ვერ გახდება. თავის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას დამამუშავებელი მრეწველობის დარგში სხვადასხვა ფაქტორები აფერხებენ. კერძოდ მნიშვნელოვანია ყურადღება შევაჩეროთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომლებსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვთ არამხოლოდ უცხოელი ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, არამედ ადგილობრივი წარმოების წახალისებისა და განვითარებისთვის.

ადამიანური კაპიტალი

მსოფლიო გამოცდილება და სამეცნიერო ლიტერატურა მოწმობს იმაზე, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის

ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე (Noorbakhsh et al. 2001; Zhang and Markusen, 1997). ადამიანურ კაპიტალში იგულისხმება, როგორც მშრომელთა ჯანმრთელობა, ისე მათი განათლების დონე და კვალიფიკაცია. ადამიანური კაპიტალი გასაკუთრებით საყურადღებოა ეფექტურობის მაძიებელი ინვესტორებისათვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია სამეწარმეო სექტორში ინვესტირება მათივე და მიმღები ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. მეორეს მხრივ, რესურსების მაძიებელი ინვესტორები ძირითადად ეძებენ ისეთ ქვეყნებს, სადაც უკიდურესად დაბალია ხელფასები და მათთვის ადამიანურ კაპიტალს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. დღეს საქართველოში, საშუალო თვიური ხელფასი დამამუშავებელი მრეწველობის დარგში 345 აშშ დოლარს შეადგენს, რაც მცირე ნამდვილად არ არის. სამეზობლოს თითქმის ყველა ქვეყანაში, თურქეთისა და რუსეთის გარდა, ხელფასები დამამუშავებელი მრეწველობის დარგში უფრო დაბალია ვიდრე საქართველოში (იხ. ცხრილი №22). ასევე, თუ ინვესტორის მთავარი მოტივაცია დაბალი ხელფასის ძიებაა, მაშინ მისთვის მეტად ხელსაყრელი აზიის ქვეყნებში, მაგალითად ვიეტნამში, ინდონეზიასა ან ეთიოპიაში ინვესტირება იქნება.

ცხრილი №22: საშუალო თვიური ხელფასი დამამუშავებელი მრეწველობის დარგში, შერჩეული ქვეყნები, 2017 წელი

ქვეყანა	საშუალო თვიური ხელფასი
საქართველო	345 \$
სომხეთი	220 \$
აზერბაიჯანი	321 \$
ბელარუსი	400 \$
უკრაინა	274 \$
მოლდოვა	241 \$
ვიეტნამი	240 \$
ინდონეზია	182 \$
ეთიოპია	60 \$

წყარო: ავტორის მიერ, ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და კონკურენტულად გამართლებული იქნება ისეთი ინვესტორის მოძიება, რომელსაც განათლებულ და კვალიფიციურ მუშახელზე აქვს მოთხოვნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და მუშახელის კვალიფიკაციის კუთხით ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა. 2017-2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში⁴⁶, ბიზნესის კეთების მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად არასაკმარისად განათლებული მუშახელია დასახელებული. როგორც უკვე აღინიშნა, PISA-ს რეიტინგის მიხედვით, რომელიც განათლების სისტემის ხარისხს ამოწმებს, საქართველო მათემატიკური უნარჩვევების ნაწილში 79 ქვეყნიდან 67-ე ადგილს იკავებს, მეცნიერების ნაწილში 74-ე ადგილს, ხოლო წაკითხულის გააზრების ნაწილში 71-ე ადგილს. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან სკოლები სტუდენტებს იმ დონის განათლებასაც კი ვერ აძლევენ, რომ საუნივერსიტეტო გამოცდები დამოუკიდებლად ჩააბარონ, შესაბამისად ჩამოყალიბდა რეპეტიტორების ინსტიტუტი. მეორეს მხრივ, უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები დამთავრების შემდეგ სამუშაოს ვერ პოულობენ, რადგან ხშირ შემთხვევაში, სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ასევე, განუვითარებელია პროფესიული განათლების სისტემა, რაც შესაძლებელს გახდიდა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორისთვის კვალიფიციური მუშახელის მომზადებას. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა უნივერსიტეტებში აბარებს, უმაღლესმა განათლებად დაკარგა ღირებულება, პროფესიულ განათლებამ კი მისი მნიშვნელობა. ყოველივეს გათვალისწინებით, იმისათვის რომ ქვეყანაში ამაღლდეს განათლებისა და მუშახელის კვალიფიკაციის დონე, საჭიროა განათლების სისტემის და ზოგადად განათლებისადმი მიდგომების ძირეული შეცვლა. აქვე აღსანიშნავია, რომ ძირეულ რეფორმებს დასჭირდება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები, რაც აუცილებელია, რომ სახელმწიფომ განათლების დასაფინანსებლად გამოყოს. თუმცა, ფინანსურ რესურსებთან ერთად მნიშვნელოვანია, ხარჯების ეფექტიანად გადანაწილებაც. 2017 წლის მსოფლიო ბანკის

⁴⁶ <http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/#economy=GEO>

მონაცემების მიხედვით⁴⁷, საქართველოს ხარჯები განათლებაზე მშპ-სთან მიმართებაში 3.85% იყო, რაც მკვეთრად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს, მაგრამ 2011 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 1%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ ხარჯების ზრდის მიუხედავად განათლების კუთხით გაუმჯობესება არ შეინიშნება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების პოლიტიკა თანხვედრაში უნდა იყოს ქვეყნის ინდუსტრიულ პოლიტიკასთან, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ტექნოლოგიური განვითარების დონე

განათლებასთან ერთად, უცხოელი ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების დონე. ერთის მხრივ ტექნოლოგიური განვითარება იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს ცოდნატევად და ტექნოტევად დარგებში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ მოზიდული ინვესტიციებიდან მიღებული ტექნოლოგიური “know-how”-ს დიფუზიას უწყობს ხელს ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივ საწარმოებში (Fu, 2007). ასევე, იმისათვის რომ განვითარებადი ქვეყნები დაეწიონ განვითარებულ ქვეყნებს, საჭიროა მათ წარმატებით მოახდინონ უკვე არსებული ტექნოლოგიების წარმატებით იმპორტი და იმიტაცია (ე.წ. „დამწვევი ზრდა“) (Chenery and Bruno, 1962; Bacha, 1984; MacKinnon, 1964). ამის საუკეთესო მაგალითებია იაპონია, სამხრეთ კორეა, ბრაზილია, თურქეთი და მექსიკა (Amsden, 1989). (Papava, 2018) მიხედვით, საქართველოში ინოვაციური სისტემა ფაქტობრივად ჩანასახის მდგომარეობაშია და არათუ ახალი ინოვაციების შექმნაზე, არამედ უკვე არსებული ტექნოლოგიების გადმოღება-გამოყენებაზეც შეუძლებელია საუბარი. ამაზე მოწმობს გლობალური ინოვაციების 2019 წლის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც საქართველო 129 ქვეყნიდან 71 ადგილს იკავებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ნაწილში, 81-ე ადგილს მუშახელის კვალიფიკაციის ნაწილში, 86 ადგილს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დიფუზიის ნაწილში, ხოლო 75 ადგილს კვლევისა და განვითარების ნაწილში. ეს ერთის მხრივ განათლების, კვლევისა და განვითარების მიმართულებით არასათანადო სახელწიფო

⁴⁷ <https://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GD.ZS?locations=GE-EU-GB-US>

პოლიტიკის, ხოლო მეორეს მხრივ ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციისა და დამამუშავებელი მრეწველობის განუვითარებლობის შედეგია, რომლის განვითარებაც ხშირად ტექნოლოგიური წინსვლის კატალიზატორია (Szimrai, 2011).

საქართველოში 90-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა სამეცნიერო ინსტიტუტების დაფინანსება, რაც 2003 წლის შემდეგაც შეინიშნებოდა. საყურადღებოა, რომ 2015 წლის შემდეგ კვლევაზე და განვითარებაზე გაწეული ხარჯები გაზრდილია, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი მაინც მკვეთრად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების და სამეზობლოს ზოგიერთი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს (იხ. ცხრილი №23). გარდა სახელმწიფო ხარჯებისა კვლევაზე და განვითარებაზე, მცირეა კერძო სფეროს დანახარჯი ამ მიმართულებით, რადგან ეკონომიკაში განუვითარებელი ისეთი დარგები, რომლებიც კვლევას და განვითარებას მოითხოვენ (ძირითადად მაღალტექნოლოგიური წარმოება). ყოველივე ზემოთხსენებულის შედეგად, ქვეყანაში მოშლილია კვლევითი ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ცოდნა კი მოძველებული. აღსანიშნავია, რომ კვლევისა და განვითარების მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა კარგადაა შეფასებული განათლების სამინისტროს მიერ შეფასებულ დოკუმენტში სახელწოდებით „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“⁴⁸. კერძოდ, დოკუმენტის თანახმად:

ცხრილი №23: ხარჯები კვლევაზე და განვითარებაზე მშპ-სთან მიმართებაში, 2018 წელი

ქვეყანა	ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში %
საქართველო	0.305 %
სომხეთი	0.189 %
აზერბაიჯანი	0.185 %
ბელარუსი	0.608 %
უკრაინა	0.471 %
მოლდოვა	0.225 %
თურქეთი	0.961 %

⁴⁸ <https://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>

რუსეთი	1.107 %
ლიეტუვა	0.885 %
ლატვია	0.510 %
ესტონეთი	1.289 %
ამერიკის შეერთებული შტატები	2.778 %
ევროკავშირი	2.127 %
დიდი ბრიტანეთი	1.664 %
ჩინეთი	2.145 %

წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

- სუსტია ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირების ხარისხი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში;
- სუსტია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის ხარისხი;
- დაბალია მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების შედინების მაჩვენებელი, რაც საფრთხეს უქმნის ცოდნის ეფექტურ გადაცემასა და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას;
- ქვეყანაში არ არსებობს მეცნიერების სფეროში შეთანხმებული პრიორიტეტები და განვითარების ერთიანი პოლიტიკა;
- მეცნიერების დაფინანსების არსებული მეთოდი ვერ ქმნის გრძელვადიანი კვლევითი პრიორიტეტების განხორციელებას, წარმატებით კლასტერების გაძლიერებისა და მუდმივი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობებს.

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, როგორც კვლევისა და განვითარების, ისე განათლების სისტემის ნაწილში, ქვეყნისთვის რთული იქნება ახალი ინდუსტრიული დარგებისა და უკვე არსებული დარგების მეტად განვითარება. ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის გარდა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩარევა მეცნიერების, განათლების, კვლევისა და განვითარების მიმართულებით არ იყოს ფრაგმენტული და უმიზნო და თანხვედრაში იყოს ქვეყნის გრძელვადიან ინდუსტრიულ პოლიტიკასთან, რომელიც დღესდღეობით სამწუხაროდ არ არსებობს.

ინფრასტრუქტურა

მსოფლიო გამოცდილება და სამეცნიერო ლიტერატურა მოწმობს იმაზე, რომ მჭიდრო კავშირია ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარების დონესა და მისი ინდუსტრიალიზაციის დონეს შორეს. იგივე კავშირი იკვეთება ინფრასტრუქტურასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას შორისაც (Nor'Aznin et al. 2012; Rehman et al. 2013; Prakash, 2018; Bjorvatn, 2002). ცხადია, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგი ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობაზე, შესაბამისად მისი განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში განვითარებული იყოს, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო ინფრასტრუქტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში მრეწველობის დარგში რთული იქნება, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ისე ადგილობრივი ინვესტიციების წახალისებაც. ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით კი საქართველოში ძალზედ არასახარბიელო მდგომარეობაა. 2018 წლის გლობალური ლოგისტიკის ანგარიშის თანახმად⁴⁹, რომელსაც მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად ადგენს, საქართველო 119 ადგილს იკავებს 160 ქვეყნიდან და ჩამორჩება არამხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ, არამედ აზიის განვითარებად და სამეზობლოს ქვეყნებსაც სავაჭრო ინფრასტრუქტურული განვითარების დონით (იხ. ცხრილი №24). 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვითაც, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილში საქართველო 141 ქვეყანას შორის 83-ე ადგილს იკავებს. საქართველოში ინფრასტრუქტურის მეტად განვითარება შესაძლებელს გახდის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირებას, გაამარტივებს ადილობრივი მეწარმეების მიერ პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გატანას, მოახდენს ქვეყნის მეტად ინტეგრაციაც მსოფლიო მიწოდების ჯაჭვებში, რაც თავის მხრივ შექმნის ხელსაყრელ გარემოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო თანხობრივად ცოტას არ ხარჯავს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. 2015-2019 წლებში, ინფრასტრუქტურული

⁴⁹ <https://lpi.worldbank.org/international/global?sort=asc&order=LPI%20Rank#datatable>

ცხრილი №24: სავაჭრო ინფრასტრუქტურის განვითარების რეიტინგი, შერჩეული ქვეყნები, 2018 წელი.

ქვეყანა	რეიტინგი 160 ქვეყანას შორის
საქართველო	119
სომხეთი	92
ბელარუსი	103
უკრაინა	66
მოლდოვა	116
თურქეთი	47
რუსეთი	75
ლიეტუვა	54
ლატვია	70
ესტონეთი	36
ამერიკის შეერთებული შტატები	9
საფრანგეთი	16
დიდი ბრიტანეთი	9
ჩინეთი	12
ვიეტნამი	39
მალაიზია	41
ინდონეზია	46

წყარო: ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით

პროექტების დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო ჯამურად 7 მილიარდი ლარი⁵⁰, რაც ჩვენი ზომის სახელმწიფოსთვის სოლიდურ თანხას წარმოადგენს. მეტიც, ინფრასტრუქტურა ჯანდაცვისა და თავდაცვის შემდეგ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსების კუთხით. თუმცა აღსანიშნავია, რომ აუცილებელია ხარჯვის მიზნობრიობის გაუმჯობესება და მნიშვნელოვანია მეტად დაფინანსდეს ისეთი პროექტები, რომლებიც დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას შეუწყობს ხელს, განსაკუთრებით კი საგზაო, საჰაერო და საპორტო ინფრასტრუქტურა. სწორედ ამ კუთხით აქვს ქვეყანას სერიოზული

⁵⁰ <https://budgetmonitor.ge/en/assimilate>

პრობლემები და ამაზე მსოფლიო ბანკის 2018 წლის ანგარიშიც⁵¹ მოწმობს. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ქვეყანაში საგზაო, საჰაერო და საპორტო ინფრასტრუქტურა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე უარესია, და რომ მათი განუვითარებლობა ხელს უშლის საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ სავაჭრო ქსელებში და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია წარმოების დარგის განუვითარებლობის. აქაც, როგორც განათლების, კვლევისა და განვითარების მიმართულებით, საჭიროა ინდუსტრიულ პოლიტიკაზე მორგებული მიზნობრივი ხარჯვა და არა ფრაგმენტული, არამიზნობრივი ჩარევები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს კერძო ხარჯვას ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სადაც შესაძლებელია. თუმცა, ანაკლიის პორტის ირგვლივ განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები ამ მიმართულებით იმედის მომცემი ნამდვილად არ არის.

კანონის უზენაესობა და სტაბილურობა

როგორ ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ბიზნესის გახორციელებისათვის, ქვეყანაში არსებული კანონის უზენაესობის დონე და ხარისხი წარმოადგენს (Alexander, 2014, Biglaiser and Staats, 1970; Wang et al. 2012). არანაკლები მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ სტაბილურობას და მშვიდობის განცდას (Haksoon, 2010; Kutan et al. 2003). განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას კანონის უზენაესობა და პოლიტიკური სტაბილურობა მაშინ იძენს, როდესაც საქმე ეხება დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ინვესტირებას, რადგან ამ ტიპის ინვესტიციები დიდ რესურსებს და გრძელვადიან დაგეგმარებას მოითხოვს. შესაბამისად, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყანაში ბიზნესის განხორციელება, სადაც მათი ქონება და მოგება დიდი ხნის განმავლობაში დაცული იქნება.

კანონის უზენაესობის თვალსაზრისით საქართველოსი არასახარბიელო მდგომარეობაა. 2020 წლის კანონის უზენაესობის ინდექსის მიხედვით, საქართველო 42-ე ადგილს იკავებს, რაც ცუდი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს,

⁵¹ <http://documents.worldbank.org/curated/en/496731525097717444/Georgia-Systematic-Country-Diagnostic-from-reformer-to-performer>

რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პოზიცია კანონის უზენაესობის კუთხით ყოველწლიურად უარესდება. ამაზე ხშირად მიუთითებს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია⁵² და დასავლეთის ქვეყნებიც, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები⁵³. „Heritage Foundation“-ის ეკონომიკური თავისუფლების 2020 წლის ინდექსშიც⁵⁴, მიუხედავად ჯამური 22-ე პოზიციისა, ქვეყანას ყველაზე ცუდი მაჩვენებლები სწორედ კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა (45-ე პოზიცია) და საკუთრების უფლების დაცვის ნაწილში (49-ე პოზიცია) აქვს. პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისითაც, ქვეყანაში ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო ნამდვილად არ არის უზრუნველყოფილი. საქართველო ხშირად ექცევა საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში პოლიტიკური სკანდალებისა და მასობრივი აქციების გამო, რაც უცხოელ ინვესტორებს ქვეყნის მიმართ უნდობლობას უვითარებს. ყოველივე ამას ემატება კონფლიქტური ურთიერთობები რუსეთთან და არასტაბილური ლარის გაცვლის კურსი. შესაბამისად, ინვესტორები საქართველოს მიიჩნევენ ისეთ ქვეყანად სადაც მათ ბიზნეს საქმიანობას შეიძლება საფრთხე შეექმნას, როგორც პირდაპირი გაგებით, ისე ფინანსური თვალსაზრისითაც.

ყოველივეს გათვალისწინებით, ქვეყნის იდუსტრიალიზაციისა და სამომავლო განვითარებისათვის კრიტიკული მნიშვნელობა ექნება კანონის უზენაესობის გაძლიერებას, საკუთრების უფლების დაცვას, მეზობელ ქვეყნებთან კონფლიქტური ურთიერთობების მოგვარებას, და მშვიდობიანი და სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნას. სხვა შემთხვევაში, ქვეყნისთვის რთული იქნება მოიზიდოს ინვესტიციები დამამუშავებელი მრეწველობის დარგში, განსაკუთრებით ისეთი ინვესტიციები, რომლებიც გრძელვადიანი, მსხვილმასშტაბიანი და ქვეყნისთვის დიდი სარგებლის მომტანი იქნება.

⁵² <https://eurasianet.org/georgia-backsliding-on-rule-of-law-is-damaging-investment-climate>

⁵³ <https://www.reuters.com/article/us-georgia-politics-usa/u-s-urges-georgia-to-reinforce-democracy-rule-of-law-idUSKBN1YS17D>

⁵⁴ <https://www.heritage.org/index/ranking>

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა კვლავაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად. ISET-ისა და ICC საქართველოს მიერ შედგენილი ბიზნესის განწყობის 2020 წლის ინდექსის⁵⁵ მიხედვით, ბიზნეს საქმიანობის შემზღვეველ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად, როგორც მსხვილი ისე საშუალო და მცირე კომპანიებისათვის, დასახელებულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, პროდუქციაზე მოთხოვნის ნაკლებობა და კვალიფიციური კადრების სიმწირე. 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშშიც, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ბიზნესის კეთებისთვის მეორე ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორადაა დასახელებული.

ყოველივე ეს გამოწვეულია, ერთის მხრივ იმით, რომ ჯერ კიდევ მაღალია კომერციული საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, როგორც ეროვნულ (15.7%) ისე უცხოურ ვალუტაში (6.9%),⁵⁶ ხოლო მეორეს მხრივ იმით, რომ ბანკები ხშირად არ აფინანსებენ ისეთ პროექტებს, რომელთაც შეიძლება მცირე რისკის შემცველი იყოს. ეს განსაკუთრებით პრობლემას უქმნის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რადგან ხშირად სწორედ რისკიანი, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის გადმოსახედიდან მაღალი პოტენციალის მქონე პროექტების დაფინანსებაა საჭირო. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებიც უმეტეს შემთხვევაში დაფინანსებას ბანკების გავლით ახორციელებენ, რაც შეღავათის მომცემი ნამდვილად არ არის. ასევე, ჯერ კიდევ განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი და კომპანიებს ფინანსების მოძიების ალტერნატიული გზები (ბანკების გარდა) არ გააჩნიათ. ამგვარი სიტუაცია ერთის მხრივ ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების განვითარებას და მეორეს მხრივ აფერხებს ინვესტიციების მოზიდვას დამამუშავებელი მრეწველობის დარგში - კვლევების თანახმად ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარების ხარისხი, რადგან მათი უმეტესობა საინვესტიციო პროექტებს ნაწილობრივ ადგილობრივი წყაროებითაც აფინანსებს (Donaubauer et al. 2016).

⁵⁵ <https://iset-pi.ge/index.php/en/business-confidence>

⁵⁶ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>

გრძელვადიანი ხედვა

დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად ერთიანი, გრძელვადიანი სახელმწიფო ხედვის არარსებობაც შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც წინა თავებში აღინიშნა, საქართველოს სამომავლო განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საინვესტიციო რესურსების დამამუშავებელი მრეწველობის დარგში კონცენტრირება, მუშახელის სოფლის მეურნეობიდან დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მიგრაცია და შემდგომ, თვითონ დამამუშავებელი მრეწველობის დარგში, ნაკლებად ცოდნატევადი დარგებიდან, მეტად ცოდნატევად და ინოვაციურ საქმიანობებზე გადასვლა. სწორედ ამ ტიპის განვითარების გზა გაიარა დღეისათვის ყველა განვითარებულმა ქვეყანამ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამგვარი ტრანზიციის, თითქმის ყოველთვის სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად იყო შესაძლებელი (Storm, 2017). აღმოსავლეთ აზიის ყველა სწრაფად მზარდმა ქვეყანამ, სწორედ გონივრული ინდუსტრიული პოლიტიკისა და მიზნობრივი სახელმწიფო ჩარევების შედეგად მოახერხა ინდუსტრიალიზაცია. იგივე შეიძლება ითქვას ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაზეც. მეტიც, დღესაც განვითარებული ქვეყნების უმეტესობას გააჩნია ინდუსტრიული პოლიტიკა, რათა მოწინავე პოზიციები დაიკავონ მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად შექმნილ ახალ სავაჭრო წესრიგში. მაგალითად, გერმანიამ 2011 წელს შეიმუშავა ახალი სამრეწველო სტრატეგია სახელწოდებით „Industrie 4.0“, საფრანგეთმა სახელწოდებით "Industrie du Futur", ჩინეთმა „Made in China 2025“, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „National Strategic Plan for Advanced Manufacturing“, სინგაპურმა კი "Smart Nation Programme", იტალიამ „Italia 4.0“, შვედეთმა „Produktion 2030“ და ა.შ. მივიჩნევ, რომ აუცილებელია საქართველომაც შეიმუშავოს ახალი ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია, რომელშიც ქვეყნის განვითარების სამომავლო ამოცანები, მიზნები, შედეგები, დარგობრივი და სხვაგვარი პრიორიტეტები მკაფიოდ იქნება გაწერილი. ამგვარი დოკუმენტის არსებობა მეტად შედეგიანს, ორგანიზებულს და მიზანზე ორიენტირებულს გახდის სახელმწიფო ჩარევას, ვიდრე ის დღეს არის - ხშირად ფრაგმენტული და უშედეგო.

3.2. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები

მიუხედავად ბევრი სამომავლო გამოწვევისა, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე. კერძოდ, 2003 წლის შემდეგ გატარებული რეფორმების შედეგად, შემცირდა კრიმინალისა და კორუფციის დონე, გაუმჯობესდა განათლებისა და საჯარო სერვისების მიწოდების სისტემა, აღდგა ფინანსური წესრიგი და დაიხვეწა საგადასახადო სისტემა, გამარტივდა ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა. დღეს კი ქვეყნის გამოწვევა, მიღწეული წარმატების მაქსიმალურად გამოყენებაა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწრაფი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება.

წინა ქვეთავში გაანალიზებული პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში, მართლაც შესაძლებელი იქნება ქვეყანამ სწრაფ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს, რადგან რიგი მიმართულებებით საქართველოს სხვა ქვეყნებთან შედარებით უპირატესობა გააჩნია, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. კერძოდ მნიშვნელოვანია რამდენიმე მათგანზე ყურადღების გამახვილება.

კრიმინალი და კორუფცია

კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით საქართველომ ბოლო 20 წლის მანძილზე არნახული პროგრესი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფციის ნიშნები მაინც არის, რაზეც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიანიშნებს, ქვეყანა დღეს მსოფლიოს 198 ქვეყნისა და 44 ადგილს იკავებს საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ შედგენილი 2019 წლის “Corruption Perception Index”⁵⁷-ის მიხედვით. 2003 წელს კი იგივე ანგარიშიც მიხედვით ქვეყანა 125-ე ადგილს იკავებდა და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად ითვლებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ამავე ანგარიშიც მიხედვით ქვეყანა პირველ ადგილს იკავებს

⁵⁷ <https://www.transparency.org/en/cpi>

ECA⁵⁸ რეგიონში, რაც შეიძლება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობად ჩაითვალოს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით (იხ. ცხრილი №25).

ცხრილი №25: „კორუფციის აღქმის ინდექსი“ 2019, რეგიონალური რეიტინგი

ქვეყანა	პოზიცია ECA რეგიონში	პოზიცია მსოფლიოში
საქართველო	1	44
ბელარუსი	2	66
მონტენეგრო	3	66
სომხეთი	4	77
სერბეთი	5	91
თურქეთი	6	91
ბოსნია და ჰერცეგოვინა	7	101
კოსოვო	8	101
ალბანეთი	9	106
მაკედონია	10	106
ყაზახეთი	11	113
მოლდოვა	12	120
აზერბაიჯანი	13	126
ყირგიზეთი	14	126
უკრაინა	15	126
რუსეთი	16	137
ტაჯიკეთი	17	153
უზბეკეთი	18	153
თურქმენეთი	19	165

წყარო: ავტორის მიერ, საერთაშორისო გამჭვირვალობის მონაცემების მიხედვით

მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მდგომარეობა კრიმინალის თვალსაზრისითაც. მაშინ როდესაც 90-იან წლებში ქვეყანაში კრიმინალის დონე ძალიან მაღალი იყო და თითქმის ყველა ქართველს ეხებოდა პირდაპირად თუ ირიბად, Numbeo-ს 2020 წლის კრიმინალის ინდექსის მიხედვით⁵⁹, საქართველო მსოფლიოში მეოთხე ადგილს იკავებს როგორც ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა. რეიტინგის მიხედვით, ქვეყანა უსწრებს მსოფლიოს ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორებიცაა იაპონია, შვეიცარია, ფინეთი, ავსტრია და ა.შ. ეს კი შესაძლებელია ქვეყანამ გამოიყენოს როგორც კონკურენტული უპირატესობა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

⁵⁸ ამ რეგიონში შედის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და ცენტრალური აზიის ქვეყნები.

⁵⁹ https://www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp

საჯარო სერვისების მიწოდება და ბიზნესის დაწყების სიმარტივე

2003 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საჯარო სერვისების მიწოდება და გამარტივდა ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურები. დღესდღეობით, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის უმოკლეს ვადაში და მცირე ხარჯებით არის შესაძლებელი ბიზნესის დაარსება და ბიზნეს საქმიანობის დაწყება. ასევე გამარტივებულია ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სისტემა. ამაზე მოწმობს 2020 წლის „Doing Business“ რეიტინგი⁶⁰, რომელშიც საქართველო მე-7 პოზიციას იკავებს და უსწრებს მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანას. კონკრეტულად ბიზნესის დაწყების სიმარტივის კომპონენტში კი საქართველო მე-2 ადგილს იკავებს 190 ქვეყანას შორის. აუცილებელია ამ მიმართულებით მიღწეული წარმატების მაქსიმალურად გამოყენება მოხდეს, რათა ქვეყანამ მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დამამუშავებელი მრეწველობის დარგში.

საგადასახადო სისტემა

2003 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებითაც. 2003 წლამდე არსებული 20-ზე მეტი გადასახადიდან უმრავლესობა გაუქმდა და დღეისათვის დარჩენილია მხოლოდ 6 ტიპის გადასახადი: საშემოსავლო გადასახადი (20%), მოგების გადასახადი (15%), დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) (18%), აქციზი (დიფერენცირებული), იმპორტის გადასახადი (დიფერენცირებული) და ქონების გადასახადი (არაუმეტეს 1%). ასევე, აღსანიშნავია, რომ მოგების ბიზნესში რეინვესტირების შემთხვევაში იურიდიული პირის მოგების გადასახადი 0%-ს უტოლდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მიკრო ბიზნესი (ჯამური წლიური შემოსავალი <30,000 ლარი) სრულებით გათავისუფლებულია გადასახადებისაგან, ხოლო მცირე ბიზნესი კი (მიღებული წლიური დასაბეგრი შემოსავალი <500,000 ლარი) იბეგრება დასაბეგრი შემოსავლის მხოლოდ 1%-ით. სპეციალური საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებშიც

⁶⁰ <https://www.doingbusiness.org/en/reports/global-reports/doing-business-2020>

(ფოთი, ყულევი, ქუთაისი, თბილისი). მათზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრეთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ზონებში მოქმედი საწარმოები გათავისუფლებულნი არიან ყოველგვარი გადასახადისგან, გარდა საშემოსავლო გადასახადისა. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს 56 ქვეყანასთან აქვს მიღწეული შეთანხმება „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“⁶¹, რომლის მიზანიცაა ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

ქვეყანაში მოქმედი არსებული საგადასახადო პოლიტიკა შესაძლებელია მიჩნეული იქნას როგორც საკმაოდ ლიბერალური და ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებული. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვესმის პოლიტიკური პარტიების მხრიდან გადასახადების შემცირების აუცილებლობის შესახებ, საქართველოში საგადასახადო ტვირთი არც თუ ისე დიდია და ის უცხოელი ინვესტორებისათვის შემაფერხებელ ფაქტორს არ უნდა წარმოადგენდეს. ამაზე მოწმობს 2020 წლის „Heritage Foundation“-ს ანგარიშიც, სადაც ქვეყანას საგადასახადო ტვირთის კომპონენტში 39-ე ადგილს იკავებს, რაც არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების უმეტესობა, რომლებიც საქართველოს უსწრებენ რეიტინგში, როგორც რეგიონში, ისე მის გარეთ, არიან ნავთობდამოკიდებული ქვეყნები, სადაც საგადასახადო შემოსავალი ნავთობიდან ბევრად დიდია ვიდრე სხვა წყაროებიდან. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშიც ბიზნესის კეთების და ინვესტიციების შემაფერხებელ მთავარ ფაქტორებად კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, ინფრასტრუქტურა და პოლიტიკური არასტაბილურობაა დასახელებული, ხოლო გადასახადის სიმძიმე და რეგულაციები ნაკლებად პრობლემურ ფაქტორებადაა მიჩნეული. შესაბამისად, აღნიშნული კვლევების მიხედვით, როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი ინვესტორებისათვის გადასახადები შემზღუდავ ფაქტორს არ უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გაუმჯობესების შესაძლებლობა არის იმ შემთხვევაში თუ მოხდება სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია და მის ხარჯზე გადასახადების შემცირება.

⁶¹ <https://mof.ge/5127>

სავაჭრო პოლიტიკა და ხელშეკრულებები

საქართველოს მთავარ უპირატესობად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სავაჭრო პოლიტიკა და სავაჭრო ხელშეკრულებები შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა“⁶². 90-იანი წლების შემდეგ ქვეყანამ გეზი აიღო ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისაკენ, რომელიც ინტენსიურად განვითარდა 2003 წლის შემდეგ და დღესაც გრძელდება. 2006 წლის შემდეგ 16 საიმპორტო სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5, 12%) და საიმპორტო ტარიფები ფაქტობრივად გაუქმდა პროდუქციის უმრავლესობაზე. კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლებულია როგორც საბაჟო, ასევე დღგ-ს გადასახადისგან. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებული ღირებულების გადასახადისა და სააქციზო განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელზე თანაბარია. ასევე მინიმუმამდეა დაყვანილი საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა და გამარტივებულია მათი გაცემის პროცედურა.

დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე დიდ წილს გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლო წლების განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების რატიფიცირება. საქართველოს უკვე დიდი ხანია აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან. 2014 წელს კი ძალაში შევიდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)⁶³, რომელიც საშუალებას აძლევს ქართველ მეწარმეებს ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევიდნენ ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის შემდეგ საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება⁶⁴ აქვს ჩინეთთანაც და

⁶² <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12>

⁶³ <http://www.dcfta.gov.ge/ge/home>

⁶⁴ <http://www.economy.ge/?page=news&nw=180&s=sqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesaxeb-xelshkruleba-gaformdeba>

რეგიონში პირველი ქვეყანაა ვისთანაც ჩინეთმა ამგვარი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების ფარგლებში ქართული პროდუქციის 94% გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან ჩინეთის ბაზარზე შესვლისას. საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებულია ჩინური საქონლის საქართველოში იმპორტიც. საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადებით, საქართველო ასევე მუშაობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე ინდოეთთან და ისრაელთან, რაც ქვეყნისთვის დამატებით შესაძლებლობებს გააჩენს პროდუქციის დივერსიფიკაციისა და ახალ ბაზრებზე შეღწევის კუთხით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებისა, საქართველოს ჯერ მნიშვნელოვანი სარგებელი ამ მიღწევებიდან არ უნახავს. 2014 წლის შემდეგ ევროკავშირთან სავაჭრო დეფიციტის კუთხით მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა სტატისტიკა მერყევია და ამგვარ ტენდენციას გაუმჯობესებას ვერ დავარქმევთ. რაც შეეხება ჩინეთს, სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ჩინეთთან მეტად გაღრმავდა სავაჭრო დეფიციტი, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული ხელშეკრულებით ჩინეთმა მეტად ისარგებლა, ვიდრე საქართველომ. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზეც - 2014 წლის შემდეგ საქართველოს სავაჭრო დეფიციტი თურქეთთან ყოველწლიურად ღრმავდება (იხ. ცხრილი №26). აღსანიშნავია ისიც, რომ მზარდია დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის კუთხით რაც დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სამომავლო განვითარებას საფრთხეს უქმნის.

ცხრილი №26: სავაჭრო დეფიციტი რიგ ქვეყნებთან, ათასი დოლარი, საქართველო

	2013	2014	2015	2106	2017	2018	2019
ევროკავშირის ქვეყნები	-1658880	-1747778	-1436158	-1649307	-1545262	-1775452	-1512157
ჩინეთი	-578284	-643074	-461496	-373180	-530940	-635859	-630937
თურქეთი	-1226170	-1489514	-1140676	-1180136	-1157065	-1239676	-1412244

წყარო: ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო პოლიტიკის კუთხით მიღწეული პროგრესის მატერიალიზაცია ჯერ არ მომხდარა, მიღწეული შეთანხმებები და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ქვეყნისათვის და მისი გამოყენება აუცილებლად უნდა მოხდეს. კერძოდ:

- არსებულმა სავაჭრო რეჟიმმა საშუალება უნდა მისცეს ადგილობრივ მეწარმეებს განაახლონ თავიანთი ფიზიკური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი და ტექნოლოგიები, რათა გაიზარდოს ევროკავშირის და სხვა სტაბილური პარტნიორების გასაღების ბაზრებზე შეღწევის მაჩვენებელი;
- არსებულმა რეჟიმმა მოტივაცია უნდა მისცეთ ქართველ მეწარმეებს აწარმოონ მეტი საქონელი და მომსახურება და გააუმჯობესონ მათი ხარისხი;
- არსებული რეჟიმის უპირატესობის გამოყენება უნდა მოხდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ, საქართველო მიმზიდველი უნდა გახდეს, როგორც ჩინეთისთვის ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე შეღწევისათვის და პირიქით, ევროპული კომპანიებისათვის, რომელთაც ჩინეთის ბაზარზე შესვლა სურთ.

3.3. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის გზები და ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულებები

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითად ამოცანას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევაში ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, როდესაც ინდუსტრიალიზაციის შედეგად ხდებოდა აგრარული ეკონომიკების ტრანსფორმაცია და მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიულ დამამუშავებელი მრეწველობის დარგში გადანაცვლება. იკვეთება ისიც, რომ ინდუსტრიალიზაცია ყოველთვის სახელმწიფოს აქტიური და მიზნობრივი ჩარევის შედეგად ხორციელდებოდა (Chang, 2003). გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით მდგომარეობა სავალალოა და ქვეყანას არ გააჩნია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კონკრეტული გრძელვადიანი გეგმა, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის სამომავლო ფორმირებაში. ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა და ამ მიმართულებით სტრატეგიული განვითარების გეგმის⁶⁵ არსებობამ ცხადყო, რომ ერთის მხრივ აუცილებელია გრძელვადიანი გეგმისა და ხედვის არსებობა, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს გონივრულმა და მიზნობრივმა ჩარევამ კონკრეტული სექტორის განვითარების მიზნით შესაძლებელია ქვეყანას ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს.

ინდუსტრიული პოლიტიკის დიზაინი

წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის ამოსავალი წერტილი მისი შექმნის, დოკუმენტირების და განხორციელების პროცესის ოპტიმალური გზების მოძიებაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების, სააგენტოებისა და სამინისტროების სწორად

⁶⁵ <https://bit.ly/384onFs>

იდენტიფიცირებაც (Ohno, 2014). ჩვენს მიერ წინა თავებში გაკეთებულმა ანალიზმა აჩვენა, ქვეყანაში არის ინდუსტრიული პოლიტიკის ელემენტების განმახორციელებელი ინსტიტუტები (მაგ. „აწარმოე საქართველო“, „საპარტნიორო ფონდი“, ა.შ), თუმცა მათი ჩარევა ინდუსტრიული განვითარების მიმართულებით არის ფრაგმენტული და არ ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. ეს ერთის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ერთიანი ინდუსტრიული განვითარების გეგმა, ხოლო მეორეს მხრივ იმით, რომ ამგვარი პოლიტიკის განხორციელებაში არ არიან ჩართულნი სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტორები. იკვეთება ისიც, რომ დღეს არსებულ სააგენტოებს შორის კოორდინაციის დონე არის საკმაოდ დაბალი და მათი ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, რაც თავისთავად აფერხებს ამგვარი პოლიტიკის წარმატებით გატარების შესაძლებლობას. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის დიზაინის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- პოლიტიკის შექმნის პროცესში აუცილებელია ჩართული იყოს ბევრი აქტორი, როგორც მთავრობიდან, ისე კერძო სექტორიდან, თვითმმართველობებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და, რაც მთავარია, სამეცნიერო სფეროდან. ამგვარი მიდგომა, შესაძლებელს გახდის იმას, რომ პოლიტიკის შექმნის პროცესში გათვალისწინებული იყოს ყველას აზრი, რაც ერთის მხრივ საინტერესო იდეების გენერირებას, ხოლო მეორეს მხრივ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკა დაფუძნებული იყოს როგორც სხვადასხვა აქტორების რეკომენდაციებსა და მოსაზრებებზე, ისე კონკრეტულ ეკონომიკურ კვლევებზე, რომლებიც პოლიტიკის შექმნამდე უნდა განხორციელდეს.
- აუცილებელია მკაფიოდ იქნას განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაში ჩართული აქტორების ფუნქცია და მოვალეობები. მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული იქნას, თუ რა როლს შეასრულებენ კონკრეტული სააგენტოები, სამინისტროები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიქმნას ახალი სააგენტოები, რომლებიც განსაზღვრულ ფუნქციებსა და მოვალეობებს გადაინაწილებენ. მნიშვნელოვანია უკვე არსებული სააგენტოების ფუნქცია-მოვალეობების ძირეული გადახედვა. კერძოდ,

პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ძირითადი მიზანი უნდა გახდეს მხოლოდ წარმოების განვითარება და სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტი უნდა შეითავსოს სხვა სააგენტომ, მაგალითად ტურიზმის განვითარების ეროვნულმა ადმინისტრაციამ. ასევე მნიშვნელოვანია „საპარტნიორო ფონდმა“, რომლის დღევანდელ ძირითად პრიორიტეტს ენერგეტიკის სფერო და უძრავი ქონება წარმოადგენს, ყურადღება და რესურსები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებისკენ მიმართოს. კონკრეტული მიზნები უნდა დაისახოს „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტომაც“ და ეს მიზნები უპირატესად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული. მნიშვნელოვანია, რომ არსებული და ახალი სააგენტოების კოორდინაციას ზედამხედველობა გაუწიოს ეკონომიკის სამინისტრომ, რომელიც მთავარი პასუხისმგებელი უნდა იყოს ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესში. ამისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შემუშავება სამინისტროს მხრიდან, რომლის საშუალებითაც სამინისტრო ეფექტიანად შეძლებს სხვადასხვა აქტორების საქმიანობის შეფასებასა და ,საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას.

- მნიშვნელოვანია ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია იყოს გრძელვადიანი (10 წელი ან მეტი) და გაგრძელდეს სხვადასხვა მთავრობების პირობებში. აუცილებელია მთავრობის და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერა დარჩეს ინტენსიური და შედეგზე ორიენტირებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია ძირითადი ხედვებისა და მიზნების ინსტიტუციურად გამყარება, რათა არ მოხდეს მათი ფუნდამენტური ცვლილება პოლიტიკური ლიდერშიფის ცვლილებისას. აღსანიშნავია, ისიც რომ ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულებები, სექტორალური პრიორიტეტები და დაფინანსების საკითხები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში და ეს ბუნებრივიცაა სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, მაგრამ არ უნდა მოხდეს მიდგომების ფუნდამენტური გადახედვა, მაგალითად ინდუსტრიულ პოლიტიკაზე მთლიანად უარის თქმა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ჩარევები, შესაძლებელია აღმოჩნდეს წარუმატებელი, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს

გრძელვადიანი ხედვის ეჭვქვეშ დაყენების საბაზი - თუ შეცდომები დაშვებული არ იქნება, ეს იმას მიაჩნებს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა არასაკმარის ინტენსიურია.

- აუცილებელია სტრატეგია იყოს დეტალური და მასში აღწერილი იყოს ყველა ხედვა, მიზანი, და სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში აუცილებელია დეტალურად იღოს აღწერილი შერჩეული პოლიტიკის ინსტრუმენტები, სექტორალური პრიორიტეტები, ბიუჯეტირების საკითხები, დროის მონაკვეთები, შეფასების მექანიზმები და თითოეულ საკითხზე პასუხისმგებელი სამინისტროებისა და სააგენტოების ფუნქციონირება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს არსებული ფინანსური რესურსი, რომელიც მიმართულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის არის ძალიან მწირი და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობას.

ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური პოლიტიკა

მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა იყოს ზოგადი (ჰორიზონტალური ტიპის), ვიდრე სელექციური (ვერტიკალური ტიპის). მათი აზრით საელმწიფომ აქცენტი უნდა გააკეთოს განათლების, ინფრასტრუქტურისა და R&D-ის გაუმჯობესებაზე ისე, რომ სარგებელი თანაბრად ნახოს ეკონომიკის ყველა დარგმა, და არა „გამარჯვებულების ამორჩევაზე“, რაც გულისხმობს კონკრეტული დარგის ან საქმიანობების (კომპანიებისაც კი) სხვებზე უმჯობესად მიჩნევას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში, რამდენადაც „ზოგადი“ არ უნდა ჩანდეს პოლიტიკა, მას უკლებლივ ყოველთვის გააჩნია დისკრიმინაციული, სელექციური ბუნება - ზოგს მეტად, ზოგს კი ნაკლებად. გამომდინარე იქედან, რომ დამამუშავებელი მრეწველობა სხვა დარგებზე უპირატესად უნდა იქნას მიჩნეული ქვეყნის განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციისათვის (იხ. გვ), პოლიტიკა სწორედ ამ დარგის განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული. მეტიც, აუცილებელია მოხდეს დამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა საქმიანობების შეფასება საექსპორტო და სხვაგვარი პოტენციალის მიხედვით (ამაზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ) და მათი უპირატესად ხელშეწყობა

სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს შემთხვევაში, პოლიტიკის სელექციურობა არა თუ სასურველი, არამედ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ძალზედ მწირი სახელმწიფო ფინანსური რესურსების პირობებში სწორედ დიდი პოტენციალის მქონე საქმიანობები უნდა იქნას წახალისებული. რასაკვირველია, სასურველია ქვეყანას იმდენი ფინანსური რესურსი ჰქონდეს, რომ მოაწესრიგოს ყველანაირი ინფრასტრუქტურა, ერთბაშად მოახდინოს განათლების დონის და ინოვაციურობის ამაღლება, მაგრამ ამგვარი მიდგომა დასაწყისშივე განწირულია წარუმატებლობისათვის მწირი რესურსების პირობებში. შესაბამისად, საჭიროა როგორც ინფრასტრუქტურის განვითარება, ისე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და განათლების დონისა და ინოვაციურობის გაუმჯობესება, მაგრამ ისე, რომ ყოველივე ეს ემსახურებოდეს უპირატესად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ფული დაიხარჯოს ახალი შადრევნის ან სკვერის მოწყობისთვის, შესაძლებელია ეს რესურსი მიმართული იქნას საგზაო და საპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისკენ, რაც გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს და შექმნის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეტ შესაძლებლობას. სელექციურობის მოხსნა შესაძლებელია ეტაპობრივად, ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ (UNCTAD, 2018). გამონაკლისს, ამ კონტექსტში, წარმოადგენს კანონის უზენაესობის გაუმჯობესება და როგორც პოლიტიკური, ისე მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რაც თავისთავად ეკონომიკის ყველა დარგსა და საქმიანობას თანაბრად წაადგება.

ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიზნები

საქართველოს ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიზნები უნდა იყოს მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში გადანაცვლება, დამამუშავებელი მრეწველობის წილის ზრდა მშპ-ში, მისი პროდუქტიულობის ამაღლება, წარმოებული პროდუქციის ნაირსახეობის დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. ამ მიზნების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა და ინტერვენცია შემდეგ საკვანძო მიმართულებებით:

- ინდუსტრიული პოლიტიკის სამიზნე სექტორების იდენტიფიცირება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ინფრასტრუქტურის თარგეთირებული განვითარება;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ექსპორტის ხელშეწყობა და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ადაპტირება.

ინდუსტრიული პოლიტიკის სამიზნე სექტორების იდენტიფიკაცია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამომავლო ეკონომიკური ზრდისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარება, სახელმწიფო რესურსები შეზღუდულია და შესაბამისად, გონივრულად უნდა მოხდეს დარგის იმ საქმიანობების წახალისება, რომელთაც ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ. ამგვარი საქმიანობების იდენტიფიცირება ერთი შეხედვით რთულ, მაგრამ დაუძლეველ ამოცანას ნამდვილად არ წარმოადგენს. ამ მიმართულებით არსებობს უხვი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის გამოყენებაც აუცილებლად უნდა მოხდეს ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართული სხვადასხვა აქტორების რეკომენდაციებთან ერთად.

(Lin, 2012) გვთავაზობს პროცესს, რომელიც ქვეყანას დაეხმარება იმ კონკურენტული უპირატესობის აღმოჩენაში, რაც მას შეიძლება გააჩნდეს დამამუშავებელი მრეწველობის კონკრეტულ საქმიანობებში. კერძოდ:

1. უნდა მოხდეს იდენტიფიცირება ისეთი სწრაფად მზარდი ქვეყნების, რომელთაც საქართველოზე 2-ჯერ (ან მეტი) მეტი მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) გააჩნიათ და შემდეგ ამ ქვეყნებში იმ ვაჭრობადი პროდუქტების ინდენტიფიცირება, რომლებიც ბოლო 15-20 წლის განმავლობაში ზრდის დინამიური ტემპით გამოირჩეოდნენ. ეს იმიტომ, რომ ქვეყნები სადაც კონკრეტული პროდუქციის წარმოება წამატებით ხორციელდებოდა ბოლო 15-20 წლის განმავლობაში, დაკარგავენ თავიანთ

კონკურენტულ უპირატესობას (ძირითადად დაბალი ხელფასები), რაც ათავისუფლებს ადგილს ახალი მოთამაშეებისათვის.


2. იდენტიფიცირებული ინდუსტრიებიდან, სახელმწიფომ შეიძლება პრიორიტეტი მისცეს იმ საქმიანობებს, რომელშიც ქვეყანას უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება დაგროვილი და შემდეგ იპოვოს ის წინალობები, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწე კომპანიებს ხელს უშლის განვითარებაში.
3. თუ იდენტიფიცირებული ინდუსტრიები სიახლეს წარმოადგენს ქვეყნისათვის, მაშინ სახელმწიფოს შეუძლია უკვე შედარებით განვითარებული უცხო ქვეყნებიდან მოიზიდოს ინვესტიციები ამ ინდუსტრიაში და ამაში გამოიყენოს თავისი კონკურენტული უპირატესობა, როგორც საქართველოში არის შედარებით დაბალი ხელფასები, გამართული საგადასახადო სისტემა, ნაკლები ბიუროკრატია და არსებული სავაჭრო ხელშეკრულებები.

ხშირად ინდუსტრიული პოლიტიკა არის ზედმეტად ამბიციური და მისი წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება სწორედ ეს გახდეს. შესაბამისად, ზემოაღწერილი მიდგომა სამიზნე სექტორების იდენტიფიცირებისათვის არის საკმაოდ გონივრული. მაგალითად, მავრიკამ გამოიყენა ჰონგ-კონგის სექტორალური განვითარების მოდელი რათა ეპოვა თავისი კონკურენტული უპირატესობა, კორეამ იაპონიის და ა.შ. საქართველოს შემთხვევაში, შესაძლებელია გამოვიყენოთ ბულგარეთისა და ლატვიის მაგალითები. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბულგარეთი და ლატვია ბოლო 18 წლის განმავლობაში საშუალოდ 4%-ით იზრდებოდნენ. ამავე მონაცემების მიხედვით, დღეს ბულგარეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1.5-ჯერ მეტია ვიდრე იგივე მაჩვენებელი საქართველოში, ხოლო ლატვიაში კი დაახლოებით 2.5-ჯერ მეტი⁶⁶. საქართველოს მსგავსი დღევანდელი ცხოვრების დონე (მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიხედვით) ბულგარეთს დაახლოებით 2008 წელს ჰქონდა, ხოლო ლატვიას კი 2005 წელს. საინტერსოა, დამამუშავებელი მრეწველობის რა საქმიანობებში გააჩნდათ ამ ქვეყნებს კონკურენტული უპირატესობა მაშინ, როდესაც განვითარების ჩვენს დონეზე იმყოფებოდნენ და კარგავენ თუ არა ამ უპირატესობას ისინი დღეს. გრაფიკებზე №25 და


⁶⁶ <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=BG-LV-GE>

№26 წარმოდგენილია ლატვიისა და ბულგარეთის კონკურენტული უპირატესობის მაჩვენებლები სხვადასხვა საექსპორტო პროდუქციის კატეგორიებისთვის მაშინ როდესაც ისინი საქართველოს განვითარების დონეზე იმყოფებოდნენ და დღეს. გრაფიკებიდან იკვეთება, რომ განვითარების პოტენციალი საქართველოში შეიძლება ჰქონდეს ტექსტილისა და ტანსაცმლის დარგს, ფეხსაცმელების წარმოებას, საკვებისა და სასმელის წარმოებას და სამომხმარებლო საქონლის წარმოებას (მაგ. ავეჯი, სათამაშოები).

გრაფიკი №25: ლატვიის კონკურენტული უპირატესობა, 2005 და 2018 წლები




გრაფიკი №26: ბულგარეთის კონკურენტული უპირატესობა, 2008 და 2018 წლები



წყარო: მსოფლიო ბანკი, <https://wits.worldbank.org/>

ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპზე, სწორედ ზემოთხსენებული დარგების განვითარება შეიძლება მივიჩნიოთ პრიორიტეტულად, რადგან გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში დაბალია განათლებისა და ტექნოლოგიური განვითარების დონე, ბუნებრივია ქვეყანა თვითონ ძალზედ მაღალ ტექნოლოგიურ და ცოდნატევად საქონლის წარმოებას სწრაფად ვერ დაიწყებ (Hidalgo, 2007) შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი სექტორების იდენტიფიცირება, რომელთაც მაღალი სწრაფი მოკლევადიანი ეფექტი ექნებათ, მაგალითად ექსპორტის მკვეთრად გაზრდა და ეკონომიკური ზრდა, თუმცა შედარებით დაბალი გრძელვადიანი ეფექტი ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით (კვადრატი 1) (იხ. სქემა №7).

სქემა №7: გრძელვადიანი და მოკლევადიანი სექტორალური ეფექტები



წყარო: Yülek (2019)


ამგვარი საქმიანობები საქართველოს ეკონომიკისთვის შეიძლება იყოს ტექსტილის და ტანსაცმლის წარმოება, საკვების და სასმელის წარმოება, ავეჯის წარმოება, თამბაქოს პროდუქტების წარმოება და სამშენებლო მასალების წარმოება. აღსანიშნავია, რომ

საქართველოს ამ საქმიანობებში გააჩნია გარკვეული გამოცდილება და საჭიროა სწორედ ამ გამოცდილებაზე ახალი ცოდნისა და პოტენციალის დაშენება სახელმწიფოს სწორი ინტერვენციების შედეგად. ჩამოთვლილი საქმიანობები, გამომდინარე იქედან, რომ ისინი დაბალტექნოლოგიურ (შრომინტენსიურ) პროდუქტთა ჯგუფს განეკუთვნებიან, შესაძლებელია მოხდეს ადგილობრივად, ადგილობრივი საწარმოების ხელშეწყობითა და დახმარებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობებში შესაძლებელია და მეტად სასურველი, დიდი რაოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგან როგორც აღინიშნა, მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც სხვა განვითარებულ ქვეყნებში ოპერირებენ, მუდმივად ეძებენ ახალ ბაზრებზე დაბალი ხარჯებით პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას. დროთა განმავლობაში ქვეყნები, სადაც ეს კომპანიები ოპერირებენ შრომინტენსიურ საქმიანობებში, კარგავენ დაბალი დანახარჯების უპირატესობას, რადგან ისინი იწყებენ შედარებით კაპიტალინტენსიურ (მაღალტექნოლოგიური) საქმიანობების განვითარებას, შესაბამისად იქ მოქმედი მულტინაციონალური კომპანიები ეძებენ სხვა ქვეყნებში რელოკაციის შესაძლებლობას. ამ მიმართულებით, საქართველოს მართლაც დიდი პოტენციალი გააჩნია, თუ სახელმწიფოს მხრიდან მოხდება სწორი და გონივრული ჩარევა. მულტინაციონალური კომპანიების მოზიდვა ამ საქმიანობებში შესაძლებელს გახდის სექტორის ტექნოლოგიურ განახლებას, ახალი პრაქტიკების დანერგვას, დასაქმების მკვეთრად გაზრდას და პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას.

ზემოთხსენებულის პარალელულად უნდა მოხდეს მაღალტექნოლოგიური (კაპიტალინტენსიური) საქმიანობების განვითარებაც და სწორედ ეს უნდა იყოს პოლიტიკის ძირითადი გრძელვადიანი მიზანი (კვადრატი 3)(იხ. სქემა №7). აღსანიშნავია, საქართველოს განვითარების დონის მქონე ქვეყნებში ამ ტიპის დარგები უკვე მეტად არის განვითარებული, შესაბამისად აუცილებელია მათზე ე.წ. „დაწევა“ (იხ. გრაფიკი №27). მათი წარმოება ადგილობრივი კომპანიების მხრიდან შესაძლებელია ვერ მოხდეს, რადგან მათ არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. სწორედ ამ საქმიანობების მეტად განვითარებისთვის არის საჭირო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძიება. მართალია, არსებული ტექნოლოგიური და მუშახელის კვალიფიკაციის დონით ამგვარი

ინვესტიციების მოზიდვა უფრო რთული იქნება, ვიდრე ინვესტიციების მოზიდვა მეტად შრომატევად საქმიანობებში, თუმცა არა შეუძლებელი. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო სწორ და მიზნობრივ ინტერვენციებს განახორციელებს განათლების დონის, მუშახელის კვალიფიკაციის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ზოგადი ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების კუთხით, ამ ტიპის ინვესტიციების მოზიდვაც შესაძლებელი გახდება.

გრაფიკი №27: დარგების პრიორიტეტულობა განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის



წყარო: UNIDO (2016)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

იმისათვის, რომ საქართველომ ინდუსტრიალიზაცია განიცადოს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დამამუშავებელი მრეწველობის დარგში მოზიდვა. არაერთი კვლევის თანახმად, სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით შეუძლია განვითარებად ქვეყანას წარმატებით გადმოიღოს და დიფუზია გაუკეთოს იმგვარ ტექნოლოგიებს, რომელზედაც ხელი მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს მიუწვდებათ (Harrison and

Rodriguez, 2009; Korbin, 1979). ამ ტიპის ინდუსტრიალიზაციას (Lloyd, 1996) „ტრანსნაციონალური რესტრუქტურისაცია“ უწოდა (transnational-assisted restructuring). ტექნოლოგიური და მენეჯერული “know-how”-ს ტრანსფერის გარდა, მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ ქვეყანა ჩართონ გლობალური მიწოდების ჯაჭვებში, რაც არამხოლოდ რეციპიანტი კომპანიის, არამედ მთლიანად დარგის გამოცოცხლებას და განვითარებას იწვევს. საქართველოს შემთხვევაში, ადგილობრივი ბაზრის სიმწირიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყანა ჩართული იყოს გლობალური მიწოდების ჯაჭვებში, რადგან ექსპორტის გარეშე ინდუსტრიალიზაცია ვერ მოხდება. ასევე, უცხოელ ინვესტორებს მეტად შესწევთ უნარი განახორციელონ მსხვილმასშტაბიანი პროექტები, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შეექმნათ გასაღების ბაზარი მსხვილი მულტინაციონალური კომპანიის სახით.

როგორც აღინიშნა, საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა ორი მიმართულებით: ერთის მხრის შედარებით დაბალი და საშუალოტექნოლოგიური საქონლის საწარმოებლად (რაც სწრაფად შეიძლება მოხდეს) და მეორეს მხრივ შედარებით კაპიტალიტენსიური, ცოდნატევადი და მაღალტექნოლოგიურ დარგების განვითარებისათვის. ამისათვის, დღესდღეობით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს კანონის უზენაესობის გაუმჯობესება და პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს. ეს ბერკეტი პირდაპირ სახელმწიფოს ხელშია და მისი მტკიცე ნების შემთხვევაში შესაძლებელია სწრაფი პოზიტიური ცვლილების განხორციელება. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის, განათლების და ტექნოლოგიური განვითარების დონის ამაღლება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ახლებური მექანიზმების შემუშავება და რიგი საკითხების ფუნდამენტური გადახედვა, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სახელმწიფოს მხრიდან ძალისხმევა, რაც მუდმივი სიახლეების ძიებაში, ქვეყნის ბრენდის მერად წარმოჩენაში, პოტენციურ ინვესტორებთან შეხვედრებსა და მუდმივი კომუნიკაციაში უნდა გამოიხატებოდეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს საინვესტიციო სააგენტო, რომელიც სააგენტო „აწარმოე საქართველოს“ დაქვემდებარების ქვეშაა, თუმცა მათი საქმიანობა სამწუხაროდ წარმატებულად ვერ შეფასდება მიღებული ინვესტიციების ტენდენციებიდან გამომდინარე. ასევე, ეკონომიკის მინისტრის, ქალბატონი ნათია თურნავას ბოლოდროინდელი განცხადება⁶⁷, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ სამინისტრომ აქტიურად დაიწყო ინვესტიციებთან კომუნიკაცია, აჩენს ეჭვს, რომ აქამდე კომუნიკაცია საკმარისად ინტენსიური არ ყოფილა.

ინფრასტრუქტურის თარგეთირებული განვითარება

ცხადია, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგი ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობაზე, შესაბამისად მისი განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში განვითარებული იყოს, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო ინფრასტრუქტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში მრეწველობის დარგში რთული იქნება, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ისე ადგილობრივი ინვესტიციების წახალისებაც. ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით კი საქართველოში ძალზედ არასახარბიელო მდგომარეობაა. 2018 წლის გლობალური ლოგისტიკის ანგარიშის თანახმად, რომელსაც მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად ადგენს, საქართველო 119 ადგილს იკავებს 160 ქვეყნიდან და ჩამორჩება არამხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ, არამედ აზიის განვითარებად და სამეზობლოს ქვეყნებსაც სავაჭრო ინფრასტრუქტურული განვითარების დონით. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოსთვის შეზღუდული რესურსების გამო, მოკლევადიან პერიოდში (3-5 წელი) რთული (შეუძლებელიც კი) იქნება ამ პრობლემის მთლიანად აღმოფხვრა, შესაბამისად მნიშვნელოვანია თარგეთირებული და გონივრული ჩარევა. ამ კონტექსტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდუსტრიული პარკების (ზონების) კონცეფციის გადახედვა და განახლება.

⁶⁷ <https://imedineews.ge/ge/ekonomika/147187/natia-turnava-aqtiurad-vmushaobt-imistvis-2021-tseli-ikos-investitsiebis-kharje-mzardi-tseli>

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2007 წელს გაჩნდა. მას შემდეგ შეიქმნა 5 (ფოთის, ყულევის, ქუთაისის, ქუთაისის ჰუალინგის და თბილისის) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომლებზეც როგორც წინა, ისე დღევანდელი მთავრობა მნიშვნელოვან მოლოდინებს ამყარებდა. თუმცა, მთავრობის მოლოდინებმა ვერ გაამართლა და ამ ზონებს ეკონომიკის განვითარებაზე, მითუმეტეს ინდუსტრიალიზაციაზე, მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჩამოყალიბება, მსოფლიოში უკვე კარგად ნაცადი მეთოდია და ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია მათი მეშვეობით. განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევიან ამგვარი ზონები ჩინეთში, სლოვაკეთში, სამხრეთ კორეაში, ირლანდიაში, ჰოლანდიაში, ეთიოპიაში, თურქეთში და სხვა ბევრ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში. რასაკვირველია არსებობს წარმატებლობის მაგალითებიც, მაგალითად აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში, მათ შორის საქართველოშიც. შესაბამისად, საინტერესოა, ის მიზეზები რაც აფერხებენ თავისუფალი ინდუსტრიების განვითარების პოტენციალს.

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“ კანონის⁶⁸ თანახმად, ზონებში არსებული საწარმოები გათავისუფლებულნი არიან მოგების, ქონების, დღგ-ს, იმპორტისა და ექსპორტის გადასახადისაგან. კანონის თანახმად კომპანიები არ თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან და ასევე, იმ გადასახადისაგან, რომელიც ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, ან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის ინდუსტრიულ ზონებში იმპორტისას წარმოშვება (4%). ამგვარი საგადასახადო პოლიტიკის მიდგომა ინდუსტრიულ ზონებში გამართლებული და სწორია, თუმცა მიზანშეწონილია გაუქმდეს 4%-იანი გადასახადი და საშემოსავლო გადასახადის ნაწილობრივ ან სრულად გაუქმების საკითხიც დადგეს კონკრეტული კომპანიებისა და ინვესტორებისათვის (კრიტერიუმი შეიძლება იყოს დასაქმებული ადამიანების რაოდენობა). როგორც აღინიშნა, ლიბერალური საგადასახადო მიდგომა ერთის მხრივ მისასაღმებელია, თუმცა თავშივე არასწორი იყო ინდუსტრიული ზონების მხოლოდ ამ უპირატესობაზე აგება, მაშინ როდესაც

⁶⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=8>

საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე საგადასახადო სისტემა ისედაც საკმაოდ ლიბერალურია. ინვესტორის მოსაზიდად მხოლოდ შეღავათიანი საგადასახადო სისტემა არასაკმარისია და მნიშვნელოვანია პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური გარემოც. ასევე, წარმატებული ინდუსტრიული ზონების გამოცდილება ცხადყოფს, რომ საგადასახადო შეღავათებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინდუსტრიულმა პარკებში იყოს ადეკვატური ინფრასტრუქტურა და სერვისები, რაც საშუალებას მისცემდა იქ მოქმედ კომპანიებს იმ ბარიერების გადალახვის, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებობს. კერძოდ, ინდუსტრიულ პარკებში პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიციური მუშახელით (შესაძლებელია პროფესიული სასწავლებლების ტერიტორიაზე განთავსება), ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა (გზა, რკინიგზა, წვდომა პორტებსა და აეროპორტებზე), კვლევითი ცენტრები, სასაწყობო მეურნეობები და ა.შ. (UNIDO, 2019). საქართველოს შემთხვევაში კი, როგორც იკვეთება, ზონის ძირითად უპირატესობას მხოლოდ საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელწიფომ აქტიური როლი ითამაშოს და აღმოფხვრას არსებული პრობლემები.

წარმატებული ინდუსტრიული ზონის (პარკის) ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი და უპირატესობა ის არის, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ე.წ. კლასტერიზაციას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავს ან ერთნაირ ინდუსტრიაში მყოფი კომპანიების ერთად დაჯგუფებას. მსოფლიოს გამოცდილება ინდუსტრიულ პარკებთან მიმართებაში, ცხადყოფს იმას, რომ ზონა მაშინ არის წარმატებული თუ ის ერთი კონკრეტული დარგის ირგვლივაა გაერთიანებული (მაგ. ტექსტილის და ტანსაცმლის ინდუსტრიული პარკი, ელექტრომოწყობილობების ინდუსტრიული პარკი, ა.შ.). საქართველოს შემთხვევაში, ამგვარ კლასტერიზაციას სამწუხაროდ ადგილი არ ჰქონია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია არსებული ზონების განახლების ან ახალი ზონების კონცეფციის შემუშავების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე თავმოყრილი იქნება ერთნაირი ინდუსტრიის დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმო (როგორც ქართული ისე უცხოური), მივიღებთ სინერჯის ეფექტს და კომპანიები მეტად

გამლიერდებიან, რადგან ისარგებლებენ საერთო ადმინისტრაციული, იურიდიული, მარკეტინგული, საწვრთნელი, საინჟინრო, სატრანსპორტო, სასაწყობო და ენერგო ინფრასტრუქტურით. ასევე, მცირე და საშუალო კომპანიებს (როგორც ზონაში, ისე მის გარეთ) მიეცემათ გასაღების ბაზარი დიდი კომპანიების სახით, რაც ეკონომიკაში სექტორალურ კავშირებს კიდევ უფრო გაამყარებს. ამ კონტექსტში, ძალზედ მნიშვნელოვანია გაუქმდეს ზემოთხსენებული 4%-იანი იმპორტის გადასახადი. აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა ქვეყანაში უკვე არსებული კომპანიების (მსგავსი ან ერთნაირი ინდუსტრიებიდან) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში გადანაცვლების წასახალისებლად. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება კომპანიებისთვის დამატებითი მოტივაციის შექმნით, მაგალითად უკვე არსებული ქარხნების ინდუსტრიულ ზონაში გადატანის ხარჯების ანაზღაურებით. (Hausmann and Rodrik, 2003) და (Lin, 2010) აღნიშნავენ, რომ კლასტერიზაციის გასაზრდელად, სახელმწიფოს მხრიდან გონივრულია ე.წ. „პიონერების“ (first-movers) ხელშეწყობა, რადგან კომპანიები ხშირად სწორედ იმიტომ იკავებენ თავს ინდუსტრიულ ზონებში გადასვლისგან, რომ ჯერ ამის წარმატებული მაგალითი თავიანთ დარგში არ უნახავთ.

ადამიანური კაპიტალის განვითარება

მსოფლიო გამოცდილება და სამეცნიერო ლიტერატურა მოწმობს იმაზე, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის განათლების დონე, მშრომელთა კვალიფიკაცია და ტექნოლოგიური განვითარების მაჩვენებელი (Noorbakhsh et al. 2001; Zhang and Markusen, 1997). როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ორივე მიმართულებით სავალალო მდგომარეობაა, რაც აფერხებს ერთის მხრივ ინვესტიციების მოზიდვას, ხოლო მეორეს მხრივ უკვე არსებული კომპანიების მიერ კვალიფიციური კადრების მოძიებას. საქართველოში მწირია მაღალკვალიფიციური კადრები არამხოლოდ მაღალტექნოლოგიურ სფეროებში, არამედ მაღალკვალიფიციური კადრების ისეთ შრომინტენსიურ და დაბალტექნოლოგიურ საქმიანობებში,

როგორებიცაა საფეიქრო მრეწველობა და საკვების წარმოება⁶⁹. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ერთის მხრივ მოძველებულია სასკოლო განათლების სისტემა და ის სტუდენტს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვისაც კი ვერ ამზადებს, შესაბამისად, ჩამოყალიბდა რეპეტიტორების ინსტიტუტი. მეორეს მხრივ, უნივერსიტეტები სტუდენტებს ვერ ამზადებენ იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ თანამედროვე სამუშაო ბაზრის მოთხოვნები. ასევე, განუვითარებელია პროფესიული განათლების სისტემა, რაც შესაძლებელს გახდიდა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორისთვის კვალიფიციური მუშახელის მომზადებას. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა უნივერსიტეტებში აბარებს, უმაღლესმა განათლებად დაკარგა ღირებულება, პროფესიულ განათლებამ კი მისი მნიშვნელობა.

ზემოთხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად ერთის მხრივ აუცილებელია გაიზარდოს სახელმწიფოს მხრიდან განათლების დაფინანსება და ხარჯების მიზნობრიობის გაუმჯობესება, რათა პოტენციური ჩარევები თანხვედრაში იყოს ინდუსტრიული პოლიტიკის მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებთან. კერძოდ, მნიშვნელოვანია სკოლის კურიკულუმების ძირეული შეცვლა და სკოლის მასწავლებლების ინტენსიური გადამზადება და სერტიფიცირება. მასწავლებელთა სერტიფიცირება უნდა გახდეს სავალდებულო, რადგან წარმოუდგენელია მოსწავლეს ისეთი მასწავლებელი ასწავლიდეს, რომელსაც სერტიფიცირების გამოცდების ჩაბარება არ შეუძლია. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს 65 ათასამდე პედაგოგიდან სერტიფიცირებული იყო მხოლოდ 17,000-მდე მასწავლებელი, რაც საგანგაშო მაჩვენებელია.⁷⁰

მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია, უმაღლესი განათლების სისტემაში ინტეგრირებული იყოს მეტად პრაქტიკაზე და თანამედროვე უნარებზე დამყარებული კურიკულუმი, ვიდრე ყველა სტუდენტის მეცნიერად ჩამოყალიბების მცდელობაზე

⁶⁹ <https://bm.ge/ka/article/quotimeriquot--safeiqro-warmoebashi-kvalificiuri-kadrebis-problema-dgas/32418>

⁷⁰ <https://edu.aris.ge/news/gamocdis-chabareba-ar-nishnavs-maswavleblis-efeqturobas-es-aris-moswavlis-damshoblis-motyueba.html>

ორიენტირებული სწავლება. დღეს, სტუდენტების უმეტესობა აბარებს იურიდიულ და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე და არაპოპულარულია ისეთი ტექნიკური სპეციალობები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებზე იქნებოდა მორგებული. ამაზე ისიც მოწმობს, რომ ძალზედ არაპოპულარულია პროფესიულ სასწავლებლებში სწავლება და სტუდენტების უმეტესობას სურს რომ უმაღლესი განათლება მიიღოს. განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული 2015 წლის კვლევის თანახმად, გამოკითხულ მშობელთა 75% მიიჩნევდა, რომ მისმა შვილმა აუცილებელია უმაღლესი სასწავლებელი დაამთავროს. პრობლემებია დამსაქმებლების მხრიდანაც, რადგან მათი უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს უმაღლესი განათლების მქონე კადრებს, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილის სპეციფიკა ხშირად სწორედ პროფესიული განათლების მქონე კადრს მოითხოვს. შესაბამისად, ცხადია, რომ ქვეყანას პრობლემები აქვს მენტალური კუთხით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბიზნესის აქტიური ჩართულობა პროფესიული განათლების საკითხებში, რათა მათი რჩევებიც გათვალისწინებული იყოს. ასევე, მიზანშეწონილია უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის გართულება, რაც სტუდენტებს პროფესიული სასწავლებლების არჩევისკენ უბიძგებს.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს პროფესიული სწავლების მოწყობის ფორმა და დაფინანსების საკითხები. მიუხედავად გაცხადებული მზაობისა სახელმწიფოს მხრიდან, პროფესიული სასწავლებლების უმეტესობას ჯერ კიდევ არ დაუნერგავთ დუალური სწავლების სისტემა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღებდნენ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ჯერჯერობით, სასწავლებლების უმეტესობა სტუდენტებს მხოლოდ თეორიულ ცოდნას აძლევს, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოძველებული და დაბალი ხარისხისაა. აღსანიშნავია, რომ დუალური პროფესიული განათლების სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს გერმანიაში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ის დიდი პოპულარობით სარგებლობს კომპანიებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის. შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების

გამოცდილების გაზიარება. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში, მუშახელი დიდი ხანი რჩება ერთ კომპანიაში, შესაბამისად ამ კომპანიებს უღირთ კადრების პროფესიული სწავლების დაფინანსება. საპირისპიროდ საქართველოში, მაღალია მუშახელის მობილობა სამსახურიდან სამსახურში, შესაბამისად საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება მეტად მიზანშეწონილია, რადგან კომპანიების მხრიდან ინტერესი სავარაუდოდ მცირე იქნება.

მიზანშეწონილია განხილულ იქნას დუალური განათლების სისტემის ინტეგრირება უმაღლეს სასწავლებლებშიც, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემთ სწავლების ნაწილი გაატარონ კომპანიებში, ხოლო ნაწილი კი საკლასო ოთახებში. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას და ისეთი კადრების ჩამოყალიბებას, რომელზე დიდი იქნება მოთხოვნა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მიერ. ზოგადად, პრაქტიკული კომპონენტის მეტად გაძლიერება განათლების სისტემაში, იქნება ეს კომპანიაში სტაჟირება თუ ლაბორატორიებში გატარებული დრო, ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა კვლავაც რჩება დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად. 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშშიც, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ბიზნესის კეთებისთვის მეორე ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორადაა დასახელებული. ყოველივე ეს გამოწვეულია, ერთის მხრივ იმით, რომ ჯერ კიდევ მაღალია კომერციული საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, როგორც ეროვნულ (15.7%) ისე უცხოურ ვალუტაში (6.9%),⁷¹ ხოლო მეორეს მხრივ იმით, რომ ბანკები ხშირად არ აფინანსებენ ისეთ პროექტებს, რომელზეც შეიძლება მცირე რისკის შემცველი იყოს. ეს განსაკუთრებით პრობლემას უქმნის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რადგან ხშირად სწორედ რისკიანი, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის გადმოსახედიდან მაღალი

⁷¹ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>

პოტენციალის მქონე პროექტების დაფინანსებაა საჭირო. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებიც უმეტეს შემთხვევაში დაფინანსებას ბანკების გავლით ახორციელებენ, რაც შეღავათის მომცემი ნამდვილად არ არის. ასევე, ჯერ კიდევ განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი და კომპანიებს ფინანსების მოძიების ალტერნატიული გზები (ბანკების გარდა) არ გააჩნიათ.

ზემოთხსენებული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია შემუშავებული იქნას სქემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო პირდაპირ, კომერციული ბანკის გარეშე დააფინანსებს დიდი ზომის სტრატეგიულ და, შესაძლოა რისკიან, გრძელვადიან პროექტებს და ასევე დაეხმარება მცირე საწარმოებს გრძელვადიანი ფინანსების მოძიებაში. უნდა აღინიშნოს, რომ აქცენტი უმჯობესია გაკეთდეს დიდი ზომის პროექტებზე, რომლებსაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ცალსახად მნიშვნელოვანია, მაგრამ საეჭვოა, რომ ბევრი მცირე საწარმოს დაფინანსებით ქვეყანამ სტრუქტურული ტრანსფორმაცია განიცადოს. როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეების კლასტერიზაცია, რათა გაიზარდოს მათი როგორც საწარმოო ისე, საექსპორტო პოტენციალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკე აღებული მცირე ან საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსებას და ხელშეწყობას მეტად სოციალური ხასიათი ექნება ვიდრე ეკონომიკის ძირეული ტრანსფორმაციის ფუნქცია.

რაც შეეხება დაფინანსების მექანიზმებს, შესაძლებელია განხილულ იქნას განვითარების ბანკის დაარსების საკითხიც. (Weiss, 2015) ის განმარტებით, განვითარების ბანკი, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ბანკია, რომლის ძირითადი ფუნქცია ქვეყნის განვითარება და მისი სტრუქტურული ტრანსფორმაციაა და რომელსაც არ გააჩნია არანაირი კომერციული მიზნები. სახელმწიფო მფლობელობაში არსებული, განვითარების ბანკის ეფექტურობის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, თუმცა მისი როლი შესაძლოა მნიშვნელოვნად პოზიტიური იყოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში (Hausmann, 2008, Rodrik, 2007). ამ კონტექსტში, იმედის მომცემი იყო „საპარტნიორო ფონდის“ დაარსება, თუმცა როგორც წინა თავებში

გაკეთებული ანალიზიდან გამოიკვეთა, ფონდის ძირითად პრიორიტეტს ენერგეტიკის, უძრავი ქონებისა და სასტუმროების სფერო უფრო წარმოადგენს, ვიდრე წარმოების განვითარება. ასევე, ფონდის მეშვეობით ფინანსდება მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტებს, რაც თავისთავად ფინანსურად გამართლებულია ფონდის გადმოსახედიდან, თუმცა ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ფონდის საქმიანობას ვერ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მთლიანად ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, მის ტექნოლოგიური განვითარებისა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. შეუძლებელია ყველა პროექტი იყოს მომგებიანი და თუ შეცდომები დაშვებული არ იქნება, ეს იმას მიაჩნებს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა არასაკმარის ინტენსიურია (Rodrik, 2004).

დასკვნები და რეკომენდაციები

- დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის. დარგის განვითარება დააჩქარებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, რაც სწრაფი ეკონომიკური ზრდის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. ინდუსტრიალიზაციის შედეგად შემცირდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, გაიზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და შეიქმნება სტაბილური სამუშაო ადგილები, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების გარანტი გახდება.
- დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რიგი პრობლემები და ტენდენციები. კერძოდ:
 - ⇒ დარგის წილი მშპ-ში არის მცირე და დღეს მშპ-ს 10.2%-ის ტოლია, რაც მკვეთრად ჩამორჩება განვითარების იგივე საფეხურზე მყოფი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. დარგის კონტრიბუციის წილი ეკონომიკაში 1996 წლის შემდეგ მცირდება, რაც ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის ან ჩამორჩენილი ინდუსტრიალიზაციის ნიშანია.
 - ⇒ დარგის შრომის პროდუქტიულობა ზრდადია, თუმცა ზრდის ტემპი ჯამურად ყოველწლიურად უფრო მცირდება, რაც ცვლილებების აუცილებლობაზე მიანიშნებს.
 - ⇒ დარგის საშუალო თვიური ხელფასი მკვეთრად ჩამორჩება სხვა დარგების საშუალო თვიურ ხელფასებს. წლების ჭრილში ის მზარდია, მაგრამ მკვეთრი განსხვავებებია ქალებისა და მამაკაცის ხელფასებს შორის;
 - ⇒ დარგის მიერ მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ არის საკმარისი და ჩამორჩება ეკონომიკის ისეთ დარგებს, როგორებიცაა მაგალითად ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, საფინანსო და სამშენებლო სფეროები. ასევე, ინვესტიციების მოცულობის ტენდენცია ჯამურად უარყოფითია 2007 წლის შემდეგ;
 - ⇒ დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება რეგიონალურ ჭრილში არის მცირე და კონცენტრირებულია ძირითადად ქვემო ქართლში და თბილისში;

- ⇒ დარგის სტრუქტურა საქმიანობების მიხედვით არის არადივერსიფიცირებული, როგორც ნაირსახეობის ასევე დამატებული ღირებულების გადმოსახედიდან - დამატებული ღირებულების ნახევარზე მეტს დარგის მხოლოდ 3 საქმიანობა ქმნის;
- ⇒ დარგის არცერთ საქმიანობაში არ ფიქსირდება მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების სტაბილური ზრდა წლების მიხედვით - ადგილი აქვს ეპიზოდურ კლებას და ზრდას, რაც იმაზე მიანიშნებს რომ დარგი არის ძიების პროცესში და არ არის სრულად ფორმირებული;
- ⇒ დარგის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები ყოველწლიურად იზრდება, თუმცა ზრდის ტემპი არასტაბილურია და ჯამურად კლებადაა, რაც დარგის სამომავლო პროდუქტიულობის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს;
- ⇒ დარგს გააჩნია საექსპორტო პოტენციალი, რადგან მთლიანი ექსპორტის 34% სწორედ დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის. თუმცა, ექსპორტის ძირითად წყაროს დაბალტექნოლოგიური პროდუქცია და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს, რაც დამახასიათებელია დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის;
- ⇒ ექსპორტის სტრუქტურა არადივერსიფიცირებულია როგორც პროდუქციის ნაირსახეობის თვალსაზრისით, ასევე საექსპორტო ქვეყნების თვალსაზრისითაც. დაბალია ევროკავშირის ბაზრებზე შეღწევის მაჩვენებელი და 2013 წლის შემდეგ ის ფაქტობრივად არ გაზრდილა. მეორეს მხრივ, იზრდება დამოკიდებულება რუსეთის გასაღების ბაზარზე, რაც სამომავლო ეკონომიკური განვითარებისთვის საფრთხის შემცველია.
- ⇒ დარგის განვითარება გაეროს ინდუსტრიული ორგანიზაციის (UNIDO) მიერ შეფასებულია როგორც „საშუალოზე დაბალი“ და განვითარებით ჩამორჩება არამხოლოდ მსოფლიოს მაღალშემოსავლიან ქვეყნებს, არამედ რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთს და უკრაინას.
- მიუხედავ იმისა, რომ საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის დარგი არის არასაკმარისად განვითარებული და რიგი მაჩვენებლების მიხედვით შეინიშნება დაქვეითების ან უძრაობის ტენდენციები, დარგს მაინც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს

ქვეყნის ეკონომიკაზე დღეს. კერძოდ, ჩვენს მიერ ჩატარებულმა „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) ანალიზმა აჩვენა, რომ:

- ⇒ დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი 2018 წელს 1.25-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს რომ დარგის მიერ 1 ლარის ღირებულების პროდუქციის წარმოება, ეკონომიკაში დამატებით 25 თეთრის გენერირებას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავია, რომ უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალი იქნება, თუ დარგი მეტად განვითარდება და ნაკლებ იმპორტირებულ შუალედურ საქონელს მოიხმარს სხვა დარგებისგან საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის.
- ⇒ მეორეს მხრივ, დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან მაღალია და 2018 წელს 5.33-ს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე ძალიან დიდია მოთხოვნა ეკონომიკის სხვა დარგების მიერ, შესაბამისად დარგის განვითარება ძალზედ პრიორიტეტულია.
- ⇒ დარგის 6 საქმიანობას (A,G,H,C,M,E) განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ეკონომიკაზე ვიდრე დარგის სხვა დანარჩენ 7 საქმიანობს (F,L,I,K,J,B,D). შესაბამისად, ეს საქმიანობები შესაძლებელია პრიორიტეტულად მივიჩნიოთ ეკონომიკური პოლიტიკის გადმოსახედიდან.
- თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ საქმიანობას შესაძლებელია დღეს არ ჰქონდეს დიდი გავლენა ეკონომიკაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმიანობა განუვითარებელია და დაბალი წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ საქმიანობების განვითარება ნაკლებად პრიორიტეტული უნდა იყოს. ეს მართალია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა სტრუქტურულად ბოლომდე ფორმირებული არ არის. მაგალითად, ელექტრომოწყობილობების, სატრანსპორტო მოწყობილობების და მანქანების და მოწყობილობების დარგების გავლენა არც თუ ისე დიდია დღეს ეკონომიკაზე რადგან ეს დარგები განუვითარებელია, თუმცა მათი განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო წინსვლისათვის.

- დამამუშავებელი მრეწველობის სამომავლო განვითარების მიზნით, ნაშრომში გამოვლენილი იქნა დარგის განვითარების ხელის შეშლელი და ხელის შემწყობი ფაქტორები. კერძოდ:
 - ⇒ ანალიზმა აჩვენა, რომ დარგის განვითარებას ხელს უშლის ადამიანური კაპიტალის განუვითარებლობა, ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურული პრობლემები, კანონის უზენაესობისა და სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები და სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიანი ხედვის არ არსებობა.
 - ⇒ რაც შეეხება დარგის განვითარების ხელის შემწყობ ფაქტორებს, ასეთ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ კრიმინალისა და კორუფციის დაბალი დონე, საჯარო სერვისების გამარტივებული მიწოდება და ბიზნესის დაწყების სიმარტივე, ლიბერალური საგადასახადო და სავაჭრო პოლიტიკა და ევროკავშირთან და ჩინეთთან მიღწეული თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები.
- მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ინდუსტრიალიზაცია თავისით არ ხორციელდება და ის ყოველთვის აქტიური სახელმწიფო ჩარევის შედეგად ხდებოდა. შესაბამისად, დღეს ეკონომისტთა უმრავლესობა, სკეპტიკოსებიც კი, თანხმდება იმაზე, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა საჭიროა და საკითხი მდგომარეობს არა იმაში, გატარდეს თუ არა ინდუსტრიული პოლიტიკა, არამედ იმაში თუ როგორი ინდუსტრიული პოლიტიკა და რა ფორმით უნდა განხორციელდეს. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკა და გამოგვევლინა მისი გამოწვევები.
- საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის ანალიზმა დაგვანახა, რომ ქვეყანას ფაქტობრივად არ გააჩნია ინდუსტრიული პოლიტიკა, ყოველ შემთხვევაში ისეთი პოლიტიკა, რომელიც დოკუმენტის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. 2014 წელს დამტკიცებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ ამ მიმართულებით იმედის მომცემი იყო, რადგან სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის

უზრუნველყოფა იყო. თუმცა, ანალიზიდან იკვეთება, რომ „სტრატეგია 2020-ის“ მიზნების უმეტესობა ჯერ კიდევ მიუღწეველია და ქვეყნის მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან მთავრობის შედარებით ახალ 2016-2020 წლის პროგრამაში „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის თითქმის არანაირი ღონისძიება არ არის დაგეგმილი.

- მიუხედავად, ერთიანი, გრძელვადიანი და დეტალური ინდუსტრიული პოლიტიკის არ არსებობისა, 2014 წლიდან ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში შეინიშნება ინდუსტრიული პოლიტიკის ელემენტები. კერძოდ, 2011 წელს შეიქმნა „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო 2014 წელს პროგრამა „აწარმოე საქართველო“ და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების სააგენტო“. თუმცა, ანალიზიდან იკვეთება, რომ მიუხედავად ცალკეული წარმატების ისტორიებისა, რიგი პრობლემების გამო, ზემოთხსენებული ორგანიზაციების საქმიანობას ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ინდუსტრიალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.
- გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით მდგომარეობა სავალალოა და ქვეყანას არ გააჩნია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კონკრეტული გრძელვადიანი გეგმა, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ფორმირებას კრიტიკულ მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის სამომავლო ფორმირებაში. ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა და ამ მიმართულებით სტრატეგიული განვითარების გეგმის არსებობამ ცხადყო, რომ ერთის მხრივ აუცილებელია გრძელვადიანი გეგმისა და ხედვის არსებობა, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს გონივრულმა და მიზნობრივმა ჩარევამ კონკრეტული სექტორის განვითარების მიზნით შესაძლებელია ქვეყანას ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს.
- მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა იყოს ზოგადი (ჰორიზონტალური ტიპის), ვიდრე სელექციური (ვერტიკალური ტიპის). მათი აზრით სახელმწიფომ აქცენტი უნდა გააკეთოს განათლების, ინფრასტრუქტურისა და R&D-ის

გაუმჯობესებაზე ისე, რომ სარგებელი თანაბრად ნახოს ეკონომიკის ყველა დარგმა, და არა „გამარჯვებულების ამორჩევაზე“, რაც გულისხმობს კონკრეტული დარგის ან საქმიანობების (კომპანიებისაც კი) სხვებზე უმჯობესად მიჩნევას. რასაკვირველია, სასურველია ქვეყანას იმდენი ფინანსური რესურსი ჰქონდეს, რომ მოაწესრიგოს ყველანაირი ინფრასტრუქტურა, ერთბაშად მოახდინოს განათლების დონის და ინოვაციურობის ამაღლება, მაგრამ ამგვარი მიდგომა დასაწყისშივე განწირულია წარუმატებლობისათვის მწირი რესურსების პირობებში.

- საქართველოს შემთხვევაში, საჭიროა როგორც ინფრასტრუქტურის განვითარება, ისე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და განათლებისა დონისა და ინოვაციურობის გაუმჯობესება, მაგრამ ისე, რომ ყოველივე ეს ემსახურებოდეს უპირატესად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. გამონაკლისს, ამ კონტექსტში, წარმოადგენს კანონის უზენაესობის გაუმჯობესება და როგორც პოლიტიკური, ისე მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რაც თავისთავად ეკონომიკის ყველა დარგსა და საქმიანობას თანაბრად წაადგება.
- ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის დიზაინის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები. კერძოდ:
 - ⇒ პოლიტიკის შექმნის პროცესში აუცილებელია ჩართული იყოს ბევრი აქტორი, როგორც მთავრობიდან, ისე კერძო სექტორიდან, თვითმმართველობებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და, რაც მთავარია, სამეცნიერო სფეროდან.
 - ⇒ აუცილებელია მკაფიოდ იქნას განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაში ჩართული აქტორების ფუნქცია და მოვალეობები. მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული იქნას, თუ რა როლს შეასრულებენ კონკრეტული სააგენტოები, სამინისტროები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და ა.შ.
 - ⇒ საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიქმნას ახალი სააგენტოები, რომლებიც განსაზღვრულ ფუნქციებსა და მოვალეობებს გადაინაწილებენ. მნიშვნელოვანია უკვე არსებული სააგენტოების ფუნქცია-მოვალეობების ძირეული გადახედვა. კერძოდ, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ძირითადი მიზანი უნდა გახდეს მხოლოდ

- წარმოების განვითარება და სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტი უნდა შეითავსოს სხვა სააგენტომ, მაგალითად ტურიზმის განვითარების ეროვნულმა ადმინისტრაციამ.
- ⇒ მნიშვნელოვანია „საპარტნიორო ფონდმა“, რომლის დღევანდელ ძირითად პრიორიტეტს ენერგეტიკის სფერო და უძრავი ქონება წარმოადგენს, ყურადღება და რესურსები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებისკენ მიმართოს. კონკრეტული მიზნები უნდა დაისახოს „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტომაც“ და ეს მიზნები უპირატესად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული.
- ⇒ რეკომენდირებულია, რომ არსებული და ახალი სააგენტოების კოორდინაციას ზედამხედველობა გაუწიოს ეკონომიკის სამინისტრომ, რომელიც მთავარი პასუხისმგებელი უნდა იყოს ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესში. ამისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შემუშავება სამინისტროს მხრიდან, რომლის საშუალებითაც სამინისტრო ეფექტიანად შეძლებს სხვადასხვა აქტორების საქმიანობის შეფასებასა და „საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას.
- ⇒ მიზანშეწონილია, ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია იყოს გრძელვადიანი (10 წელი ან მეტი) და გაგრძელდეს სხვადასხვა მთავრობების პირობებში. აუცილებელია მთავრობის და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერა დარჩეს ინტენსიური და შედეგზე ორიენტირებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია ძირითადი ხედვებისა და მიზნების ინსტიტუციურად გამყარება, რათა არ მოხდეს მათი ფუნდამენტური ცვლილება პოლიტიკური ლიდერშიფის ცვლილებისას.
- ⇒ აუცილებელია სტრატეგია იყოს დეტალური და მასში აღწერილი იყოს ყველა ხედვა, მიზანი, და სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში აუცილებელია დეტალურად იღოს აღწერილი შერჩეული პოლიტიკის ინსტრუმენტები, სექტორალური პრიორიტეტები, ბიუჯეტირების საკითხები, დროის მონაკვეთები, შეფასების მექანიზმები და თითოეულ საკითხზე პასუხისმგებელი სამინისტროებისა და სააგენტოების ფუნქციამოვალეობები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს არსებული ფინანსური რესურსი,

რომელიც მიმართულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის არის ძალიან მწირი და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობას.

- საქართველოს ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიზნები უნდა იყოს მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში გადანაცვლება, დამამუშავებელი მრეწველობის წილის ზრდა მშპ-ში, მისი პროდუქტიულობის ამაღლება, წარმოებული პროდუქციის ნაირსახეობის დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. ამ მიზნების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა და ინტერვენცია შემდეგ საკვანძო მიმართულებებით: ინდუსტრიული პოლიტიკის სამიზნე სექტორების იდენტიფიცირება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ინფრასტრუქტურის თარგეთირებული განვითარება; ადამიანური კაპიტალის განვითარება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

⇒ გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში დაბალია განათლებისა და ტექნოლოგიური განვითარების დონე, ბუნებრივია ქვეყანა თვითონ ძალზედ მაღალ ტექნოლოგიურ და ცოდნატევად საქონლის წარმოებას სწრაფად ვერ დაიწყებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი სექტორების იდენტიფიცირება, რომელთაც მაღალი სწრაფი მოკლევადიანი ეფექტი ექნებათ, მაგალითად ექსპორტის მკვეთრად გაზრდა და ეკონომიკური ზრდა, თუმცა შედარებით დაბალი გრძელვადიანი ეფექტი ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. ამგვარი საქმიანობები საქართველოს ეკონომიკისთვის შეიძლება იყოს ტექსტილის და ტანსაცმლის წარმოება, საკვების და სასმელის წარმოება, ავეჯის წარმოება, თამბაქოს პროდუქტების წარმოება და სამშენებლო მასალების წარმოება.

⇒ პარალელულად უნდა მოხდეს მაღალტექნოლოგიური (კაპიტალინტენსიური) საქმიანობების განვითარებაც და სწორედ ეს უნდა იყოს პოლიტიკის ძირითადი გრძელვადიანი მიზანი. აღსანიშნავია, საქართველოს განვითარების დონის მქონე ქვეყნებში ამ ტიპის დარგები უკვე მეტად არის განვითარებული, შესაბამისად აუცილებელია მათზე ე.წ. „დაწევა“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტიპის პროდუქციის წარმოება ადგილობრივი კომპანიების მხრიდან შესაძლებელია ვერ მოხდეს, რადგან

მათ არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. სწორედ ამ საქმიანობების მეტად განვითარებისთვის არის საჭირო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძიება.

⇒ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო გზას კანონის უზენაესობის გაუმჯობესება და პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ეს ბერკეტი პირდაპირ სახელმწიფოს ხელშია და მისი მტკიცე ნების შემთხვევაში შესაძლებელია სწრაფი პოზიტიური ცვლილების განხორციელება. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ძალისხმევა, რაც მუდმივი სიახლეების ძიებაში, ქვეყნის ბრენდის მერად წარმოჩენაში, პოტენციურ ინვესტორებთან შეხვედრებსა და მუდმივი კომუნიკაციაში უნდა გამოიხატებოდეს. ასევე, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის, ადამიანური კაპიტალის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თარგეთირებული გაუმჯობესება.

⇒ საქართველოსთვის შეზღუდული რესურსების გამო, მოკლევადიან პერიოდში (3-5 წელი) რთული (შეუძლებელიც კი) იქნება ინფრასტრუქტურული პრობლემის მთლიანად აღმოფხვრა, შესაბამისად მნიშვნელოვანია თარგეთირებული და გონივრული ჩარევა. ამ კონტექსტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდუსტრიული პარკების (ზონების) კონცეფციის გადახედვა და განახლება. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჩამოყალიბება, მსოფლიოში უკვე კარგად ნაცადი მეთოდია და ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია მათი მეშვეობით.

⇒ წარმატებული ინდუსტრიული ზონების გამოცდილება ცხადყოფს, რომ საგადასახადო შეღავათებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინდუსტრიულმა პარკებში იყოს ადეკვატური ინფრასტრუქტურა და სერვისები, რაც საშუალებას მისცემდა იქ მოქმედ კომპანიებს იმ ბარიერების გადალახვის, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებობს. კერძოდ, ინდუსტრიულ პარკებში პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიციური მუშახელი (შესაძლებელია პროფესიული სასწავლებლების ტერიტორიაზე განთავსება), ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა (გზა, რკინიგზა, წვდომა პორტებსა და აეროპორტებზე), კვლევითი ცენტრები, სასაწყობო მეურნეობები და ა.შ. (UNIDO, 2019). საქართველოს შემთხვევაში

კი, როგორც იკვეთება, ზონის ძირითად უპირატესობას მხოლოდ საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აქტიური როლი ითამაშოს და აღმოფხვრას არსებული პრობლემები.

⇒ წარმატებული ინდუსტრიული ზონის (პარკის) ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი და უპირატესობა ისიც არის, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ე.წ. კლასტერიზაციას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავს ან ერთნაირ ინდუსტრიაში მყოფი კომპანიების ერთად დაჯგუფებას. საქართველოს შემთხვევაში, ამგვარ კლასტერიზაციას სამწუხაროდ ადგილი არ ჰქონია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია არსებული ზონების განახლების ან ახალი ზონების კონცეფციის შემუშავების შემთხვევაში.

⇒ ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება კომპანიებისთვის დამატებითი მოტივაციის შექმნით, მაგალითად უკვე არსებული ქარხნების ინდუსტრიულ ზონაში გადატანის ხარჯების ანაზღაურებით. კლასტერიზაციის გასაზრდელად, სახელმწიფოს მხრიდან გონივრულია ე.წ. „პიონერების“ (first-movers) ხელშეწყობაც, რადგან კომპანიები ხშირად სწორედ იმიტომ იკავებენ თავს ინდუსტრიულ ზონებში გადასვლისგან, რომ ჯერ ამის წარმატებული მაგალითი თავიანთ დარგში არ უნახავთ.

⇒ აუცილებელია გაიზარდოს სახელმწიფოს მხრიდან განათლების დაფინანსება და ხარჯების მიზნობრიობის გაუმჯობესება, რათა პოტენციური ჩარევები თანხვედრაში იყოს ინდუსტრიული პოლიტიკის მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებთან. კერძოდ, მნიშვნელოვანია სკოლის კურიკულუმების ძირეული შეცვლა და სკოლის მასწავლებლების ინტენსიური გადამზადება და სერტიფიცირება. მასწავლებელთა სერტიფიცირება უნდა გახდეს სავალდებულო, რადგან წარმოუდგენელია მოსწავლეს ისეთი მასწავლებელი ასწავლიდეს, რომელსაც სერტიფიცირების გამოცდების ჩაბარება არ შეუძლია.

⇒ მნიშვნელოვანია, უმაღლესი განათლების სისტემაში ინტეგრირებული იყოს მეტად პრაქტიკაზე და თანამედროვე უნარებზე დამყარებული კურიკულუმი, ვიდრე ყველა სტუდენტის მეცნიერად ჩამოყალიბების მცდელობაზე ორიენტირებული სწავლება. დღეს, სტუდენტების უმეტესობა ახარებს იურიდიულ და ეკონომიკურ

ფაკულტეტებზე და არაპოპულარულია ისეთი ტექნიკური სპეციალობები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებზე იქნებოდა მორგებული. ამაზე ისიც მოწმობს, რომ ძალზედ არაპოპულარულია პროფესიულ სასწავლებლებში სწავლება და სტუდენტების უმეტესობას სურს რომ უმაღლესი განათლება მიიღოს.

⇒ ქვეყანას პრობლემები აქვს მენტალური კუთხით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბიზნესის აქტიური ჩართულობა პროფესიული განათლების საკითხებში, რათა მათი რჩევებიც გათვალისწინებული იყოს. ასევე, მიზანშეწონილია უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის გართულება, რაც სტუდენტებს პროფესიული სასწავლებლების არჩევისკენ უბიძგებს.

⇒ დუალური პროფესიული განათლების სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს გერმანიაში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ის დიდი პოპულარობით სარგებლობს კომპანიებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის. შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

⇒ მიზანშეწონილია განხილულ იქნას დუალური განათლების სისტემის ინტეგრირება უმაღლეს სასწავლებლებშიც, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემთ სწავლების ნაწილი გაატარონ კომპანიებში, ხოლო ნაწილი კი საკლასო ოთახებში. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას და ისეთი კადრების ჩამოყალიბებას, რომელზე დიდი იქნება მოთხოვნა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მიერ.

⇒ ბანკები ხშირად არ აფინანსებენ ისეთ პროექტებს, რომელებიც შეიძლება მცირე რისკის შემცველი იყოს. ეს განსაკუთრებით პრობლემას უქმნის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რადგან ხშირად სწორედ რისკიანი, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის გადმოსახედიდან მაღალი პოტენციალის მქონე პროექტების დაფინანსებაა საჭირო. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებიც უმეტეს შემთხვევაში დაფინანსებას ბანკების გავლით ახორციელებენ, რაც შეღავათის მომცემი ნამდვილად

არ არის. ასევე, ჯერ კიდევ განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი და კომპანიებს ფინანსების მოძიების ალტერნატიული გზები (ბანკების გარდა) არ გააჩნიათ.

⇒ მნიშვნელოვანია, შემუშავებული იქნას სქემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო პირდაპირ, კომერციული ბანკის გარეშე დააფინანსებს დიდი ზომის სტრატეგიულ და, შესაძლოა რისკიან, გრძელვადიან პროექტებს და ასევე დაეხმარება მცირე საწარმოებს გრძელვადიანი ფინანსების მოძიებაში. უნდა აღინიშნოს, რომ აქცენტი უმჯობესია გაკეთდეს დიდი ზომის პროექტებზე, რომლებსაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ცალსახად მნიშვნელოვანია, მაგრამ საეჭვოა, რომ ბევრი მცირე საწარმოს დაფინანსებით ქვეყანამ სტრუქტურული ტრანსფორმაცია განიცადოს.

⇒ შესაძლებელია განხილულ იქნას განვითარების ბანკის დაარსების საკითხიც. განვითარების ბანკი, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ბანკია, რომლის ძირითადი ფუნქცია ქვეყნის განვითარება და მისი სტრუქტურული ტრანსფორმაციაა და რომელსაც არ გააჩნია არანაირი კომერციული მიზნები. ამ კონტექსტში, იმედის მომცემი იყო „საპარტნიორო ფონდის“ დაარსება, თუმცა ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ ფონდის ძირითად პრიორიტეტს ენერგეტიკის, უძრავი ქონებისა და სასტუმროების სფერო უფრო წარმოადგენს, ვიდრე წარმოების განვითარება. ასევე, ფონდის მეშვეობით ფინანსდება მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტები და უგულვებელყოფილია პროექტების ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, მის ტექნოლოგიურ განვითარებასა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე მქონე შესაძლო ეფექტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი, იური. *ეკონომეტრიკა*. თბილისი: სიახლე, 2009.
2. ასათიანი, როზეტა. *სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი*. თბილისი: სიახლე, 2014.
3. ბრეგაძე, გიორგი. Dissertation. *ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის*
4. გაგნიძე, ინეზა. *ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა*. თბილისი: უნივერსალი, 2012.
5. გერლიანი, რამაზი. “უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა სამუშაო ძალისა და დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად.” რადიო თავისუფლება, 2019. <https://bit.ly/2mijtAV>.
6. ერქომაიშვილი, გულნაზი. “ონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია საქართველოში.” *თსუ მეცნიერება*, 2016.
7. მოსახლიშვილი, აკაკი, და ლევან მიქელაძე. “კავშირგაბმულობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე - შეფასება ლეონტიევის „ნედლეული-გამომშვების“ (IO) მოდელის მიხედვით.” *ეკონომიკა და საბანკო საქმე* 6, no. 1 (2019): 37–43.
8. პაპავა, ვლადიმერ. “რატომ ვერ აღიქვამს დადებითად საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკურ ზრდას.” GFSIS, 2018. <https://www.gfsis.org/ge/blog/view/888>.
9. პაპავა, ვლადიმერ. “საით მიდის ეკონომიკური პოლიტიკა?” GFSIS, 2019.
10. სილაგაძე, ავთანდილ. “დანამდვილებით არავინ იცის, რამდენი უმუშევარი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში.” 2019, <http://businesspost.ge/geo/page/analytics/5385>.
11. ხადური, ნოდარ. “ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები.” *ეკონომისტი*, 2009.
12. ხარაიშვილი, ეთერ, და ბადრი გეგზაია. “ზოსტნეულის ბაზარი: ქართული პროდუქტის კონკურენტული უპირატესობები და კონკურენციის გამოწვევები.” *კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია*, 2018, 52–63. <http://www.library.court.ge/upload/33712018-11-13.pdf>.

13. ხარაიშვილი, ეთერ. *ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მელვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში*. www.tsu.ge/. უნივერსალი, 2017. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/gvinis%20baz.pdf.
14. Alexander, John. "Foreign Direct Investment, the Rule of Law, and the New Institutionalism: Explaining FDI in the Developing World." SSRN, August 5, 2014. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2453090.
15. Allen, Robert C. *The Industrial Revolution: A Very Short Introduction*. Oxford: Oxford University Press, 2017.
16. Amsden, Alice H. "Asia's Next Giant: South Korea and Late Industrialization." Oxford University Press, 1989.
17. Antidze, Margarita. "U.S. Urges Georgia to Reinforce Democracy, Rule of Law." Reuters. Thomson Reuters, December 24, 2019. <https://www.reuters.com/article/us-georgia-politics-usa/u-s-urges-georgia-to-reinforce-democracy-rule-of-law-idUSKBN1YS17D>.
18. Babych, Yaroslava, Maya Grigolia, and Davit Keshelava. "Financial Inclusion, Financial Literacy, and Financial Education in Georgia." Asian Development Bank. Asian Development Bank, July 12, 2018. <https://www.adb.org/publications/financial-inclusion-financial-literacy-and-financial-education-georgia>.
19. Bacha, Edmar L. "Growth with Limited Supplies of Foreign Exchange: A Reappraisal of the Two-Gap Model." *Economic Structure and Performance*. Academic Press, 1984. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/B9780126800609500209>.
20. Bakar, Nor'Aznin Abu, Siti Hadijah Che Mat, and Mukaramah Harun. "The Impact of Infrastructure on Foreign Direct Investment: The Case of Malaysia." *Procedia - Social and Behavioral Sciences*. Elsevier, March 15, 2013.
21. Balassa, Bela. "Exports and Economic Growth." *Journal of Development Economics* 5, no. 2 (1978): 181–89. [https://doi.org/10.1016/0304-3878\(78\)90006-8](https://doi.org/10.1016/0304-3878(78)90006-8).
22. Benidze, Vano. "An Overview of Georgia's Economic Growth Since 2012: Current Status, Challenges, and Opportunities for Future Development." *International Journal of Economics and Management Engineering* 13, no. 4 (2019): 445–50.

23. Bhagwati, Jagdish. "The Manufacturing Fallacy." Project Syndicate, August 27, 2010. <https://www.project-syndicate.org/commentary/the-manufacturing-fallacy>.
24. Biglaiser, Glen, and Joseph L. Staats. "Do Political Institutions Affect Foreign Direct Investment? A Survey of U.S. Corporations in Latin America." SAGE Journals, January 1, 1970. <https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1065912909331428>.
25. Bjorvatn, Kjetil. "Urban Infrastructure and Industrialization." Journal of Urban Economics. Academic Press, May 25, 2002.
26. Botrii, Valerija. "Identifying Key Sectors in Croatian Economy Based on Input-Output Tables." *SSRN Electronic Journal*, 2013. <https://doi.org/10.2139/ssrn.2553763>.
27. Brada, Josef C, Taner M Yigit, and Ali M Kutan. "The Effects of Transition and Political Instability on Foreign Direct Investment Inflows: Central Europe and the Balkans, by Brada, Josef C.; Kutan, Ali M.; Yigit, Taner M." ZEI Working Papers. University of Bonn, ZEI - Center for European Integration Studies, 2003.
28. "BudgetMonitor." Accessed July 1, 2020. <https://budgetmonitor.ge/en/assimilate>.
29. "Business Confidence Index: Businesses in the Lockdown." ISET. Accessed July 1, 2020. <https://iset-pi.ge/index.php/en/business-confidence>.
30. Chang, Ha-Joon, and Antonio Andreoni. "Industrial Policy and The Future of Manufacturing." SpringerLink. Springer International Publishing, September 16, 2016. <https://link.springer.com/article/10.1007/s40812-016-0057-2>.
31. Chang, Ha-Joon. *Kicking Away The Ladder: Development Strategy In Historical Perspective*. Anthem Press, 2003.
32. Chang, Ha-Joon. *The Political Economy of Industrial Policy*. Basingstoke: Macmillan, 1994.
33. Chenery, Hollis B., and Michael Bruno. "Development Alternatives in an Open Economy: The Case of Israel." *The Economic Journal* 72, no. 285 (1962): 79.
34. Cimoli, Mario, Giovanni Dosi, and Joseph E. Stiglitz. "The Political Economy of Capabilities Accumulation: The Past and Future of Policies for Industrial Development." *Industrial Policy and Development*, 2009, 1–16.

35. "CIP Report." UNIDO Statistics Data Portal. Accessed July 1, 2020. <https://stat.unido.org/database/CIP%202019>.
36. Clark, Colin. *The Conditions of Economic Progress*. London: Macmillan, 1940.
37. "Corruption Perceptions Index." Transparency.org. Accessed July 1, 2020. <https://www.transparency.org/en/cpi>.
38. "Country Rankings." Country Rankings: World & Global Economy Rankings on Economic Freedom. Accessed July 1, 2020. <https://www.heritage.org/index/ranking>.
39. "Country Score Card: Georgia 2018." Country Score Card: Georgia 2018 | Logistics Performance Index, 2018.
40. "Country/Economy Profiles." Global Competitiveness Index 2017-2018, 2018. <http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/#economy=GEO>.
41. "Crime Index by Country 2020." Numbeo. Accessed July 1, 2020. https://www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp.
42. Cunningham, Shawn, and Jörg Meyer-Stamer. "Planning or Doing Local Economic Development? Problems With the Orthodox Approach to LED." *Africa Insight* 35, no. 4 (2005). <https://doi.org/10.4314/ai.v35i4.22449>.
43. Damenia, Nino, Gulnazi Erkomaishvili, Tea Lazarishvili, and M Kobalava. "Stimulating Policy for Attracting Foreign Direct Investment in Georgia." Scholarly, 2018. <https://scholarly.org/search?q=foreign+direct+investment>.
44. Dasgupta, Sukti, and Ajit Singh. "Manufacturing, Services and Premature Deindustrialization in Developing Countries: A Kaldorian Analysis." *Advancing Development*, 2007, 435–54. https://doi.org/10.1057/9780230801462_23.
45. Di Maio, Michele. "Industrial Policies in Developing Countries: History and Perspectives." Essay. In *Industrial Policy and Development: The Political Economy of Capabilities Accumulation*, 107. Oxford: Oxford University Press, 2009.
46. "Doing Business 2012." World Bank, 2012.

47. "Doing Business 2020." World Bank. Accessed July 1, 2020. <https://www.doingbusiness.org/en/reports/global-reports/doing-business-2020>.
48. Dorożyńska, Agnieszka, and Tomasz Dorożyński. "The Role of Human Capital in Attracting FDI the Case of the Lodz Region." *Studia Prawno-Ekonomiczne*, 2014.
49. Enterprise Georgia. Accessed July 1, 2020. <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/en/home>.
50. Eurostat. "Eurostat Manual of Supply, Use and Input-Output Tables." Eurostat, 2008.
51. Fisher, Alan GB. *The Clash of Progress and Security*. London: Macmillan, 1935.
52. "Free Trade with the EU." DCFTA. Accessed July 1, 2020. <http://www.dcfta.gov.ge/ge/home>.
53. Fu, Xiaolan. "Foreign Direct Investment, Absorptive Capacity and Regional Innovation Capabilities: Evidence from China." *Oxford Development Studies*. Taylor & Francis Journals, 2007. <https://ideas.repec.org/a/taf/oxdevs/v36y2008i1p89-110.html>.
54. "Georgia - Systematic Country Diagnostic: from Reformer to Performer." World Bank, 2018.
55. "Georgia: Backsliding on Rule of Law Is Damaging Investment Climate." Eurasianet, 2017. <https://bit.ly/3dRD7M>
56. Ghani, Ejaz, and Stephen D. O'Connell. "Can Service Be a Growth Escalator in Low-Income Countries?" *Policy Research Papers*, 2014. <https://doi.org/10.1596/1813-9450-6971>.
57. "Global Competitiveness Report 2014-2015." World Economic Forum, 2014. <https://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015>.
58. "Global Competitiveness Report 2019." World Economic Forum, 2019. <https://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2019>.
59. Global Innovation Index, 2019. <https://www.globalinnovationindex.org/gii-2019-report>.
60. "Global Rankings 2018." Logistics Performance Index, 2018. <https://lpi.worldbank.org/international/global?sort=asc&order=LPI%2BRank#datatable>.
61. Global Enabling Trade Report 2016, 2016. <https://reports.weforum.org/global-enabling-trade-report-2016/economy-profiles/#economy=GEO>.
62. "Good Jobs for Inclusive Growth in Central Asia and the South Caucasus: Regional Report." Asian Development Bank, March 18, 2019. <https://www.adb.org/publications/jobs-inclusive-growth-central-asia-caucasus>.

63. Greenwood, Jeremy, Zvi Hercowitz, and Per Krusell. "Long-Run Implications of Investment-Specific Technological Change." *American Economic Review* 87, no. 3 (1997): 342–62. <https://doi.org/http://www.jstor.org/stable/2951349>.
64. Grossman, Gene M. "Promoting New Industrial Activities: A Survey of Recent Arguments And Evidence, by Grossman, G.N." Papers. Princeton, Woodrow Wilson School - Public and International Affairs, January 1, 1990. <https://ideas.repec.org/p/fth/priwpu/147.html>.
65. Haksoon, Kim. "Political Stability and Foreign Direct Investment." *International Journal of Economics and Finance*, July 14, 2010.
66. Haraguchi, Nobuya, Charles Fang Chin Cheng, and Eveline Smeets. "The Importance of Manufacturing in Economic Development: Has This Changed?" *World Development* 93 (2017): 293–315. <https://doi.org/10.1016/j.worlddev.2016.12.013>.
67. Harrison, Ann, and Rodríguez-Clare Andrés. "64." Essay. In *Trade, Foreign Investment, and Industrial Policy for Developing Countries*. Cambridge, MA, 2009.
68. Hausmann, Ricardo, and Dani Rodrik. "Economic Development as Self-Discovery." NBER, May 23, 2002. <https://www.nber.org/papers/w8952>.
69. Hausmann, Ricardo, Dani Rodrik, and Charles F. Sabel. "Reconfiguring Industrial Policy: A Framework with an Application to South Africa: Semantic Scholar," 2008. <https://www.semanticscholar.org/paper/Reconfiguring-Industrial-Policy%3A-A-Framework-with-Hausmann-Rodrik/59c90f2012133fa5714d73685c1d69b36bf7a3db>.
70. Hidalgo, C. A., B. Klinger, A.-L. Barabási, and R. Hausmann. "The Product Space Conditions the Development of Nations." *Science*. American Association for the Advancement of Science, July 27, 2007. <https://science.sciencemag.org/content/317/5837/482.full>.
71. Humavindu, Michael N, and Jesper Stage. "Key Sectors of the Namibian Economy." *Journal of Economic Structures* 2, no. 1 (2013). <https://doi.org/10.1186/2193-2409-2-1>.
72. "Index of Economic Freedom 2012 ," 2012. <https://bit.ly/38hCw28>
73. "Industrial Development Report 2016." UNIDO, 2016. <https://www.unido.org/resources/publications/flagship-publications/industrial-development-report-series/industrial-development-report-2016>.

74. "Industrialization As The Driver Of Sustained Prosperity ." UNIDO. United Nations Industrial Development Organization, 2020.
75. "International Guidelines For Industrial Parks." UNIDO, 2019. <https://www.unido.org/news/unido-publishes-international-guidelines-industrial-parks>.
76. International Monetary Fund. Middle East and Central Asia Dept. "Georgia : Selected Issues." IMF, 2018. <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2018/06/28/Georgia-Selected-Issues-46037>.
77. Invest in Georgia. Accessed July 1, 2020. <https://www.investingorgia.org/en/>.
78. Jones, B. F., and B. A. Olken. "Do Leaders Matter? National Leadership and Growth Since World War II." *The Quarterly Journal of Economics* 120, no. 3 (2005): 835–64. <https://doi.org/10.1093/qje/120.3.835>.
79. Kaldor, Nicholas. *Strategic Factors In Economic Development*. New York State School of Industrial and Labor Relations, 1967.
80. Korbin, Stephen Jay. "Foreign Direct Investment, Industrialization, and Social Change." *The Journal of Conflict Resolution* 20, no. 3 (1979): 497–522.
81. Kozul-Wrigh, Richard, Irmgard Nübler, and Jose Salazar-Xirinachs. "Industrial Policy, Productive Transformation and Jobs: Theory, History and Practice." Introduction. In *Transforming Economies: Making Industrial Policy Work for Growth, Jobs and Development*, 38. International Labour Organization (ILO), 2014.
82. Krueger, Anne O. *Political Economy of Policy Reform in Developing Countries*. Cambridge (Mass.): MIT Press, 1993.
83. Kuznets, Simon. *Modern Economic Growth: Rate, Structure, and Spread*. Yale University Press, 1966.
84. "The Leading Source of Labour Statistics." ILOSTAT, June 15, 2020. <https://ilostat.ilo.org/>.
85. The Legislative Herald of Georgia. Accessed July 1, 2020. <https://matsne.gov.ge/en>.
86. Leontief, Wassily. *Input-Output Economics*. New York; Oxford University Press, 1986.
87. Lewis, W. Arthur. *Economic Development With Unlimited Supplies of Labour*. University of Manchester, 1954.

88. Lin, Justin Yifu. "Chapter 3." Essay. In *New Structural Economics: a Framework for Rethinking Development*. Washington, D.C.: World Bank, 2012.
89. Lin, Justin Yifu. "Six Steps for Strategic Government Intervention." Wiley Online Library. John Wiley & Sons, Ltd, October 4, 2010.
90. Lloyd, P.j. "The Role of Foreign Investment in the Success of Asian Industrialization." *Journal of Asian Economics* 7, no. 3 (1996): 407–33.
91. McKinnon, Ronald I. "Foreign Exchange Constraints in Economic Development and Efficient Aid Allocation." OUP Academic. Oxford Academic, June 1, 1964. <https://academic.oup.com/ej/article-abstract/74/294/388/5249668>.
92. McMillan, Margaret, Dani Rodrik, and Claudia Sepúlveda. *Structural Change, Fundamentals, and Growth: A Framework and Case Studies*. IFPRI Library. Washington, D.C.: International Food Policy Research Institute (IFPRI), 2017. <http://ebrary.ifpri.org/cdm/ref/collection/p15738coll2/id/131168>.
93. Ministry Of Economy And Sustainable Development of Georgia. Accessed July 1, 2020. <http://www.economy.ge/?lang=en>.
94. The Ministry of Education and Science of Georgia . Accessed July 1, 2020. <https://www.mes.gov.ge/?id=&lang=eng>.
95. Ministry of Finance of Georgia. Accessed July 1, 2020. <https://mof.ge/en/>.
96. National Bank Of Georgia. Accessed July 1, 2020. <https://www.nbg.gov.ge/>.
97. "National Statistics Office of Georgia." Accessed July 1, 2020. <https://www.geostat.ge/en>.
98. "New Country Classifications by Income Level: 2019-2020." World Bank Blogs. Accessed July 1, 2020. <https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2019-2020>.
99. Noman, Akbar, and Joseph E. Stiglitz. *Efficiency, Finance, and Varieties of Industrial Policy*. New York: Columbia University Press, 2017.
100. Noorbakhsh, Farhad, Alberto Paloni, and Ali Youssef. "Human Capital and FDI Inflows to Developing Countries: New Empirical Evidence." *World Development*. Pergamon, September 4, 2001. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0305750X01000547>.

101. Ocampo, Jose, Codrina Rada, and Lance Taylor. *Growth and Policy in Developing Countries: A Structuralist Approach*. Columbia University Press, 2009.
102. Ohno, Kenichi. *Learning To Industrialize: From Given Growth To Policy-Aided Value Creation*. London: Routledge, 2014.
103. Our World in Data. Accessed July 1, 2020. <http://www.ourworldindata.org/>.
104. “Out-of-Pocket Expenditure as Percentage of Current Health Expenditure (CHE) (%) - Data by Country.” World Health Organization. World Health Organization. Accessed July 1, 2020. <https://apps.who.int/gho/data/node.main.GHEDOOPSCHESHA2011?lang=en>.
105. Papava, Vladimer. “Catching Up and Falling Behind: The Experience of the Post-Communist Countries of the European Union and Georgia.” GFSIS. Rondeli Foundation, 2018. <https://www.gfsis.org/publications/view-opinion-paper/99>.
106. Papava, Vladimer. “Catching Up And Falling Behind: The Experience Of The Post-Communist Countries Of The European Union And Georgia.” GFSIS. Rondeli Foundation, 2018. <https://www.gfsis.org/publications/view-opinion-paper/99>.
107. Park, Jong H. “The East Asian Model of Economic Development and Developing Countries.” *Journal of Developing Societies* 18, no. 4 (2002): 330–53.
108. Park, Se-Hark, and Kenneth S. Chan. “A Cross-Country Input-Output Analysis of Intersectoral Relationships between Manufacturing and Services and Their Employment Implications.” *World Development* 17, no. 2 (1989): 199–212. [https://doi.org/10.1016/0305-750x\(89\)90245-3](https://doi.org/10.1016/0305-750x(89)90245-3).
109. Partnership Fund. Accessed July 1, 2020. <https://www.fund.ge/>.
110. Prakash, Anita. “Infrastructure and Industrialisation: Ensuring Sustainable and Inclusive Growth in Africa.” Think Asia. Economic Research Institute for ASEAN and East Asia, November 25, 2018. <https://think-asia.org/handle/11540/8890>.
111. Ram, Rati. “Exports and Economic Growth in Developing Countries: Evidence from Time-Series and Cross-Section Data.” *Economic Development and Cultural Change* 36, no. 1 (1987): 51–72. <https://doi.org/10.1086/451636>.
112. Rasmussen, P. N. *Studies in Inter-Sectoral Relations*. Amsterdam: North-Holland, 1956.

113. Rehman, Abdul, Muhammad Ilyas, Hassan Mobeen Alam, and Muhammad Akram. "The Impact of Infrastructure on Foreign Direct Investment: The Case of Pakistan." *International Journal of Business and Management*, May 3, 2011.
114. Reich, Robert B. "Making Industrial Policy." *Foreign Affairs* 60, no. 4 (1982): 852. <https://doi.org/10.2307/20041177>.
115. Robinson, James A. "Industrial Policy and Development: A Political Economy Perspective." Harvard University, 2009. <https://scholar.harvard.edu/jrobinson/publications/industrial-policy-and-development-political-economy-perspective>.
116. Rodrik, Dani. "Growth Without Industrialization?" *Global Policy Journal*, December 21, 2017. Growth Without Industrialization?
117. Rodrik, Dani. "Industrial Policy for the Twenty-First Century." Harvard University. United Nations Industrial Development Organization (UNIDO), September 2004. <https://drodrik.scholar.harvard.edu/publications/industrial-policy-twenty-first-century>.
118. Rodrik, Dani. "Normalizing Industrial Policy," Harvard University, 2007. <https://drodrik.scholar.harvard.edu/publications/normalizing-industrial-policy>.
119. Rodrik, Dani. "The Past, Present, and Future of Economic Growth." Harvard, 2013. drodrik.scholar.harvard.edu/publications/past-present-and-future-economic-growth.
120. Schwab, Klaus. *The Fourth Industrial Revolution*. London: Portfolio Penguin, 2017.
121. Sengupta, Jati K., and Juan R. España. "Exports and Economic Growth in Asian NICs: An Econometric Analysis for Korea." *Applied Economics* 26, no. 1 (1994): 41–51. <https://doi.org/10.1080/00036849400000060>.
122. Silagadze, Avtandil, and Tamaz Zubiashvili. "Foreign Direct Investment in Georgia." *International Journal of Arts & Sciences*, 2016.
123. Silagadze, Avtandil, Tea Munjishvili, and Giuli Keshelashvili. *Georgia's Social & Economic Development Program*. Tbilisi: Open Society Georgia Foundation, 2011.
124. Sonmez, Alper. "Survey Findings: Descriptive Analysis." Essay. In *Multinational Companies, Knowledge and Technology Transfer*, 171–75. Springer, 2016.

125. Stehrer, Robert, and Terry Ward. Rep. *Study On 'Monitoring Of Sectoral Employment.'* European Commission, 2012.
126. Stiglitz, Joseph E., and Bruce C. Greenwald. *Creating a Learning Society: A New Approach to Growth, Development, and Social Progress.* New York: Columbia University Press, 2015.
127. Stiglitz, Joseph E., and Justin Yifu Lin. *The Industrial Policy Revolution.* Basingstoke, U.K.: Palgrave Macmillan, 2013.
128. Storm, Servaas. "The Political Economy of Industrialization." Wiley Online Library. John Wiley & Sons, Ltd, March 2, 2017.
129. Surugiu, Camelia. "The Economic Impact of Tourism. An Input-Output Analysis." Romanian Journal of Economics. Institute of National Economy, 2009.
130. Szirmai, Adam, Bart Verspagen, Mulu Gebreyesus, and Francesca Guadagno. "Promoting Productive Employment in Sub-Saharan Africa : A Review of the Literature." MERIT Working Papers. United Nations University - Maastricht Economic and Social Research Institute on Innovation and Technology (MERIT), 2013.
131. Szirmai, Adam. "Industrialisation as an Engine of Growth in Developing Countries, 1950–2005." Structural Change and Economic Dynamics. North-Holland, February 6, 2011. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0954349X1100018X>.
132. Temursho, Umed. "Backward And Forward Linkages And Key Sectors In The Kazakhstan Economy ." <https://www.adb.org/>, 2016. https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/47110/47110-001-dpta-en_2.pdf.
133. Trading Economics. Accessed July 1, 2020. <https://tradingeconomics.com/>.
134. Tregenna, Fiona. "The Contributions Of Manufacturing And Services To Employment Creation And Growth In South Africa." *South African Journal of Economics* 76 (2008). <https://doi.org/10.1111/j.1813-6982.2008.00187.x>.
135. Tyler, William G. "Growth and Export Expansion in Developing Countries." *Journal of Development Economics* 9, no. 1 (1981): 121–30.
136. Wang, Xiaozu, Lixin Colin Xu, and Tian Zhu. "Foreign Direct Investment under a Weak Rule of Law." Wiley Online Library. John Wiley & Sons, Ltd, May 11, 2012.

137. Warwick, Ken. "Beyond Industrial Policy." OECD instance. OECD, April 5, 2013.
138. Weiss, John. "Taxonomy of Industrial Policy." UNIDO. The United Nations Industrial Development Organization, 2015.
139. Weiss, John. "The Role of Development Banks in Developing Countries." JOHN WEISS DEVELOPMENT ECONOMIST, 2015.
140. "World Integrated Trade Solution (WITS)." Data on Export, Import, Tariff, NTM. Accessed July 1, 2020. <https://wits.worldbank.org/>.
141. "World Bank Open Data." Data, June 25, 2020. <https://data.worldbank.org/>.
142. Yülek, Murat A. *How Nations Succeed: Manufacturing, Trade, Industrial Policy, and Economic Development*. Palgrave Macmillan, 2019.
143. Zhang, Kevin H, and James R Markusen. "Vertical Multinationals and Host-Country Characteristics." NBER, September 1, 1997. <https://www.nber.org/papers/w6203>.
144. Zhang, Xiaodi. "Industrial Park Development In Ethiopia Case Study Report." UNIDO, 2018.

დანართები

დანართი №1

№	„წარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული მიმართულებების ჩამონათვალი
1	საზღვაო ტევზჰერა
2	ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა
3	ტექსტილის წარმოება
4	ტექსტილის გაწყობა
5	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოება
6	ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
7	ხალიჩების და ფარდაგების წარმოება
8	თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოება
9	უქსოვადი ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
10	სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის ნაწარმის წარმოება
11	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება
12	ტყავის ტანსაცმლის წარმოება
13	სპეცტანსაცმლის წარმოება
14	სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება
15	საცვლების წარმოება
16	სხვა ტანსაცმლის და აქსესუარების წარმოება
17	ბეწვეულის ნაწარმის წარმოება
18	ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება
19	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება
20	ტყავის თრიმვლა და გამოქნა; ბეწვეულის გამოქნა და ღებვა
21	საბარგო ჩანთების, ხელჩანთების, სასარაჯო-საუნაგრო ნაკეთობები
22	ფეხსაცმლის წარმოება
23	შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება
24	ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება

25	ხის ტარის წარმოება
26	ქალაღდის მასის წარმოება
27	ქალაღდის და მუყაოს წარმოება
28	ქალაღდის საკანცელარიო საკუთნოების წარმოება
29	გოფრირებული ქალაღდის და მუყაოს, ქალაღდის და მუყაოს ტარის წარმოება საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქალაღდის
30	შპალერის წარმოება
31	სხვა ნაწარმის წარმოება ქალაღდისა და მუყაოსაგან
32	პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება
33	ტიპოგრაფიული საღებავების და მასტიკების წარმოება
34	საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებები
35	პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება
36	წებოს წარმოება
37	სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
38	ხელოვნური ბოჭკოს წარმოება
39	რეზინის საბურავების და კამერების წარმოება; რეზინის საბურავების აღდგენა
40	რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება
41	პლასტმასის საფუთავების წარმოება
42	ლითონის სხვა ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება
43	დანისებრი ნაკეთობების წარმოება
44	საკეტების, ანჯამების და სახსრების წარმოება
45	ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება
46	მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება
47	მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება
48	სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება
49	ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
50	ელექტრონული კომპონენტების წარმოება

51	ჩასატვირთი ელექტრონული პლატების წარმოება
52	კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების წარმოება
53	საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოება
54	სამომხმარებლო ელექტრონიკის წარმოება
55	საათების წარმოება
56	ირადიაციული, ელექტროსამედიცინო და ელექტროთერაპიული მოწყობილობების წარმოება
57	მაგნიტური და ოპტიკური მედია საშუალებების წარმოება
58	ელექტროძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების წარმოება
59	ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება
60	ბატარების და აკუმულატორების წარმოება
61	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოება
62	სხვა ელექტრონული და ელექტრული გამტარების და კაბელების წარმოება
63	სადენიანი ხელსაწყოების წარმოება
64	ელექტროსანათი მოწყობილობების წარმოება
65	ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება
66	არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება
67	სხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოება
68	ძრავების და ტურბინების წარმოება, საფრენი აპარატების, ავტოტრანსპორტის
69	ჰიდრავლიკური და პნევმატური მოწყობილობების წარმოება
70	სხვა ტუმბოების და კომპრესორების წარმოება
71	ონკანების და სარქველების წარმოება
72	საკისრების, კბილანების, კბილანა გადაცემების და ამძრავების ელემენტები
73	ღუმელების და ღუმელების სანთურების წარმოება
74	საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების წარმოება
75	ხელის მექანიზებული ინსტრუმენტების წარმოება
76	არასაყოფაცხოვრებო მაცივებელი და სავენტილაციო მოწყობილობები

77	საერთო დანიშნულების სხვა მანქანების წარმოებას სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
78	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება
79	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების წარმოება
80	ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის სხვა ნაწილების და აქსესუარების წარმოება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის
81	სასეირნო და სპორტული ნაგებობების მშენებლობა
82	ველოსიპედების და ინვალიდების ეტლების წარმოება
83	სხვა სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
84	ავეჯის წარმოება დაწესებულებების და მაღაზიებისათვის
85	სამზარეულო ავეჯის წარმოება
86	ლეიბების წარმოება
87	სხვა ავეჯის წარმოება
88	ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება ხელოვნური ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების
89	მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება
90	სპორტული საქონლის წარმოება
91	თამაშების და სათამაშოების წარმოება
92	სამედიცინო და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ნაკეთობები
93	ცოცხების და ჯაგრისების წარმოება
94	სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
95	კერამიკული საფარების და ფილების წარმოება
96	კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოება
97	კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოება